გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
შაბათი, 14 იანვარი, 2006 წელი.
№№ 10-11 (5348-5349)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცბიერებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკად-რისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.

# ქველით ახალ წელს გილოცავთ, მრავალს დაესწარით!




იხ. მე-3 გვ.

## არ შემიძლია, არ გავიხსენო

თითქოსდა არაფერი მოხდა. მაგრამ დიახაც, რომ იქ მომავალმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მაშინ წარმოაჩინა თავისი ეროვნული სული და სიამაყე!



იხ. მე-11 გვ.

## რატომ ებრძვიან ახალგაზრდა იურისტებს

იხ. მე-2 გვ.

## „...ვიდრე ყველა მეფე და პრეზიდენტი ერთად აღებული“

იხ. მე-3 გვ.

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს

## რამდენი სამართალია საქართველოში!



იხ. მე-2 გვ.



იხ. მე-2 გვ.

## მიხეილ სააკაშვილი: „ბევრი რამ გაკეთდა, ამას კი დანახვა უნდა!“



## ცხოვრება, რომელიც ზეიმზე მეტია

იუბილეს, ცხადია, სადღესასწაულო განწყობილება უხდება, მაგრამ ახლა სოხუმის დრამატულ თეატრს იმდენი სერიოზული პრობლემა აქვს, რომ ეს დღეებიც კი მათთვის სევდანარევია.

იხ. მე-9 გვ.

## დადიანების მუზეუმიდან საგვარეულო რელიკვიები იკარგება

მუზეუმი ფაქტობრივად დაუცველია, არ არსებობს არავითარი სიგნალიზაციის სისტემა. და ეს მაშინ, როცა ასობით ათასი ლარი დაიხარჯა თითქოსდა მუზეუმის ეზოს მოსაწესრიგებლად.

იხ. მე-11-12 გვ.



„მწვანე სახლი“

◎ პრეზიდენტი

## მიხეილ სააკაშვილი:
# „უამრავი რამ გაკეთდა, ამას კი დანახვა უნდა“

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ბაკურიანში 1600 მეტრის სიგრძის ულტრათანამედროვე, ჰონდოლური ტიპის საბაგირო გზა საზეიმოდ გახსნა.**

მიხეილ სააკაშვილი საბაგირო გზის უფასოდ გადაცემას ჰპირდება იმ ბიზნესმენს, რომელიც ბაკურიანში თანამედროვე ტიპის დიდ სასტუმროთა კომპლექსს ააშენებს.

გუშინვე საქართველოს პრეზიდენტმა ბაკურიანის დამსვენებლებს ერთი თვის განმავლობაში საბაგირო გზით უფასოდ სარგებლობის ნებართვა მისცა.

როგორც პრეზიდენტმა საბაგირო გზის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაზე განაცხადა, ბაკურიანს და ზოგადად ქართულ კურორტებს, სამხრეთ კავკასიის რეგიონში კონკურენტი არ ჰყავს.

„ჩვენი კურორტები მოიზიდავს ასიათასობით ტურისტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურისტულ რეგიონში ასიათასობით ქართული ოჯახი გამდიდრდება“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ბაკურიანიდან სკეპტიკოსებსაც მიმართა და განაცხადა, რომ საქართველოს აღმშენებლობას დრო სჭირდება. „უამრავი რამ გაკეთდა, ამას კი დანახვა უნდა“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

საბაგირო გზა „დიდველის“ დიდი პროექტის პირველი ნაწილია. კომპლექსი ულტრათანამედროვე სტანდარტის საბაგირო გზების ქსელისა და ოთხ და ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების, სპორტული და გასართობი ცენტრებისა და დასვენებისათვის აუცილებელ ინფრასტრუქტურაზეა გათვლილი. კომპლექსი 3000 ტურისტს მოემსახურება.

საბაგირო გზაზე 35 დახურული ჰონდოლა მოძრაობს, მათი სიჩქარე წამში 6 მეტრია. დიდველის საბაგიროს საათში 3-4 ათასი მოთხილამურის გადაყვანა შეუძლია. ტრასის მთლიანი სიგრძე 3 400 მეტრია.

კომპლექსის მშენებლობა 2004 წელს დაიწყო. საძირკვლები, სათავო და ბოლო სადგურის სამშენებლო ნაწილი მთლიანად ქართველმა მშენებლებმა მოამზადეს, დანარჩენი სამუშაო — მონტაჟი, გაშვება, კონტროლი კი იტალიურმა კომპანიამ „ლაიტნერმა“



განახორციელა. სამთო-სათხილამურო ტრასები კანადურმა კომპანიამ „ეკოზაინმა“ მოაწყო, ტრასების მოვლასა და უსაფრთხოებაზე კი ქართველი მშენებლები ზრუნავენ.

ტრასის მეორე მონაკვეთის დასრულება გაისად იგეგმება, სულ საბაგირო გზების მშენებლობა 18 მილიონი ევრო დაჯდება. საბაგირო გზების მშენებლობა ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა.

ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, საბაგირო გზის აქციების მთელი პაკეტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებაში გადავა იმ პირობით, რომ მას არ ექნება ამ ქონების გაყიდვის და გასხვისების უფლება. წუქების ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს, რომ მთელი შემოსავლები მოხმარდეს ბაკურიანის თანამედროვე სპორტულ-ტურისტულ კურორტად გარდაქმნას. უმთავრესი პრიორიტეტი იქნება დიდველის მთების მასივის გამოყენება სპორტული ტრასებისთვის, ყველა იქ განსახორციელებელი პროექტი შეთანხმდება საკონსულტაციო საბჭოსთან, რომელიც ადგილობრივი მმართველობისა და „ქართუ ჯგუფის“ წარმომადგენლებისაგან შეიქმნება.

საბჭო გააკონტროლებს საბაგირო გზების ექსპლუატაციას და მიღებული შემოსავლების განკარგვას ბაკურიანის განვითარებისთვის. საბჭოს წევრი იქნება ბიზნესმენი გოგი თოფაძე, რომელიც დაბა ბაკურიანში დიდველის და საყველიოს მთებს შორის არსებულ მასივზე სპორტულ-ტურისტული კომპლექსის აშენების იდეის ავტორია.

კომპანია „ყაზბეგის“ პრეზიდენტის გოგი თოფაძის განცხადებით, ბაკურიანის უნიკალურობა განპირობებულია ბუნებრივი პირობებით.

„მთის პროფილი, რბილი კლიმატი, უხვთოვლიანობა, ახლოს არის ევროპასთან. სამთო ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის აღორძინების სერიოზული ბერკეტია. ბაკურიანი პირველი მერცხალი უნდა გახდეს, დარწმუნებული ვარ, ბევრისთვის მაგალითი გახდება ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა, იმოქმედო არა მხოლოდ ბიზნეს-ინტერესებით, გააკეთო ისეთი რამ, რაც ბიძგს მისცემს შენი ქვეყნის განვითარებას. საქართველოში აშენდება მსოფლიო სტანდარტის უნიკალური ბუნებრივი პირობების სამთო კურორტი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სულ მალე მსოფლიოს ცნობილ კურორტებს ღირსეულ კონკურენციას გაუწევს“, — აღნიშნა თოფაძემ.

◎ კვირის თვალსაწიერი

## ბალი სულ სხვაა!..

**ყველა ეპოქას თავისი სიმბოლოები და ფოლკლორი აქვს, რომლებიც ზუსტად წარმოაჩენენ იმ, კონკრეტული დროის სულისკვეთებასა და არსს.**

**ასეთი სიმბოლოები იყო: დიდგორი, მარტყოფი, ბაზალეთი, კრწანისი, წიწამური...**

**ფოლკლორულ ნიშანსვეტებად გვევლინებიან: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“, „მეფე გიორგის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“, „ეს ჩვენი მეფე ერეკლე ერთი პატარა კახია“, „მე მოვკლავ დედას, მე მოვკლავ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამას“...**

ამჟამინდელის სიმბოლო-იარლიყი, ალბათ, თბილისის ცენტრიდან გაპანღურებული დავით აღმაშენებლის ძეგლია, როგორც ყოველივე ტრადიციულის ნგრევისა და ახალი ღირებულებებით ჩანაცვლებისა.

ფოლკლორის სახით კი ერთი გენიალური სტროფი შემორჩება მარადისობას:

**ბალი მინდა,**
**მომე ბალი,**
**ბალი სულ სხვაა!**

ამ ეპოქალურ სტრიქონებში ის კი არ არის მთავარი, რატომ უნდა ლექსის ლირიკულ გმირს ბალი, რატომ არის ის მისთვის ასე სასიცოცხლოდ საჭირო, აუცილებელი, არამედ კატეგორიულობა — მინდა! და რაკილა უნდა, კიდეც უნდა მისცე, უნდა შეუსრულო სურვილი — მომე! ხოლო როგორც კი მისცემენ, რაკილა თავისი ოცნების საგანი ხელთ ჩაუვარდება, სიხარულით, ნიშნისმოგებით და ცოტა მუქარითაც ამბობს საყოველთაოდ გასაგონად — ბალი სულ სხვაა!

მნიშვნელობა არა აქვს რა ბალზეა ლაპარაკი. მთავარია, რომ უნდა, მიცემას თხოულობს და მიზანსაც აღწევს! ჰოდა, ამ ბალში შეგიძლია ნებისმიერად „ჩადო“ ნებისმიერი რამ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა თუ ათასი სხვა რამ. ფორმულა **„მინდა-მომეცი-რა კარგია“**, ყველა შემთხვევაში უტყუარად მოქმედებს, აუცდენლად ხვდება მიზანში.

და იმავდროულად მიგანიშნებს, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა, ყოველგვარი ფხაკუნი, პირის ამოკერვა თუ პარლამენტ-კანცელარიასთან საპროტესტო მიხტომაა, სულ ამაოა.

დიდ შოთა ნიშნიანიძეს აქვს ასეთი საოცარი ლექსი:

**კარს მივადექი და ტანში გამცრა**
**და გამოვბრუნდი უკან ბარბაცით:**
**ბუკინისტური დარაბის ნაცვლად**
**შემრჩა სახინკლე... ლუდის დარბაზი...**
**და ამედევნა ისეთი განცდა,**
**თითქოს აღმოვჩნდი საყვარელ სახლთან,**
**შევირბინე და... მეგობრის ნაცვლად**
**გადიდებული სურათი დამხვდა...**

ასეთი განცდა დღეს ყოველ ნაბიჯზე გეუფლება და ხვალაც, კვლავაც დაგეუფლება, ბევრ „გადიდებულ სურათს“ ნახავ ამ ერთიანი, აკვიატებულ-ახირებული ყველაფრის გაყიდვის პროცესში, როცა რაკი ვიღაც **უნდა**, უნდა **მისცენ** კიდეც.

ამ დროს კი ჩვენს მეზობელ თურქეთში ფრთებს შლის ეპიდემია, რომლის შესახებაც მაინცდამაინც ბედობის დღეს — 2 იანვარს გვაჯახა ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა, თუ პანდემიად იქცა, ჩვენი მოსახლეობის 40 პროცენტი დაავადდება, მათგან კი ყოველი მესამე ფეხებს გაჭიმავსო.

იხ. მე-5 გვ.

◎ ვითარება

## რატომ ებრძვიან ახალგაზრდა იურისტებს

### ანა-ბანა, ანა-ბანა, ანამ პირი დაიბანა... თავდაცვის სამინისტრო ჯარისკაცებსა და დევნილებს კანალიზაციის წყალს ასმევს?

**სალომე ზურაბიშვილის „ქაჯეების“ შემდეგ ქართულ ყოველდღიურობაში კიდევ ერთი ფრაზა გაჰიტდა. ირაკლი ოქრუაშვილის ნათქვამი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში „პირდაუბანელი დედაკაცები“ არიანო, მედიამ და პოლიტიკურმა სპექტრმა ერთბაშად აიტაცა. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში კორექტული თავდაცვის მინისტრისგან ამგვარი ეპითეტის მოსმენა ბევრს გაუკვირდა კიდევაც.**

შეგახსენებთ, რომ ამ ბოლო დღეებში, ქართული ხელისუფლების ზოგიერთმა ყოფილმა და ამჟამინდელმა მაღალჩინოსანმა, რომლებმაც თავის დროზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დააარსეს, ამ ორგანიზაციაზე საკმაოდ მწვავე იერიში მიიტანეს და **საიას** პოლიტიკურად მოტივირებული ასოციაცია და რესპუბლიკური პარტიის სატელიტი უწოდეს.

ამ განცხადებებს თავად ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები ოპერატიულად გამოეხმაურნენ. 13 იანვარს კი ირაკლი ოქრუაშვილის მწარე ეპითეტის ერთ-ერთი უმთავრესი ადრესატი, **საიას** თავმჯდომარე ანა დოლიძე შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა და თავისი და თავისი ორგანიზაციის მიმართ გაკეთებულ მწვავე განცხადებებს სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა.

მან იქ შეკრებილ ჟურნალისტებსა და თავისივე ორგანიზაციის წევრებს შობა-ახალი წელი მიულოცა და შემდეგ მთავარ სათქმელზე გადავიდა:

— იმ განცხადებების ფორმა, რომელიც გაკეთდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებით, იმაზე მიუთითებს, რომ ეს არის ხელისუფლების აშკარა თავდასხმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაზე მისი დისკრედიტაციის და შესუსტების მიზნით, რაც საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო ჩვენი ორგანიზაციისთვის, არამედ საქართველოს მთელი სამოქალაქო სექტორისთვის.

თუ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრებს აქვთ კონკრეტული შეთავაზებები ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესების თაობაზე, ვთვლი, რომ ეს შეთავაზებები უნდა გადაწყდეს მხოლოდ იმ ასპარეზზე, რომელსაც ასოციაციის წესდება თავის წევრებს სთავაზობს. ეს ასპარეზი კი, უპირველეს ყოვლისა, არის დიალოგი, კომუნიკაცია ორგანიზაციის შიგნით, საერთო კრება და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობა, — განაცხადა ანა დოლიძემ.

გარდა საჯარო სამსახურის მაღალჩინოსანთა იმ განცხადებებისა, რაზეც ზემოთ ვთქვით, ასოციაციის ყოფილ წევრთა ერთმა ნაწილმაც ანა დოლიძის თავმჯდომარეობიდან გადადგომა მოითხოვა.

ასოციაციის თავმჯდომარემ პრესკონფერენციაზე კომენტარი ამის შესახებაც გააკეთა:

— მე ვარ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც არჩეულია მისივე გამგეობის მიერ მეორე ვადით 2005 წლის ნოემბერში, შესაბამისად, მე არ მაქვს უფლება, თავი დავანებო ჩემს საქმიანობას. და მემას გავაგრძელებ მანამ, სანამ ლეგიტიმურად, და ასოციაციის წესდების შესაბამისად, ასოციაციის გამგეობა არ გადაწყვეტს, რომ მე ეს მოვალეობა აღარ უნდა შევასრულო.

იხ. მე-7 გვ.

◎ თემიდა

# რამდენი სამართალია დღეს საქართველოში?!

### სასამართლომ რამიშვილი და კოხრეიძე უკანონო პატიმრებად არ ცნო

**ტელეკომპანია „202“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის შალვა რამიშვილისა და დირექტორის დავით კოხრეიძის საქმესთან დაკავშირებით პირველი გამწესრიგებელი სხდომა დაპირისპირებით დაიწყო.**

ჯერ იყო და, სასამართლო დარბაზში შესვლა ისე გაძნელდა, ჭყლეტას თავი რომ დავაღწიე, კიდურები მოვისინჯე (საბედნიეროდ, მთელი აღმომაჩნდა). ჩვენზე ადრე უდავიდარაბოდ თურმე უკვე შესული იყვნენ უცნობი პირები. იმის გამო, რომ მათ უკვე დაკავებული ჰქონდათ ადგილები, პროცესს განსასჯელთა ბევრი ნათესავი და გულშემატკივარი ვერ დაესწრო. რამიშვილის მეუღლის, დედისა და მეგობრების მტკიცებით, უცხო პირები უშიშროების სამსახურის თანამშრომლები იყვნენ. განსასჯელთა ნათესავებმა მათ ადგილების დატოვება მოსთხოვეს, ხან „ყურმოჭრილი მონები“ უძახეს, ხან — „ზომბირებული ადამიანები“, ხანაც — „უსულო საგნები“, მაგრამ უცნობი ახალგაზრდები არც შეპასუხებიან, არც განძრეულან. ლეიბორისტი ჯონდი ბაღათურია ამტკიცებდა, უშიშროების სამსახურის გადაცმული თანამშრომლები განსასჯელთა მოსაკლავად არიან მოსულებიო. მოსამართლემ დარბაზიდან მისი გაძევება მოითხოვა, თუმცა, ბაღათურიამ საკუთარი ნებით გასვლა ამჯობინა — ასეთ პროცესზე დასწრება არც ღირსო.

ხანგრძლივი ლანძღვა-გინების მიუხედავად, უცნობ პიროვნებებს ადგილების დატოვების სურვილი არ გასჩენიათ. ამის გამო განსასჯელთა ნათესავები მათს წინაშე ისე ჩამწკრივდნენ, რომ არც რამის დანახვის საშუალება მიეცათ, არც — განძრევის. მათაც სხვა გზა არ დარჩათ — წამოდგნენ და ადგილები ნათესავებს დაუთმეს.

ამ შეფერხების შემდეგ პროცესი განახლდა. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა განსასჯელთა დარბაზიდანვე გათავისუფლების შესახებ. ადვოკატ გოჩა სვანიძის თქმით, რამიშვილსა და კოხრეიძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა იმის გამო მიესაჯათ, რომ შესაძლოა, მავნე ზეგავლენა მოეხდინათ სამსახურებრივად მათზე დამოკიდებულ პირებზე, რომლებიც გამოძიებას მოწმის სტატუსით უნდა დაეკითხა. დაცვის მხარის მტკიცებით, ეს უბრალო საბაბი იყო, რაც იმით დადასტურდა, რომ გამოძიებას არც ერთი ასეთი პირი არ დაუკითხავს. ადვოკატები დავით კორკოტაშვილი, გოჩა სვანიძე, ალექსანდრე ბარამიძე და ჰანს ფონ საქსენ-ალტენბურგი მოსამართლეს არწმუნებდნენ, შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე უკანონო პატიმრები არიან, რაკი მათთვის შეფარდებული წინასწარი პატიმრობის ვადა 27 ნოემბერს ამოიწურაო. განსასჯელთა გათავისუფლებას ითხოვდნენ საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენლებიც. ასეთ შემთხვევაში რამიშვილსა და კოხრეიძეს თავდებად უდგებოდნენ კობა დავითაშვილი, დავით ზურაბიშვილი, ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა.

ბრალდების მხარემ არც ერთი შუამდგომლობა არ ჩათვალა საფუძვლიანად. პროკურორს სიტყვა იმდენხანს გაუგრძელდა, რომ დარბაზი დაიძაბა. გასაოცარია ჩვენს საუკუნეში, მაგრამ სხდომის მდივანი ხელით იწერდა გამომსვლელთა სიტყვებს. თანაც ის დალოცვილი, დიდად ხელსწრაფი არ ჩანდა, ამიტომაც პროკურორი ყოველი ორისამი სიტყვის შემდეგ ჩერდებოდა. ბოლოს მოსამართლესაც აევსო მოთმინების ფიალა და ბრალმდებელს სათქმელის მოკლედ მოჭრა სთხოვა. პროკურორის სიტყვის მოკლე შინაარსი უკვე მოგახსენეთ — არც ერთი შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს. ვერც შინაპატიმრობა და ვერც პატივცემულ პარლამენტართა თავდებობა ვერ შეცვლის აღმკვეთი ღონისძიების, პატიმრობის საიმედოობას.



შალვა რამიშვილის თქმით, მისთვის მნიშვნელობა დაკარგა სასჯელის ფორმამ და მთავარი გახდა, — გარეთ დარჩენილ „ერთ კაცთან“ გაარკვიოს საქმე. არც მას და არც დავით კოხრეიძეს იმედი არ ჰქონდათ, რომ სასამართლო პროცესი მათს სასარგებლოდ დასრულდებოდა. და მაინც, თუ სასამართლო დაცვის მხარის შუამდგომლობას ერთ-ერთი განსასჯელთან მიმართებაში მაინც გაითვალისწინებდა, კოხრეიძეს სურდა, ის ილბლიანი მისი მეგობარი ყოფილიყო, რაკი რამიშვილი კარცერში მეტად მძიმე პირობებში იმყოფებოდა.

შუამდგომლობას კი აყენებდა, მაგრამ მისი დაკმაყოფილების იმედი არც დაცვის მხარეს ჰქონდა.

შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე კვლავ წინასწარ პატიმრობაში რჩებიან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ნინო სანდოძემ განსასჯელების წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების თაობაზე ადვოკატების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

დავით კოხრეიძემ განაცხადა, წინასწარ ვფლობ ინფორმაციას, რომ 4 წლით თავისუფლების აღკვეთას შემიფარდებენო.

**გაზეთის დასაბეჭდად გადაცემის მომენტისთვის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ცნობილი არ იყო.**

**რუსუდან გახარია**

◉ წერილი ხელისუფალთ

# ჩვენ კი, ბატონო პრეზიდენტო, სიკვდილი არ გვინდა!..



**ბატონო პრეზიდენტო, მაქვს პატივი, საბავშვო ჟურნალ „დილას" რედაქციის სახელით მცირე დაგვიანებით მოგილოცოთ ვაჟიშვილის დაბადება!**

**კიდევ ერთი ყმაწვილის მოვლინება ამქვეყნად, ვის უნდა გახარებოდა, თუ არა საბავშვო ჟურნალის რედაქციას. დარწმუნებული ვიყავით, პატარა ნიკოლოზის დაბადებით საბავშვო ჟურნალ „დილას" კიდევ ერთი მკითხველი შემოემატებოდა, ტერიტორიებდაკარგულ ჩვენს ქვეყანას კი — ერთი კარგი მეომარი!**

მაგრამ ჩვენი სიხარული, „ჟურნალს კიდევ ერთი მკითხველი შემოემატებაო", ნაადრევი გამოდგა, რადგან ის შენობა, რომელშიც „დილაა" განთავსებული, გასაყიდ ობიექტთა სიაში მოხვდა...

ბატონო პრეზიდენტო! ნუ ჩაადენინებთ ამ ცუდ საქციელს თქვენივე მთავრობის ცუდ კაცებს, ანუ იმათ, რომელთაც ქვეყნის მომავალი არაფრად ულირთ!

ასე არ ექცოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები თავიანთი პატარების ჟურნალს. იმ ნათელმა ხალხმა კარგად იცოდა, როგორ უნდა ზიარებოდა ქართველი ბავშვი ქართული სიტყვის მადლსა და ლაზათს. ალბათ ამიტომაც გაძლო ამ ჟურნალმა მთელი ერთი საუკუნე და, რომ არა თქვენი ხელისუფლების მიერ თავსდატეხილი ეს უბედურება, უფრო დიდხანსაც იარსებებდა...

დღეს კი ეროვნული დროშის ქვეშ მოსული მთავრობა ისეთივე ენერგიითა და დაუნდობლობით ერეკება ქუჩაში მის თანამშრომლებს, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ აფხაზეთიდან — ქართველებს!

იმ განსხვავებით, რომ იქ, სოხუმში, ამას ჩვენი მტრები სჩადიოდნენ, აქ კი, თბილისში, ყოველივე ეს ქართველების ხელით კეთდება!...

ბატონო პრეზიდენტო! ნუ ჩაადენინებთ ამ ცუდ საქმეს თქვენივე მთავრობის ცუდ კაცებს, თორემ, მომავალში ესენი არავის ემახსოვრება და ჯოხიც მხოლოდ თქვენზე გადატყდება...

ბატონო პრეზიდენტო! თავის დროზე, ჩვენმა დიდმა წინაპრებმა (ხშირად ვახსენებ ჩვენს წინაპრებს თუნდაც იმიტომ, რომ კარგი წარსულის ერი ვართ), კერძოდ კი მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა ბატონმა ზუბალაშვილმა 1906 წელს, საკუთარი სახლი დაუთმო ღარიბ საბავშვო ჟურნალის რედაქციას, მერე ბოლშევიკებმა ამ შენობაში (მაშინ ერთსართულიანი იყო) გადმოგვიყვანეს, საიდანაც ახლა თქვენი ხელისუფლება გვყრის!

არ დაგიმალავთ, ისინი დღევანდელ მთავრობას ნამდვილად სჯობდნენ — მაშინ საბავშვო ჟურნალის თანამშრომლები ქუჩაში გასაყრელად და სასიკვდილოდ ვერ გაიმეტეს!

ვიცით, როგორ არ ვიცით, რომ დღეს ქვეყნის პირველ პირს უამრავი საქვეყნო საქმე გადევთ მხრებზე, მაგრამ მორიგი გაფრენის დროს (ასეთი მდგომარეობა კი თქვენ ხშირად გაქვთ), იქნებ მოითხოვოთ თვითმფრინავში ჟურნალ „დილის" ნომრები და ნახატები მაინც გადაათვალიეროთ. თუ მოგეწონებათ, ხომ კარგი, თუ არადა, თქვენი ნება არის, მოისროლეთ ზემოდან!..

ეს კი ქვემოთ მდგომი თქვენი ხალხისთვის ნიშანი იქნება, ჩვენი რედაქციის თანამშრომლები მე-5 სართულიდან მოგვისროლონ... ამ შემთხვევაში, საბავშვო ჟურნალზე უკეთეს დღეში, მისი რედაქციის თანამშრომლები აღმოვჩნდებით — მიწასთან უფრო ახლოს ვართ, მაგრამ რაღ გინდა, შედეგი ერთია — სიკვდილი!...

ჩვენ კი, ბატონო პრეზიდენტო, სიკვდილი არ გვინდა!

ნუ იზამთ, ბატონო პრეზიდენტო, ამ ცუდ საქმეს, შეუნარჩუნეთ საუკუნოვან საბავშვო ჟურნალს და იმავე შენობაში განთავსებულ 134-მდე რედაქციას „სახლი სათნოებისა, სახლი სიკეთისა და სახლი სიმართლისა" — თქვენი სიკეთის, სათნოებისა და სიმართლის ნიშნად!..



**დოდო წივწივაძე,**
**ჟურნალ „დილას"**
**მთავარი რედაქტორი.**

**P. S. დიდხანს ვიფიქრე, მომეწერა თუ არა ჩემი გვარი ამ წერილზე, — ვაითუ, საქმე უფრო მეტად გავაფუჭო-მეთქი, არადა, ჩემი გვარის ხალხსაც ისე ძლიერ უყვარს თავისი ქვეყანა, როგორც თავად თქვენ, ბატონო პრეზიდენტო...**

**ოღონდ, ჩემი გვარის ხალხი (ზოგი, განსაკუთრებით) „მოყვარეს პირში უძრახეს" პრინციპით ვმოქმედებთ და ვცხოვრობთ, გვეტყობა კიდეც — ამ ხელისუფლებას მეტისმეტად ათვალწუნებული ვყავართ!**

**თუმცა, არც ამას ვჯავრობთ, მაინცდამაინც... ოღონდ, ქვეყნის საქმე იყოს კარგად!**

**დ. წ.**

◉ ინფორმაცია

## სოხუმი მოსკოვს საკუთარ პირობას უყენებს

**სოხუმი მოსკოვს, აფხაზეთის გავლით რუსეთ-საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის პირობად აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მებაჟეებისა და მესაზღვრეების არდაშვებას უყენებს.**

**„კატეგორიული წინააღმდეგი ვართ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე იყოს თუნდაც ერთი ქართველი მებაჟე, ან სასაზღვრო პოსტი, წინააღმდეგ შემთხვევაში რკინიგზას არავის გავახსნევინებთ, ვფიქრობთ, რომ რუსეთის ხელისუფლებას ეს ესმის", — განუცხადა „ინტერპრესსნიუსს" სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრემიერმა ლეონიდ ლაკერბაიამ სოჭი-ინგირის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხებზე მსჯელობისას.**

**ლაკერბაია რუსეთს შეახსენებს, რომ „რეგიონში რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების დამცველი აფხაზეთია". მისივე განცხადებით, აფხაზეთი არ აპირებს რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესებით სპეკულირებას, მაგრამ მოსკოვმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს აფხაზეთის ინტერესები საქართველოსთან და სომხეთთან ურთიერთობების მოგვარებისას.**

**ლაკერბაია დარწმუნებულია, რომ რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების გადაჭრისას, რუსეთი ისეთ გადაწყვეტილებებს მიიღებს, რომელიც აფხაზეთის ინტერესებს შეესაბამება, რადგან, მისი აზრით, „რუსეთში მიხვდნენ, რომ აფხაზებს ისე უნდა ელაპარაკონ, როგორც თანასწორებს".**

**აფხაზეთის გავლით სოჭი-ინგირის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და რუსეთის ტრანსპორტის მინისტრმა იგორ ლევიტინმა თბილისში, 2005 წლის 16 დეკემბერს გამართულ საქართველო-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიის სხდომაზე მიიღეს.**

◉ პოზიცია

# „...ვიდრე ყველა მეფე და პრეზიდენტი ერთად აღებული"

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს

**თავს უფლებას არ მივცემთ და ვერ გავკადრებთ იმის შეხსენებას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს გეოლოგიურ სამსახურს ჩვენი ქვეყნისთვის. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ გეოლოგია სტრატეგიული მნიშვნელობის დარგია, ამავე დროს არის ჩვენი საარსებო გარემოს გეოდინამიკური მდგრადობის, უსაფრთხოების ძირითადი გარანტი.**

ექსპერტთა შეფასებით, გეოლოგთა მიერ მოძიებული წიაღისეული მარაგების ღირებულება 90 მილიარდი დოლარია, ასეთი მდიდარი წიაღისეულის ათვისება და დაცვა კი მხოლოდ წარმოების გეოლოგებს ხელეწიფებათ.

გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული გეოლოგიის დეპარტამენტის რეფორმის დღევანდელი მოდელი კი ნიშნავს დარგის სრულ ლიკვიდაციას, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ის სტრუქტურული ერთეული, რომელმაც უნდა შეცვალოს გეოლოგიის დეპარტამენტი და რომელსაც უნდა დაეკისროს იგივე ფუნქციები (სხვანაირად მისი არსებობა გაუმართლებელი იქნება) უნდა დაკომპლექტდეს დარგის ყველა მიმართულების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. ამ პრინციპით უნდა განისაზღვროს ამ სამსახურის რიცხოვნობაც. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის მიერ შემუშავებული სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამები ყოველწლიურად სტაბილურად უნდა დაფინანსდეს, სხვაგვარად წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის ყველა სახეობის სასარგებლო წიაღისეული რესურსების თუნდაც ზოგადი შეფასება და, ამრიგად, სალიცენზიოდ (სააუქციონოდ) მომზადება. ასეთი პროგრამების სტაბილურ დაფინანსებას აქვს კიდევ ერთი დიდი სახელმწიფოებრივი დატვირთვა. კერძოდ, საქმე ეხება ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და დახელოვნებას საველე პირობებში (კაბინეტურ პირობებში გეოლოგი პროფესიონალად ვერ ჩამოყალიბდება). გეოლოგების ახალგაზრდა თაობის გარეშე მთელი ის უზარმაზარი სიმდიდრე, რაც გეოლოგიურ ფონდებშია დაგროვილ-მოძიებული გეოლოგიური საბადოების მასალების და სხვა აუცილებელი გეოლოგიური საბუთების სახით, იქცევა მკვდარ, გამოუყენებელ კაპიტალად, რამდენადაც პრაქტიკაში მათ დასანერგად მხოლოდ პროფესიული ცოდნაა საჭირო.

**ეს არის გეოლოგიის დარგის გადარჩენის გზა. ხოლო ის, რომ განვითარებადი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა კოლოსალურ (მილიარდობით) თანხებს ახმარს გეოლოგიის დარგის შექმნას, თავისთავად მეტყველებს ამ დარგის შენარჩუნების აუცილებლობაზე ჩვენს ქვეყანაში.**

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა მთაგორიანია და მას გეოლოგიის ინტელექტი მუდმივად სჭირდება. ეს საჭიროა იმიტომაც, რომ სახლები, დაწესებულებები, ქარხნები, გაზნავთობსადენები, გზები, ხიდები, გვირაბები და სხვა საინჟინრო ნაგებობები საჭიროებენ ამ ფართობების წინასწარ საინჟინრო-გეოლოგიურ შესწავლას, ამავე დროს გამოკვლევებს განსაკუთრებით რადიაციაზე, რადგან რადიაქტიული კერები საქართველოში არც თუ იშვიათობაა.

საქართველო მცირე ფართის ქვეყანაა. ამდენად აუცილებელია მიწისქვეშა სივრცის ათვისება (სხვადასხვა საცავებისთვის, მიწისქვეშა სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებისთვის, სატრანსპორტო კომუნიკაციებისთვის და ა. შ.), აუცილებელია აერო და კოსმო, ფოტო კვლევების შემდგომი გაგრძელება-სრულყოფა, გეოლოგიური კვლევის დისტანციური მეთოდების დანერგვა-გამოყენება (აერო და კოსმოსური მასალის დეშიფრირება).

მცირედი პრეტენზია გვაქვს ახლად დაწყებულ სამუშაოებზე, რომლებიც შეწყდა მიმდინარე რეორგანიზაციის გამო და დადგენილ ვადებში უნდა გაგრძელდეს და დამთავრდეს.

**ამ წერილით არავის არ ვუჩივით, მხოლოდ ის გვსურს, რომ გაგაცნობოთ რეალობა. იმედს ვიტოვებთ, გაითვალისწინებთ ზე-**



**[illegible] და მომავლის წინაშე გამოუსწორებელ შეცდომებს არ დავუშვებთ...**

ქვეყნის ტერიტორიის პერსპექტიულობა, სხვადასხვა სახის და დანიშნულების წიაღისეულზე, ზოგ მოქმედ ობიექტებზე მარაგების შემცირება ან მისი სრული ამოღება, სამშენებლო ინდუსტრიის მკვეთრი აღმავლობა, საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სამსახურის საჭიროება, სეისმო და ეგზოგენური პროცესების გააქტიურება, სახალხო-სამეურნეო და სოფლის მეურნეობის გეოდინამიკური განვითარება, მომუშავე კურორტების მინერალური წყლებით შეუფერხებელი უზრუნველყოფა, ქალაქების და სოფლების სასმელი და ტექნიკური წყლით მომარაგება, მიწისქვეშა სასმელი წყლების საბადოების ათვისება და სხვა უამრავი გადასაწყვეტი საკითხის გათვალისწინებით, გეოლოგიის დეპარტამენტის ფუნქციონირება ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელია. სხვაგვარად მოსალოდნელია ნეგატიური მოვლენების უმართაობა.

ნობელის პრემიის ლაურეატის მ. სმიტის სიტყვებით, **„გეოლოგია ეკონომიკაა, ეკონომიკა კი უფრო მეტია, ვიდრე ყველა მეფე და პრეზიდენტი ერთად აღებული".**

**იური ბახტაძე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; გივი თოიძე, საქართველოს დამსახურებული გეოლოგი, ღირსების ორდენოსანი; ლევან ხარატიშვილი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი; ასლან სულაძე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კო-**

(სულ 66 ხელმოწერა).

ზრუნვა

# სითბო და სიყვარული არ დაიშურეს

**15 წელია, საქართველოს პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედებითი კავშირი მზრუნველობამოკლებულ ბავშვებისთვის მართავს საახალწლო ზეიმებს თბილისის ცირკში, დიდ საკონცერტო დარბაზსა და პროფკავშირების კულტურის რესპუბლიკურ ცენტრში, რითაც ათასობით ბავშვს ანიჭებენ სითბოსა და სიხარულს. რასაკვირველია, მხოლოდ თავიანთი ძალებით უჭირთ ასეთი ბავშვმრავალი ღონისძიებების მოწყობა, ამიტომაც დახმარებისთვის ბიზნესმენებს მიმართავენ ხოლმე.**

წლეულს საშობაო-საახალწლო საქველმოქმედო ზეიმის ორგანიზატორებს მხარში ამოუდგა სააქციო საზოგადოება „იბერია რეფრეშმენტსი" – პეპსი-კოლას ბოთლერი საქართველოში. მისმა კორპორაციული საქმეების დირექტორმა, ქალბატონმა ვიქტორია შტორმმა პირადად მოინახულა ყველა ბავშვთა სახლი, დაურიგა საჩუქრები და ბავშვები ზეიმზე მოიწვია, რისთვისაც 1000 ბილეთი შეიძინა. ბავშვთა სახლების აღსაზრდელები ორგანიზებულად ჩამოიყვანეს თბილისის ცირკში, ხოლო შემდეგ – პროფკავშირების კულტურის ცენტრში.

ბავშვებმა კარგად მოილხინეს თოვლის პაპასთან ერთად.

ნორჩებისთვის გამართულ ზეიმებში მონაწილეობდნენ ხელოვნების ცნობილი ოსტატები: ეთერ კაკულია, ოთარ ტატიშვილი, ინგა ბერაძე, ჯემალ მელქაძე, ვლად არამოვი, გიგი გეგელაშვილი, პაატა თედიაშვილი, მაკა ქაჯაია და ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები: „იქორი", „ჩვენი შვილები", „ალგეთი", ხელოვნების სკოლის საბალეტო სტუდია, თანამედროვე ცეკვის ანსამბლები.

„ძალზე სამწუხაროა, რომ ჩვენს პლანეტაზე კიდევ არსებობენ მშობელთა მზრუნველობას, სითბოსა და სიყვარულს მოკლებული ბავშვები. განსაკუთრებით მტკივნეულია ამაზე ფიქრი მაშინ, როდესაც შობა-ახალ წელს საკუთარ ოჯახებთან ერთად ვატარებთ, ამიტომაც უაღრესად ბედნიერი ვართ ჩვენი პატარა წვლილის შეტანით მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა საახალწლო ზეიმში. ჩვენ ყველას მოვუწოდებთ, გამოიჩინონ გულისხმიერება ასეთ ბავშვთა მიმართ, დაეხმარონ მათ", – ამბობს ქალბატონი ვიქტორია შტორმი.

**კახი გურული**







**სურათებზე: ქალბატონი ვიქტორია შტორმი; საახალწლო ზეიმის მონაწილენი.**

**ლევან ლომაძის ფოტო.**

ქველმოქმედება

# ქვეითისათვის მაღალთა ცანიცა ესმარებიან

**„რა მშვენიერი ეტლებია!" – აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ გუშინ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებაში შეკრებილი იმ უნარშეზღუდულთა ახლობლები, რომლებიც თავისიანებისთვის, მასპინძლების მიერ საგანგებოდ ძველით ახალი წლისათვის შეძენილ ეტლებს ზომების მიხედვით არჩევდნენ. ეტლების შერჩევა-აწყობაში მათ თავად გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი ეხმარებოდათ.**

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება განაგრძობს საახალწლო-საქველმოქმედო აქციებს. 1000-ზე მეტ სოციალურად დაუცველ ბავშვს საახალწლო ნაძვის ხის ზეიმზე დასასწრები ბილეთები დაურიგდათ, ამდენივე მზრუნველობას მოკლებული ბავშვი გაახარეს ნაძვის ხესთან მოლხენითა და თოვლის პაპის საჩუქრებით.

ამჯერად კი, ძველით ახალი წლისთვის ინვალიდის ეტლებით დასაჩუქრდნენ ადამიანები, მათ შორის ბავშვები, რომლებსაც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლიათ. ძირითადად ისინი, რომელთაც ინვალიდის ეტლების შეძენის საშუალება არა აქვთ. მათ დახმარებისთვის პროფკავშირებს მიმართეს. გაერთიანებამ, შემოქმედთა კავშირთან ერთად შეისწავლა თითოეული განცხადება, მათი ავადობის ისტორიები და ამის მიხედვით შეუძინა მათ ეს მართლაც ძვირფასი საჩუქარი.





რაიონებში მცხოვრებ უნარშეზღუდულთა ნათესავებს ეტლებთან ერთად, საახალწლოდ ტკბილეულიც უსაგზლეს.

თბილისში მცხოვრებ გადაადგილების უნარმოკლებულ ადამიანებს თავად გაერთიანების თავმჯდომარემ მიუტანა შინ ესოდენ საჭირო საჩუქარი.

როგორც ჩვენთან საუბარში ირაკლი პეტრიაშვილმა განაცხადა, პროფკავშირების გაერთიანება მსგავსი საქველმოქმედო აქციების გაგრძელებებს კვლავაც აპირებს.

**ბელა დურგლიშვილი**

ინფორმაცია

## ენერგეტიკოსებმა მადლობა დაიმსახურეს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 2005 წელს გაწეულ მუშაობას დადებითად აფასებს და ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს და ენერგეტიკოსებს მადლობას უხდის გაწეული მუშაობისთვის.**

**გუშინ ენერგეტიკის სამინისტროში პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა ჟურნალისტებს 2005 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში წარუდგინეს.**

**როგორც ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, ენერგეტიკული სექტორი საკმაოდ პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და ამიტომ ყველა დეტალი პირადად კონტროლზე ჰქონდა აყვანილი.**

**როგორც ნოღაიდელმა განაცხადა, 2003 წელს, როდესაც „ვარდების რევოლუცია" მოხდა, ენერგეტიკა სრულ კრიზისში იყო, ამიტომ 2004 წელი ვარდნის შეჩერების წელი იყო, ხოლო 2005 წელი - ძირითადი პრობლემების მოგვარების.**

**„წლევანდელი, 2006 წელი ენერგეტიკის განვითარების წელი უნდა იყოს", - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.**

**მისი თქმით, 2005 წელს მოხდა ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოელექტროსადგურების პრივატიზაცია, ახალი ქვესადგურების მშენებლობის დაწყება. გასულ წელს ძირითადი ამოცანა ენერგოსექტორის საიმედოობის და სიმძლავრეების გაზრდა იყო.**

## მკვლელობა საბერიოში

**გუშინ დილით, დაახლოებით 8.00 საათზე, თავდასხმა მოხდა გალის რაიონის სოფელ საბერიოში. დაუდგენელმა პირებმა საკუთარ ავტომანქანაში ჩაცხრილეს ენგურჰესის ქართველი ერთვნების თანამშრომელი, 32 წლის გენადი ფარულავა.**

**გენადი ფარულავა ენგურჰესის ქართულ კოლექტივში მუშაობდა. წინასწარი ინფორმაციით, თავდასხმის ადგილზე გადაადგილდებიან ენგურჰესის მხოლოდ აფხაზი ეროვნების თანამშრომლები. ჯერჯერობით დაუდგენელია თავდამსხმელების ვინაობა.**

**გალის რაიონის გამგებლის მოადგილე თორნიკე კილანავა აცხადებს, რომ ფარულავას ქართველი მოსახლეობა დადებითად ახასიათებდა. მისმა მკვლელობამ აღშფოთება გამოიწვია ენგურჰესის ქართული ეროვნების კოლექტივში და შესაძლოა, პროტესტის ნიშნად, ენგურჰესი დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში გაჩერდეს.**

## დავით მირცხულავას საქმის განხილვა განახლდება

**თბილისის სააპელაციო სასამართლო ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას საქმის განხილვას განაახლებს.**

**როგორც ინტერპრესნიუსს დაკავებულის ადვოკატმა ეკა ბესელიამ განუცხადა, იგი პროცესზე მირცხულავას წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებას მოითხოვს, რადგან საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ადამიანის წინასწარი პატიმრობის ვადა 4 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.**

**მისივე თქმით, აღნიშნული ვადა უკვე გასულია და ადვოკატს განსასჯელის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნა დავის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზეც შეუძლია.**

**სააპელაციო სასამართლოში დავით მირცხულავას ადვოკატები ყოფილი მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს განაჩენს ასაჩივრებენ, რომლის თანახმადაც მირცხულავას 10 წლით პატიმრობა მიესაჯა.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ კვირის თვალსაწიერი

# ბალი სულ სხვაა!..

(მეორე გვერდიდან)

მარტივი გამოანგარიშებით ეს ნიშნავს: თუ დღეს საქართველოში 4 მილიონი კაცია დარჩენილი, 1,6 მილიონი დაავადდება, მათგან კი 533 ათასი ახლავე უნდა უყრიდეს თავს ბაწარში.

ეპიდემია, რომელსაც თითქოს ყოვლად უვნებელი, ღიმილის მომგვრელი სახელი — ქათმის გრიპი ჰქვია, არადა მასტოდონტსაც კი წააქცევს, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევს, დიდძალი ადამიანური მსხვერპლითა და ეკონომიკური კატასტროფით გვემუქრება. და ახლა ხელისუფლების სიმარჯვეზეა დამოკიდებული, შევძლებთ მას წინ აღვუდგეთ, თუ არა. ყოველ შემთხვევაში, საყოველთაო სიფხიზლეზე მეტყველებს, რომ გზად მიმავალმა ჩვენმა პრეზიდენტმა მკვდარი ჩიტი შენიშნა და სათანადო სამსახურებმა უმალ ლაბორატორიაში გააქანეს შესამოწმებლად; სამხრეთ საქართველოში კი უკვე დაიწყო შინაური ფრინველის საყოველთაო ბართლომეს ღამე (გვაპატიეთ, ჩვენო ფრთოსანო დებო და ძმებო, რომ ადამიანთა გადარჩენა თქვენს განადგურებაზეა დამოკიდებულიძ.

ისე, ერთი უებარი წამალი ქათმის გრიპთან ბრძოლისა, თავის ქვეყანას (და, ამდენად, მთელ მსოფლიოსძრუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილემ ჟირინოვსკიმ შესთავაზა: ქუდზე კაცი გამოვიყვანოთ, ჯარიც ფეხზე დავაყენოთ და სამხრეთ საზღვრიდან არც ერთი გადამფრენი ფრინველი არ შემოვუშვათო. ერთი სიტყვით, ყოველგვარ სამხრეთულს ტყვია დავუშინოთ, არ გავაჭაჭანოთო. „სამხრეთში" ძირითადად ყირიმ-სოჭს შუა სივრცეს გულისხმობდა (კავკასიონის გადავლით ფრინველთა მიგრაცია არ ხდებაძ. ჩინეთიდან და ყაზახეთიდან რომ დაემუქროს გრიპი რუსეთს, როგორ უნდა აიცილონ თავიდან, ეს აღარ უთქვამს. ყოველ შემთხვევაში, ჯარი და სროლა უტყუარადაა მიჩნეული.

ერთი სიტყვით, გრიპი მოდის, მაგრამ, სანამ მოვა, ერთ სასიკეთო საქმეს კი გააკეთებს: მისი შეხვედრის ხმაური და აჟიოტაჟი ბევრ ისეთ ხმას გადაფარავს, რომელიც სხვა დროს, ალბათ, საქვეყნოდ გახმიანდებოდა და რომლის გახმიანებაც, არამც და არამც, ხელს არ აძლევს მავანთ. როგორც იტყვიან, „ზოგი ჭირი მარგებელია".

ახლა ქათმის გრიპიდან მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე გადმოვინაცვლოთ. ერთი პარადოქსული ვითარება გეცემა თვალში: პოლიტიკური ვნებათაღელვის საგანი გახდება არაპოლიტიკური ორგანიზაცია — ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის, რომ იგი საკმაოდ თამამ განცხადებებს აკეთებდა და ხელისუფლებას არ ეპუებოდა (ოპონენტები ამუნათებენ, რესპუბლიკური პარტიის სუნი აუვიდაოძ, აშკარა იყო. როგორც ჩანს, „ზემოთ" მოთმინების ძაფი გაუწყდათ და ურჩის ჩაჩუმება გადაწყდა.

ჩაჩუმების მეთოდი ამჯერად საგანგებოდ შეირჩა: ციხის შიგნიდან გატეხვა. ასოციაციის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას, იმ მოტივით, რომ არ ეთანხმებიან მის კურსს, აუყირავდნენ დამფუძნებლები, რომლებიც 2-3 წელია საერთოდ არ დაინტერესებულან მისი ცხოვრებით, არ დასწრებიან სხდომებს, არ გადაუხდიათ საწევრო (თვეობით და წლობით „მივიწყებულ" საწევროებს ახლა იხდიან დაკვრით და საბითუმო წესითძ. აჯანყების ტალღას, ბუნებრივია, რამდენიმე შინაური ნაფოტიც გაჰყვა...

ამ ბუნტის წამომწყებთათვის თვალის ერთი გადავლებაც კმარა, რომ მიხვდე, „ინიციატივა" მათი ოდენ „სულიერი პროტესტის" შედეგი არ არის, უფრო სხვა სარჩული უდევს — ასოციაციის გახლეჩვა. და თუ არ შიგნიდან გატეხვა, სხვაგვარად არასამთავრობო ორგანიზაციას ვერ წააქცევენ.

და არის ახლა „აქედან" და „იქიდან" პრესკონფერენციების ჯახაჯუხი. დაპირისპირება იმ დონემდეა გამწვავებული, რომ ერთ-ერთმა დამფუძნებელ-დამანგრეველმა, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ასოციაციის ამჟამინდელ და ყოფილ თავმჯდომარეებს ანა დოლიძესა და თინა ხიდაშელს „პირდაუბანელი დედაკაცებიც" კი უწოდა, თუმცა გაურკვეველია, რა მონაცემებს ეფუძნება მისი ეს მტკიცება.

შეიძლება არ მოგწონდეს მათი პოლიტიკური კურსი, ბოლოს და ბოლოს, მათი გარეგნობა (ნათქვამია, კაცია და გუნებაოძ, მაგრამ „პირდაუბანელობა" დასწამო ამ მშვენიერ ქალბატონებს, სწორედ გაუგებარია. უფრო სწორედ, გაუგებარი იქნებოდა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან დაკავშირებული მთელი ამ ამბის მწვავე პოლიტიკურ სარჩულს თუ არ გავითვალისწინებდით.

ისე, „პირდაუბანელობას" ხელი სულაც არ შეუშლია, მაგალითად, თინა ხიდაშელისთვის, შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი გამოკვეთილი სახე ყოფილიყო და იმათ გვერდით მდგარიყო, ვინც ახლა მას „პირდაუბანელს" უწოდებს. დღეს ის „პირდაუბანელია" იმიტომ, რომ რესპუბლიკელია და არა იმიტომ, რომ პირად ჰიგიენაზე არ ზრუნავს.

ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო. დღეს რომ მომხიბვლელი და ვარდი ხარ (თან რევოლუციურიცძ, ხვალ ფეთხუმად „იქცევი".

საქმეს სწორედ ისეთი პირი უჩანს, როგორც ლექს-ჰიმნშია „ბალი მინდა, მომე ბალი": ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იმ სახით, როგორც აქამდე იყო, ჩაიყლაპება. იგი, ალბათ, მთლიანად შეიცვლება, ანუ მორჩილად, ერთგულქვეშევრდომულად ჩადგება უსახურ ენჯეოთა ათასეულში, რომლებიც არც არაფერს მატებენ და არც არაფერს აკლებენ დღევანდელობას.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ამ მხრივ, ასე ვთქვათ, პირველი მერცხალია. აქლემი, რომელმაც მის კარს დაიჩოქა, უეჭველია, სხვის კარზეც დაიჩოქებს..

ბალი სულ სხვაა!..

**ალეკო ასლანიშვილი**

◎ ინფორმაცია

## ქათამი ეგონათ, ნაგავი გამოდგა

**საქართველო-თურქეთის საზღვარზე, ვალეს გამშვებ პუნქტზე „ქათმის გრიპის" შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ამის შესახებ, „ინტერპრესნიუსს" ახალციხის ვეტერინარული ლაბორატორიის წარმომადგენელმა ლევან ორკოშნელმა განუცხადა.**

**მისი თქმით, ვალეში ნაპოვნი პარკი, რომელშიც ინდაურის ბუმბული და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებია, ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ დაყრილი ნაგავია და არა — თურქეთიდან გადმოტანილი.**

## ჭოროხს დახოცილი ფრინველები მოაქვს

**მდინარე ჭოროხს თურქეთიდან დახოცილი ფრინველები მოაქვს.**

**თურქეთის მოსაზღვრე სოფელ კირნაფში მდინარემ სავსე ტომრით დახოცილი ქათმები გამორიყა. ტომარაში ათი დახოცილი შინაური ქათამი აღმოჩნდა.**

**დახოცილი ქათმების შესახებ ინფორმაცია აჭარის ვეტერინარიის დეპარტამენტის ცხელ ხაზზე შევიდა. მას ადგილობრივმა მოსახლეობამ შეატყობინა.**

**სპეციალური სამსახურის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ანალიზის ასაღებად მასალა უკვე უვარგისია, რადგანაც ქათმები ფაქტობრივად გახრწნილია.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ შაბათის სტუმარი

# ვის ეზოში არ შედიოდნენ მაკვანეთელი მეალილოეები

## და რამდენი საათი იფრინა ანზორ ერქომაიშვილმა 2005 წელს

**სანამ ჩვენი ძვირფასი ანზორ ერქომაიშვილი განვლილი 2005 წლის შემოქმედებითი მუშაობის „ანგარიშს ჩაგვაბარებს", შობაახალ წელს გულით გვილოცავს და გურულ კალანდას იგონებს.**

— იგი მთელ გურიაში და, ცხადია, ჩემ მშობლიურ სოფელ მაკვანეთშიც საზეიმოდ შემოდიოდა, — ამბობს ანზორი, — ჩვენი ოჯახი ტრადიციული იყო, ბაბუაჩემი — არტემ ერქომაიშვილი ედგა სათავეში და მგალობელთა ოჯახს ეძახდნენ... რახან მგალობლები იყვნენ, ოჯახი მარხულობდა კიდეც, რაც ჩვენზეც, ბავშვებზეც გადმოდიოდა...

ქრისტეშობა თენდებოდა ხსნილით, ბებია აცხობდა „მუცლის სალოცავს" (კვერში გარეულ მოხარშულ კვერცხსძ, მერე ამას სათითაოდ შემოგვავლებდა თავზე ბავშვებს, თან თავისთვის ბუტბუტებდა, ანზორის (ანდა, სხვებისძ თავის ტკივილი, მუცლის გვრემა, მაღლა ქარს გაატანე და დაბლა წყალსო... სხვათა შორის, მოგვიანებით, ცხონებული დედაჩემი ყოველ წელს ატარებდა ამ რიტუალს... ახლა ჩემი ცოლი აკეთებს... ჩამოივლიდნენ მეალილოეები, მათთვის კალათში გამზადებული იყო საჩუქრები და, აუცილებლად, ვერცხლის ფული... საინტერესოა, რომ მეალილოეები გალანძღული ოჯახის (ქურდი, შპიონი, გარყვნილი და ა. შ.ძ ეზოში არ შედიოდნენ, რაც, რა თქმა უნდა, ერთგვარი დასჯა იყო იმ ოჯახისა...

მთელი კვირა გრძელდებოდა ხალისიანი განწყობილება, რასაც კალანდა აგვირგვინებდა. აი, ამ



დღისთვის კი განსაკუთრებული სადილი მზადდებოდა, ხალხი დილაადრიან მიდიოდა ეკლესიაში წირვაზე (მე არ მოვსწრებივარ ამასძ, მერე კი თავთავიანთ ოჯახებში იკრიბებოდნენ საპურმარილოდ. ჩვენ ოჯახში, მაგალითად, ყველა სადღეგრძელოს გალობა უნდა მოჰყოლოდა. ესტუმრებოდნენ ბაბუას მთელ გურიაში განთქმული მომღერლები, ხშირად გიორგი ბაბილოძე თამადობდა, რადგან განუმეორებელ სიმღერასთან ერთად, ბრწყინვალედ იცოდა ეს საქმეც. ქეიფი ხშირად ორ დღეს გაგრძელებულა, რადგან ჩვენი ოჯახი გურული სიმღერის ოსტატებისთვის ერთგვარი ნავსაყუდელიც იყო — სუფრა არ მთავრდებოდა, ახალი და ახალი ჯგუფი მოდიოდა, გვილოცავდნენ, მღეროდნენ, გალობდნენ... დამამახსოვრდა ისიც, ბაბუა არტემი, ხონჩას რომ გაიტანდა მარანთან და იქიდან მოადგებოდა სახლის კარებს. „გამიღეთ კარი" — დაიძახებდა. „რა მოგაქვს?" — შეეპასუხებოდა ბებია. „მშვიდობა, ჯანმრთელობა, გამრავლება!" პასუხობდა ბაბუა. „კიდევ რა მოგაქვს?" — ეკითხებოდა ბებია. „პური, ღვინო, ხვავი და ბარაქა!" „კიდევ რა მოგაქვს?" — ჩაეძიებოდა ბებია — „მოყვრის, მეგობრის, ახლობლის სიმრავლე!" „მობრძანდი, მობრძანდი!" — უღებდა კარს ბებია და არტემიც სახებაბადრული შემოდიოდა...

***— თუ შემორჩა გურიაში დღეს ეს ტრადიცია?...*** — ვეკითხები თანამოსაუბრეს.

— იმ დონეზე არა, მაგრამ, მაინც იხდიან კალანდას... წარმოიდგინე, რომ, ჩვენ სოფელში, მაგალითად, ტრისტან და გური სიხარულიძეების გარდა, მომღერალი თითქმის აღარავინაა, არადა, კალანდა უმღერლად, რა ბედენაა...

***— იმ წლებს რაღა მოაბრუნებს, ბატონო ანზორ... ჰოდა, გადმოვიდეთ 21-ე საუკუნეში, და იმაზე ვესაუბროთ მკითხველს, თუ რით იყო ღირსსახსოვარი 2005 წელი ანსამბლ „რუსთავისთვის" და პირადად თქვენთვის...***

— გასული წელი, შეიძლება, ანსამბლ „რუსთავის" აღიარების კულმინაციად მივიჩნიოთ. თავად განსაჯეთ: შარშან გაერომ იაპონიის ქალაქ ნაგოიში თავისი არსებობის 60 წლისთავი საზეიმოდ აღნიშნა. აქ მონაწილეობის მისაღებად 100-ზე მეტი კანდიდატურა ყოფილა შერჩეული. იუნესკოს, ისე, რომ, ჩვენ არაფერი ვიცოდით, ანსამბლი „რუსთავიც" წარუდგენია. ხომ საამაყოა, რომ ამ 100 კანდიდატიდან მხოლოდ ჩვენ აგვირჩიეს „მწვანე შუქი" ნაგოიში წასასვლელად. იქ კი ჯერ დილის სხდომაზე გამოვედით რამდენიმე ნომრით, ხოლო, საღამოს, საათნახევრიანი კონცერტი გავმართეთ ზეიმის მონაწილეთათვის. ეს კონცერტი, ეს აღიარება, ყოველივე კასეტაზე გვაქვს გადაღებული, მაგრამ, ჯერჯეროზით, არც კულტურის სამინისტრო და არც რომელიმე ტელეარხი არ დაინტერესებულა მისი ჩვენებით. არადა, ეს ფაქტი მარტო ანსამბლ „რუსთავის" კი არა, საერთოდ, ქართული კულტურის კიდევ ერთ აღიარებად შეიძლება მივიჩნიოთ. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერები ვიყავით იმ საღამოს მე და ფრიდონ სულაბერიძე — ამ უდიდეს ორგანიზაციას იუბილე ქართულმა ანსამბლმა გადაუხადა.

გასულ წელს ვიყავით გერმანიაში, 4-5 მაისს ქვეყნის პრეზიდენტსა და კათალიკოს-პატრიარქს ვახლდით კუნძულ ტექსელზე, მერე ორჯერ იყო პოლონეთი, სექტემბერში, ისევ იაპონია „სუხიშვილებთან" ერთად, სადაც ბრწყინვალედ გამოვიდა ეს სახელგანთქმული მოცეკვავეთა ანსამბლი, იქიდან კი ერთთვიანი ტურნე გვქონდა ჰოლანდიაში...

2005 წელს, მე პირადად, სამხრეთ კორეის ქალაქ გან გუნში ლექციები წავიკითხე ქართული ხალხური სიმღერის შესახებ. არაჩვეულებრივად მიმიღეს. ქალაქის მერიამ მთხოვა, იქნებ საქართველოს რომელიმე ქალაქთან დაგვაძმობილოო. გან გუნი რალაცით ჰგავს ბათუმს, მეც ის ვარჩიე, ველაპარაკე ბატონ ლევან ვარშალომიძეს, რომელიც სიხარულით შეხვდა ამ ცნობას და გაზაფხულზე უკვე აპირებენ ქალაქ გან გუნის ხელისუფალთა მოწვევას ბათუმში ხელშეკრულების გასაფორმებლად... მერე, ბატონ ავთანდილ მიქაბერიძის მიწვევით, ათენში გახლდით, პოლიფონიური ანსამბლების ფესტივალზე, სადაც ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტის ანსამბლი „მეხური" (ბადრი თოიძის ხელმძღვანელობითძ დიდი წარმატებით გამოვიდა... ერთი სიტყვით, ჩემო ვილენ, დავიანგარიშე და აღმოჩდა, რომ 2005 წელს 120000 კილომეტრი მიფრენია... გასული წლის საქმიანობიდან აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის (პრეზიდენტი ბატონი ნიკო ლეკიშვილი, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელი თქვენი მონამორჩილიძ მიერ ხობში ჩატარებული (ბიზნესმენისა და მამულიშვილის გოდერძი ბუკიას მეოხებითძ მეგრული სიმღერის ფესტივალი.

გამოვეცით მონოგრაფიები მეგრული სიმღერის ოსტატების შესახებ, სასწავლო კომპაქტდისკები, უიშვიათესი ჩანაწერები, რაშიც დიდი დამსახურებაა ბატონ ვახტანგ როდონაიასი... და ასე შემდეგ...

***— არც მე და არც მკითხველს, რომელმაც თქვენი ფასი კარგად იცის, ანზორ ბატონო, ეს მიღწევები არ გვიკვირს... წელს რა გეგმები გაქვთ?***

— საგასტროლო ტურნე ლიტვაში, ფინეთსა და შვეციაში, ფრიდონ სულაბერიძე ახალ პროგრამას ამზადებს, მაისში მივფრინავთ სამხრეთ კორეაში, უნდა გამოვცეთ არტემ ერქომაიშვილის 100 გურული სიმღერის სანოტო კრებული, ვახტანგ როდონაიასთან ერთად გეგმაში გვაქვს 1901-1914 წლების უნიკალური ჩანაწერების გამოცემა, რაც დიდი შენაძენი იქნება ქართველი და არაქართველი ფოლკლორისტებისათვის.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

**ვილენ მარდალეიშვილი**

# თურქეთში „ქათმის გრიპის“ ვირუსმა ადამიანისთვის საშიში მუტაცია განიცადა

**თურქეთში „ქათმის გრიპით“ დაავადებულ ადამიანებში გამოვლენილი ვირუსი შეიძლება იმ მუტაციის შედეგი იყოს, რომელიც მას უფრო საშიშს ხდის ადამიანისთვის. ასეთი დასკვნა გააკეთეს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და ბრიტანეთის სამედიცინო კვლევის სპეციალიზებული საბჭოს ექსპერტებმა. ვირუსს, რომელიც ერთ-ერთ დაღუპულს შეეყარა, აღმოაჩნდა „მუტაცია რეცეპტორებზე ფიქსაციის სისტემაში“, ნათქვამია ექსპერტთა ერთობლივ განცხადებაში. ერთ-ერთი ასეთი მუტაცია 2003 წელს ჰონკონგში (სიანგანიძ და 2005 წელს ვიეტნამში ცალკეული შემთხვევებისას აღინიშნა.**

მუტაციის შემდეგ ვირუსის თავისებურება ის არის, რომ იგი ადამიანის უჯრედებს უფრო ადვილად აზიანებს, ვიდრე ფრინველისას.

დოკუმენტში აგრეთვე ნათქვამია, რომ თურქეთში ორ დაავადებულ პაციენტში აღმოჩენილი ვირუსის ნიმუში ძალიან წააგავს თურქეთში ფრინველთა შორის გამოვლენილი „ქათმის გრიპის“ ვირუსს და საკმაოდ ახლოსაა ვირუსთან, რომელიც 2005 წლის აპრილის დამლევს ჩინეთში ცინხაის ტბის ნაკრძალში მიმომფრენ ფრინველთა მასობრივი ეპიდემიისას დაფიქსირდა.

ჯერჯერობით გამოვლენილ მუტაციებს „ქათმის გრიპი“ ერთი ადამიანიდან მეორეზე არ გადააქვს, რისიც ასე ეშინიათ სპეციალისტებს.

ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ თურქეთში გამოვლენილი ვირუსები იკურნება ორი სახეობის პრეპარატით – „ოსელტამვირით“ და „ამანტადინით“, რომელიც უფრო „ტამიფლუს“ სახელწოდებითაა ცნობილი. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია სწორედ მის გამოყენებას ურჩევს ავადმყოფებს.

თურქეთში „ქათმის გრიპით“ დაღუპულთა საერთო რაოდენობამ სამ კაცს მიაღწია. სულ ამ სენით იქ 18 კაცი დაავადდა.




# პოლიციას ჭყლეტაში ბრალი არ მიუძღვის



**საუდის არაბეთის ხელისუფლებამ უარყო ვარაუდი, თითქოს ქვეყნის პოლიციას მეტის გაკეთება შეეძლო ჰაჯის დროს ჭყლეტის თავიდან ასაცილებლად, რომლის შედეგადაც 345 მუსლიმანი დაიღუპა და ასობით დაშავდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მომლოცველთა ასეთი სიმრავლის პირობებში პოლიციის უფრო მკაცრ კორდონებს შეიძლება სიტუაცია კიდევ უფრო გაეუარესებინა.**

ჭყლეტა მოხდა მინაში ეშმაკის ქვებით ჩაქოლვის რიტუალის პროცესში. ეს აქ მომხდარი პირველი ასეთი შემთხვევა როდია, თუმცა ბოლო 16 წლის განმავლობაში ამჯერად ყველაზე მეტი ხალხი დაიღუპა.

# ირანმა შეიძლება ბირთვული პროგრამის თაობაზე მოლაპარაკება შეწყვიტოს

**ირანი დაიმუქრა, რომ მთელი ბირთვული პროგრამის თაობაზე ყოველგვარ მოლაპარაკებას შეწყვეტს, თუ ეს საკითხი განსახილველად გაეროს უშიშროების საბჭოს გადაეცემა.**



მანამდე შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა გაეროს მოუწოდა, საკადრისი პასუხი გასცენ ირანის „გამომწვევ მოქმედებას“ ბირთვული პროგრამის საკითხში. ასევე სამი ევროპული ქვეყნის – დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ირანთან ბირთვული მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. ევროპის „სამეული“ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს საგანგებო სხდომის მოწვევას მოითხოვს. ამ სააგენტოს სხდომის შედეგად „ირანის დოსიე“ უნდა გადაეცეს გაეროს უშიშროების საბჭოს, რომელიც ირანის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების საკითხს განიხილავს.

რუსეთი, რომელიც ადრე „ირანის დოსიეს“ განხილვის წინააღმდეგი იყო, ახლა მზადაა მოვლენათა ამგვარი განვითარებისათვის. თეირანის ბოლოდროინდელმა მოქმედებამ მოსკოვი აიძულა სხვა კუთხით შეეხედა ირანის ბირთვული პროგრამისათვის. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, „ეკონომიკური ლოგიკისა და რეალური პრაქტიკული აუცილებლობის უქონლობა ბადებს ეჭვს, რომ ამ პროგრამას შეიძლება ფარული სამხედრო ასპექტები ჰქონდეს“.

# მოკლედ

**ისრაელზე იერიში მიიტანეს 5-მილიმეტრიანმა ცეცხლოვანმა ჭიანჭველებმა, რომლებსაც ძალიან ძლიერი შხამი აქვთ. მათი ნაკბენი მტკივნეულია და დამწვრობასავით გამოიყურება. ავსტრალიასა და შეერთებულ შტატებში ამ ჭიანჭველების ახლო ნათესავი უკვე გამოცხადდა დამპყრობლად, და მოქალაქეებმა მისი აღმოჩენისთანავე უნდა აცნობონ ხელისუფალთ.**

* * *

**ტაილანდში ასამართლებენ 23 წლისა და 24 წლის ტაილანდელ მეთევზეებს, რომლებმაც სიამის ყურეში კუნძულ სამუის რაიონში 1 იანვარს გააუპატიურეს და მოკლეს ბრიტანელი ქალიშვილი. მსხვერპლის გვამი სამი დღის შემდეგ იპოვეს.**

* * *

**1991 წლის იანვრის მოვლენების მე-15 წლისთავს ლიტვაში კოცონებით აღნიშნავენ. მაშინ სსრ კავშირის ხელმძღვანელობა კატეგორიული წინააღმდეგი იყო ლიტვის პარლამენტის მიერ დამტკიცებული დეკლარაციისა სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ. მოსკოვისა და ვილნიუსის დაპირისპირება ლიტვის დედაქალაქში საბჭოთა ჯარების შეიარაღებულ აგრესიაში გადაიზარდა. ლიტვის პარლამენტთან და ტელეცენტრის შენობასთან შეტაკებების დროს 13 მოქალაქე დაიღუპა, ბევრად მეტი დაიჭრა. ამ საქმის გამოძიებამ 5 წელზე მეტ ხანს გასტანა.**

* * *

**ისრაელი მზადაა, ირანთან მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში, მის წინააღმდეგ ბუნკერსაწინააღმდეგო ბომბები გამოიყენოს. ირანის ხელისუფლება აცხადებს, რომ ყველაფრისთვის მზადაა. დასავლეთის ქვეყნებისადმი მიმართვაში თეირანი აღნიშნავს, რომ „გამოწვევა მიღებულია“ და ვერც ევროპელები, ვერც ამერიკელები და ვერც ისრაელები ვეღარ შეაჩერებენ ირანის ბირთვულ ობიექტებზე უკვე დაწყებულ ბირთვულ შეიარაღებას.**

# ეკონომიკური სასწაულები

*არის ქვეყნები, რომლებმაც შეძლეს სულ რამდენიმე წელიწადში მოწინავეები გამხდარიყვნენ. ამას „ეკონომიკურ სასწაულს“ უწოდებენ. რა აქვთ მათ საერთო? პირველ რიგში ეს არის ბაზრის დახმარება სახელმწიფოს მხრიდან. მკაცრად რეგულირდება საბაჟო გადასახადები. ზოგჯერ ამა თუ იმ საქონლის იმპორტ-ექსპორტი საერთოდ იკრძალებოდა. ასე გრძელდებოდა, ვიდრე ქვეყნები ლიდერები არ გახდებოდნენ. ამის შემდეგ იხსნებოდა ყველა შეზღუდვა.*

*მაგრამ ამასთან ხელისუფლება ბიზნესს მკაცრად არ ახვევდა თავს საკუთარ პოლიტიკას. იაპონიაში, კორეასა და ომისშემდგომ საფრანგეთშიც კი გეგმებს იყენებდნენ. მათი შესრულება სავალდებულო არ იყო, თუმცა ამ გეგმებში მაინც იდებოდა ზრდის ტემპები, ექსპორტისა და იმპორტის მოცულობები და ა. შ. ხდებოდა გეგმების ფართო განხილვა საზოგადოებისა და მეწარმეების მიერ.*

*კიდევ ერთი თავისებურება, რომელმაც ყველაზე ნათლად ჩინეთის რეფორმებში იჩინა თავი: სახელმწიფო ყველანაირად ცდილობდა ზარალი აენაზღაურებინა იმათთვის, ვინც გარდაქმნების შედეგად იჩაგრებოდა. გარდა ამისა, ჩინელები კვირაში 7 დღეს მუშაობენ.*




**როდის:** XIX საუკუნის ბოლომდე მთავარ მსოფლიო სახელმწიფოდ რჩებოდა.

როგორ: გადასახადი მზა ტანსაცმელზე უფრო დაბალი იყო, ვიდრე მატყლზე.

შემოღებული იქნა მაღალი საბაჟო გადასახადების (ზოგჯერ კი სრული აკრძალვაცძ მატყლის გატანაზე. უცხოეთში მხოლოდ მზა ტანსაცმლის გაყიდვა შეიძლებოდა, ამასთან სახელმწიფო აკონტროლებდა მის ხარისხს, რათა ინგლისური საქონლის მაღალი რეპუტაცია დაეცვა.




**როდის:** XX საუკუნის დამდეგს ინგლისს გაუსწრო.

როგორ: აქტიურად ავითარებდა მრეწველობას. საკუთარი მეწარმის მხარდასაჭერად აწესებდა მაღალ ბაჟს იმპორტზე. ასტიმულირებდა ახალგაზრდა დარგებს (მაგალითად, მანქანათმშენებლობასძ. გამოცხადდა ლოზუნგი „Be American – Buy American“ (თუ ამერიკელი ხარ, იყიდე ამერიკულიძ.




**როდის:** 1970-2000 წლებში ერთ სულ მოსახლეზე შიდა საცალო პროდუქტის დონის მიხედვით აშშ-ს გაუსწრო.

როგორ: მას შემდეგ, რაც ნავთობის დიდი საბადო აღმოაჩინეს, ხელისუფლებამ ის კერძო კომპანიებს კი არ მისცა მოსაპოვებელი სამუშაოებისთვის, არამედ საკუთარი კონტროლის ქვეშ აიყვანა. ნავთობმომპოვებელი კომპანია ნორვეგიაში დღემდე 60 პროცენტით სახელმწიფოს საკუთრებაა. ნავთობი ზღვაში აღმოჩნდა, მის მოსაპოვებლად რთული ტექნოლოგია გახდა საჭირო – ამან ნორვეგიის მრეწველობის აღმავლობა გამოიწვია. ნედლეულის ექსპორტით მიღებულ შემოსავლებს ნორვეგია მომავალ თაობათა ფონდში აგროვებს.



ჩინეთი

**როდის:** 1990-1994 წლებში აჩვენებდა შიდა საცალო პროდუქტის ზრდის ფანტასტიკურ ტემპებს – 9-10 პროცენტს.

როგორ: ფასების გათავისუფლება ჩინეთში 15 წელი გრძელდებოდა (1970-დან 1993 წლამდეძ. იმავდროულად არსებობდა როგორც რეგულირებადი (გეგმის ფარგლებში შემავალი პროდუქციისთვისძ, ისე საბაზრო ფასები (ზეგეგმიური პროდუქციისთვისძ.

ჩინეთში იქმნებოდა თავისუფალი ეკონომიკური ზონები (თავიდან ორ პროვინციაშიძ, სადაც საწარმოებს უფლება მიეცათ დამოუკიდებლად გაეყიდათ საქონელი საზღვარგარეთ. უცხოეთიდან ინვესტიციები ძირითადად უცხოეთში მცხოვრები ჩინელებისგან მოდიოდა. პრივატიზაცია დღემდე არ ჩატარებულა.



აღმოსავლეთაზიური ვეფხვები: იაპონია, კორეა, ტაივანი

**როდის:** სამხრეთ კორეის ეკონომიკა 1963-1991 წლებში და იაპონიის ეკონომიკა 1953-1972 წლებში წელიწადში საშუალოდ 9 პროცენტით იზრდებოდა.

როგორ: აქტიურად გამოიყენებოდა დაგეგმვა. გეგმები დარგობრივ ასოციაციებთან ერთად დგებოდა და როგორც წესი, გადაჭარბებით სრულდებოდა. სახელმწიფო აძლევდა პატარა კრედიტებს იმ დარგებს, რომლებითაც დაინტერესებული იყო, რამაც შემდგომში ამ დარგებში კერძო კაპიტალი მიიზიდა. რეფორმები აუჩქარებლად მიმდინარეობდა: ვაჭრობის ლიბერალიზაცია 15-20 წელი გაგრძელდა.

**ქვეყნის გასაგონად!**

# არასამთავრობოებს უცხოეთის დახმარების იმედი აქვთ

**ექსპერტი ნიკო ორველაშვილი ვარაუდობს, რომ თუ სიტუაცია არ შეიცვალა, საქართველო ახლო მომავალში მეორე ბელორუსია გახდება**

**მაშინ, როცა საქართველოს პრეზიდენტი ოჯახითურთ ბაკურიანს სტუმრობდა, თბილისში, სასტუმრო „მარიოტში“ არასამთავრობო ორგანიზაციები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები უცხოელ ექსპერტებთან ერთად კონფერენციას მართავდნენ. თუ პრეზიდენტი თავისუფალი ბიზნესის არსებობით, გუდაურსა და ბაკურიანში სასტუმროების მშენებლობით, საბაგირო გზის გახსნით თავს იწონებდა, არასამთავრობოები ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების შებღალვაზე, ბიზნესის დაშინებაზე, თავისუფალი სიტყვის შეზღუდვაზე საუბრობდნენ.**

კონფერენცია მიეძღვნა საქართველოში დემოკრატიული მშენებლობისა და სამოქალაქო საზოგადოების პრობლემურ საკითხებს. ყურადღება ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე გაამახვილეს: საინფორმაციო სივრცის შეზღუდვა, ზეწოლა სასამართლო ხელისუფლებაზე და მესამე სექტორზე. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაწვრილებით საუბრობდნენ ხელისუფლების მხრიდან სხვადასხვა კანონდარღვევებზე. ისინი იმედოვნებენ, რომ უცხოელი ექსპერტების შეფასებები სიტუაციის ადეკვატური იქნება და მათ რეკომენდაციებს საქართველოს ხელისუფლება გაითვალისწინებს.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ნინო გვენეტაძე. მოსამართლეები სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ და ითხოვენ უკანონო, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გაუქმებას და გამართლებას სადისციპლინო სამართალწარმოების კუთხით. მიიჩნევენ, რომ უდანაშაულონი არიან და მათ მიმართ პოლიტიკური დევნა უნდა შეწყდეს. — ჩვენ არ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ სადიციპლინო საბჭოს ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, მაგრამ უამისოდ უზენაეს სასამართლოს სადიციპლინო კოლეგიას ვერ მივმართავთ, — განაცხადა ნინო გვენეტაძემ.

გამომსვლელების სიტყვაში ერთიდაიგივე ფრაზები ისმოდა, რომ ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს ჩაკლას დამოუკიდებელი აზრი, მმართველ ძალას არ ესმის, რომ ჯანსაღი ოპონირება, უპირველესად, თავადვე სჭირდება.

ექსპერტი ნიკო ორველაშვილი ვარაუდობს, რომ თუ სიტუაცია არ შეიცვალა, საქართველო ახლო მომავალში მეორე ბელორუსია გახდება. ამიტომ საჭიროდ მიიჩნევს საერთაშორისო ორგანიზაციებმა მიიღონ სწორი, ობიექტური ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე. ამასთან: — უცხოელმა ექსპერტებმა შეწყვიტონ უსაფუძვლო ხოტბა-დიდება საქართველოს ხელისუფლებისა და დიპლომატიურმა კორპუსმა სახელმწიფოს პირველ პირებს პასუხი მოსთხოვოს ბოლო დროს გადადგმულ უკანონო ნაბიჯებზე: სასამართლო სისტემა პრაქტიკულად დაიქვემდებარა ხელისუფლებამ, ზეწოლაა მედიასა და არასამთავრობოებზე, ბიზნესმენებზე და ა. შ. იქნებ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევით მაინც გამოსწორდეს ვითარება, — ამბობს ნიკო ორველაშვილი. მისი თქმით, დღემდე საერთაშორისო ექსპერტების შეფასებები არ არის მხოლოდ დადებითი, უბრალოდ, მათ აქვთ შენიშვნის ისეთი ფორმა, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას არ ესმის, ისინი, ჩვენი პრეზიდენტისგან და მინისტრებისგან განსხვავებით არ იგინებიან, არ კივიან, უბრალოდ, შეშფოთებას გამოთქვამენ ზომიერი და კულტურული ფორმებით.

100-მდე არასამთავრობო ორგანიზაციისგან შექმნილი კოალიცია სისტემატურად მოახდენს რეაგირებას ქვეყანაში მიმდინარე კანონდარღვევებზე და მუდმივად მიაწოდებენ ინფორმაციას საერთაშორისო საზოგადოებას. გუშინდელ კონფერენციაზე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს არსებულ ვითარებაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ, ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებენ.



**ლელა ცქიტიშვილი**

**ვითარება**

# რატომ ებრძვიან ახალგაზრდა იურისტებს

**(მეორე გვერდიდან)**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ის მიზეზები, რის გამოც, მათი აზრით, ხელისუფლება ებრძვის ასოციაციას, პლაკატებზე დაბეჭდა და საკუთარ ოფისში გამოაკრა.

ჩამოთვლილ ბევრ მიზეზთაგან კი რამდენიმე ამგვარია:

ჩვენ გვებრძვიან იმიტომ, რომ:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამხილა პრეზიდენტი და მთავრობა 116 მილიონი ლარის უკანონო ხარჯვაში.

ხოლო ერთ-ერთი მიზეზი კი ალბათ პირდაპირ ხსნის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისადმი გამოვლენილ განსაკუთრებულ აგრესიას და შეურაცხმყოფელ განცხადებას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ თავდაცვის სამინისტრო ამხილა, რომ ის ვაზიანის სამხედრო ნაწილსა და დევნილების დასახლებას სასმელი წყლის ნაცვლად კანალიზაციის წყალს ასმევდა და ამას გულმოდგინედ უმალავს მოსახლეობას.

**ჯაბა ხუბუა**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

**9 იანვარს ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სჰეფერმა განაცხადა, რომ უკრაინა შეიძლება უკვე 2008 წელს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების შემდეგ ტალღაში მოხვდეს. ამავე დროს ნატოსთან შეერთების გეგმის განხორციელებაზე გადასვლას თბილისი მიმდინარე წლის დამლევს აპირებს. „ნეზავისიმაია გაზეტასათვის“ მიცემულ ინტერვიუში სიტუაციას აფასებს კოლექტიური უსარფთხოების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ნიკოლაი ბორდიუჟა.**

## მოსკოვთან უნდა იმეგობრონ

**— ნიკოლაი ნიკოლაევიჩ, როგორ ფიქრობთ, მოიგებს თუ არა კიევი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლით?**

— ვფიქრობ, არა. ჩემი მოსაზრება ემყარება გამოცდილებას, რომელიც შევიძინე, როცა ელჩად ვმუშაობდი ნატოს ერთ-ერთ აქტიურ წევრ სახელმწიფოში. მე მგონი, უკრაინა წააგებს, თანაც ძალიან ბევრს. საქმე ის გახლავთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები როგორც იყვნენ ნატოსთვის და სხვა ევროპული სტრუქტურებისათვის მეორეხარისხოვანი სახელმწიფოები, ახლაც ასეთები არიან და კიდევ დიდხანს იქნებიან. და ის, რომ უკრაინა, რომელსაც რეალური შანსი აქვს გახდეს ჩვენი ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი და უზრუნველყოს უსაფრთხოება სახელმწიფოთა სისტემაში, რომლებსაც ნამდვილად შეუძლიათ დაეხმარონ მას, ამის სანაცვლოდ კი ნატოსკენ ისწრაფვის, უდიდესი შეცდომაა.

**— იგივე შეგიძლიათ თუ არა თქვათ საქართველოს მიმართ?**

— საქართველოს მიმართ კიდევ უფრო მკაცრად ვიტყოდი. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოს დღეს არც მრეწველობა აქვს, არც სოფლის მეურნეობა, არც გასაღების ბაზრები, მას ნორმალურად ცხოვრება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ რუსეთის მოკავშირე იქნება და მასთან ითანამშრომლებს. მით უმეტეს, რომ ასე იყო ასწლეულების განმავლობაში...

**— რომელ ქვეყნებს ისურვებდით ორგანიზაციის შემადგენლობის წევრებად?**

— იგივე საქართველო ადრე იყო კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი. ურიგო არ იქნებოდა, იგივე უკრაინას ეთანამშრომლა ორგანიზაციასთან, რადგან თითქმის საერთო პრობლემები გვაქვს. და აზერბაიჯანი...

**— მაგრამ ორგანიზაციაში შესვლით დაინტერესება შარშან ჯერჯერობით მხოლოდ უზბეკეთმა გამოთქვა...**

— ტაშკენტის მხრიდან გარკვეულ ინტერესს ვგრძნობთ, იქ სწავლობენ ორგანიზაციაში არსებულ ვითარებას. თუმცა შემოერთების განაცხადი უზბეკეთისაგან ჯერ არ მიგვიღია. პირადად მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უზბეკეთის ხელმძღვანელობა მიიღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების სისტემაში შემოსვლის თაობაზე და ეს უაღრესად სწორი ნაბიჯი იქნება. ეს წაადგება როგორც უზბეკეთს, ისე ხელშეკრულების ორგანიზაციის სხვა წევრებსაც. ტაშკენტთან ეფექტიანი ურთიერთმოქმედების გარეშე საკმაოდ რთულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ცენტრალური აზიის რეგიონში პრობლემების გადაჭრა.

**— ბევრი ორგანიზაციაში მოსკოვის უპირატეს როლს ხედავს და ამიტომ „ექვსთა კავშირს“ გარკვეული ეჭვით უყურებს.**

— ჩვენი ორგანიზაციის მუშაობაში რუსეთის რაიმე უპირატესი როლი ან, როგორც ჯერ კიდევ ამბობენ ხოლმე „მოსკოვის ხელი“, სრულიად გამორიცხულია. რადგან ორგანიზაციის ფარგლებში ყველა გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსით, ანუ როცა ყველა ექვსივე წევრი თანახმაა. თუნდაც ერთი სახელმწიფო თუ რამეს არ ეთანხმება, გადაწყვეტილება არ მიიღება.

**— თავად კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაციას ნატოსთან მეგობრობა ჯერჯერობით არ გამოსდის.**

— ეს არც არის ჩვენი ორგანიზაციის მიზანი. ორგანიზაციის კოლექტიური უსაფრთხოების საბჭოს პოზიცია, უწინარეს ყოვლისა, ის გახლავთ, რომ მრავალვექტორიანი საქმიანობა გვქონდეს ბევრ საერთაშორისო სტრუქტურასთან თანამშრომლობის მიმართულებით. მათ შორის ნატოსთანაც. ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ პირველი საინიციატივო ნაბიჯები გადავდგით, როცა შევთავაზეთ თანამშრომლობა როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულ პრობლემებზე. მაგალითად, როგორიცაა ავღანეთიდან ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ მოქმედება.

**— თვითონ შეერთებული შტატები და ანტითალიბური კოალიციის სხვა ქვეყნები რატომ არ ებრძვიან ავღანეთში ნარკოტიკებს?**

— ეს შეკითხვა დავუსვი ერთ-ერთ ამერიკელ გენერალს, შეერთებული შტატების მანასეს ავიაბაზის სარდალს: რატომ არ გაანადგურეთ და არ ანადგურებთ ყაყაჩოს პლანტაციებს, ჰეროინის წარმოების ლაბორატორიებს-მეთქი. მან მიპასუხა: ბრძანება არ მიგვიღიაო... გარდა ამისა, დღეს ავღანეთში საკმაოდ რთული პოლიტიკური სიტუაციაა, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობაზე.

## ორი ორგანიზაცია ნატოს წინააღმდეგ

**— შეუძლიათ თუ არა პერსპექტივაში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას, რომლის ფარგლებშიც შარშან დიდი სამხედრო წვრთნის სერია გაიმართა, და კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაციას გაერთიანდნენ, რათა წინააღუდგნენ აღმოსავლეთისკენ ნატოს გაფართოებას?**

**მოსკოვი საქართველოსა და უკრაინას ექვსთა კავშირში იწვევს**

— ეჭვი მეპარება. ამ ორ ორგანიზაციას, რა თქმა უნდა, პოტენციალების გაერთიანება შეუძლია, რათა ერთად გადაჭრან უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ბევრი დღევანდელი პრობლემა. თუ ამას კიდევ ნატოს პოტენციალსაც დავუმატებთ — ასეთი კი, როგორც ცნობილია, აზიაში უკვე არსებობს, კერძოდ, ავღანეთში, — ამ რეგიონში უსაფრთხოების სისტემის კონფიგურაცია ბევრად უფრო ეფექტიანი იქნებოდა.

**— ხომ არ შიშობთ, რომ თუ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში სამხედრო თანამშრომლობა განვითარდება, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის მნიშვნელობა შეიძლება საგრძნობლად შემცირდეს?**

— ვფიქრობ, ამის საფუძველი არ არსებობს. ვინაიდან შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფოები, რომლებსაც, ერთი მხრივ, საერთო ინტერესები, მრავალი მიმართულებით პოლიტიკაში ვექტორების თანხვედრა აქვთ, მაგრამ მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიმართულებებით მაინც განსხვავებული პოზიციები უკავიათ. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში არ არის ინტეგრაციის ისეთი დონე, როგორც კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას აქვს. იმის გათვალისწინებით კი, რომ ამ კავშირში მეთვალყურეებად მიღებულია კიდევ რამდენიმე სახელმწიფო, არა მგონია, რომ ოდესმე შანხაის ორგანიზაციამ პოლიტიკური შეხედულებების თანხვედრის და სამხედრო თანამშრომლობის ისეთ დონეს მიაღწიოს, ჩვენს ორგანიზაციას რომ აქვს.

## ექვსთა რესურსი

**— თქვენ არაერთგზის შეხებიხართ წევრ ქვეყნებში შიდა კონფლიქტების გადაჭრაში კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის პოტენციალის შესაძლო გამოყენების თემას...**

— ჩემი სიტყვების განმარტებისას, ხშირად აზრს ამახინჯებენ. ხაზს ვუსვამ: სხვა სახელმწიფოს, მათ შორის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ორგანიზაციის მხრიდან რაიმე ჩარევაზე, მათ შორის სამხედრო ჩარევაზე, ლაპარაკიც კი ზედმეტია. ორგანიზაციის ფარგლებში არსად, არასდროს და არანაირ დონეზე არ ყოფილა და, იმედია, არც იქნება განხილული სამხედრო ძალის გამოყენება ან საერთოდ, ძალოვანი გადაწყვეტილებები შიდა კონფლიქტების მიმართ, რომლებიც ბოლო წლებში მოხდა მთელ რიგ სახელმწიფოებში. ორგანიზაცია სულ სხვა მიზნებითაა შექმნილი.

მთელი ეს „ხავერდოვანი რევოლუციები“, თუ სახელმწიფოს სუვერენიტეტს უშუალოდ არ ხელყოფს, — მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის საშინაო საქმეა. ორგანიზაციის პოტენციალი შეიძლება ამოქმედდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ დაპირისპირებულმა პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანაში ძალაუფლებას ესწრაფვიან, საქმე არ მიიყვანონ შეიარაღებულ კონფლიქტამდე, სისხლისღვრამდე, მასობრივ არეულობამდე.

ეს, უწინარეს ყოვლისა, იმ პრეზიდენტების პოლიტიკური პოტენციალია, რომლებიც ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს ხელმძღვანელობენ.

**— წარმოვიდგინოთ სხვაგვარი სიტუაცია. ახლა მეტად რთული ურთიერთობა აქვთ სომხეთსა და აზერბაიჯანს. ბაქოში აშკარად აცხადებენ, რომ მზად არიან შეიარაღებული გზით გადაჭრან ერევნის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის (მთიანი ყარაბაღი) პრობლემა. თუ აზერბაიჯანი თავს დაესხმის სომხეთს, გამოიყენებს თუ არა ამ შემთხვევაში ორგანიზაცია თავის სამხედრო პოტენციალს?**

— არსებობს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მეოთხე მუხლი, სადაც მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს ან ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიას ხელშეკრულების მონაწილე ყველა დანარჩენი სახელმწიფო განიხილავს, როგორც აგრესიას ყველას მიმართ. ამიტომ აქ კომენტარი ზედმეტია. თუმცა ორგანიზაციის მთავარი ამოცანა, მიუხედავად იმისა, რომ მას სამხედრო პოტენციალი აქვს, ის გახლავთ, რომ შექმნას ისეთი სისტემა, რომლის დროსაც შეიარაღებული ძალების ამოქმედება საჭირო არ იქნება. საერთოდ, თავისი არსით ხელშეკრულება მიზნად ისახავს არ დაუშვას სისხლისღვრა, ძალისმიერი ვარიანტები ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სხვა სახელმწიფოების საზღვარზე.

## სამხედრო ყოფნა

**— და მაინც, ორგანიზაციის ფარგლებში დიდი საჯარისო დაჯგუფებები არსებობს. ისინი ფიქცია ხომ არ არის? გვითხარით მათ შესახებ.**

— დღეს ორგანიზაციის ფარგლებში ორი საჯარისო დაჯგუფებაა — აღმოსავლეთ ევროპის (რუსეთ-ბელარუსიის) და კავკასიის (რუსეთ-სომხეთის). მათ შემადგენლობაში საკმაოდ ბევრი გაერთიანება, შენაერთი და ნაწილია. მშვიდობიანობის ჟამს ყველა ეროვნული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ფუნქციონირებს. საგანგებო პერიოდისათვის, სახელმწიფოთა მეთაურების მიერ დამტკიცებული დოკუმენტების შესაბამისად, იქმნება ერთიანი დაჯგუფება, რომელიც გარკვეული გეგმით მოქმედებს.

**— წელიწადზე მეტი ხნის წინათ თქვენ ორგანიზაციის ჯარების სამხრეთ დაჯგუფების შექმნის პერსპექტივებზე ლაპარაკობდით. ეს საქმე ხომ არ შეფერხდა?**

— არა, რატომ. არსებობს პოლიტიკური გადაწყვეტილება ოთხმხრივი (ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი და ტაჯიკეთი) საჯარისო დაჯგუფების შექმნის თაობაზე. ახლა პრაქტიკული ხასიათის დოკუმენტებს ვამუშავებთ, ასე რომ, ვფიქრობ, სამხრეთ დაჯგუფების შექმნა არც ისე შორი მომავლის საქმეა. დღეს უკვე ჩანს, რომ ისიც დიდმასშტაბიანი იქნება. როგორც ვფიქრობთ, მასში შევა ან სახელმწიფოთა მთელი ეროვნული შეიარაღებული ძალები, ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი და რუსეთის შეიარაღებული ძალების მთელი რიგი საჯარისო სტრუქტურები. ამ დაჯგუფების ამოცანა იქნება დიდი შეიარაღებული კონფლიქტის, მათ შორის სასაზღვრო კონფლიქტის ლოკალიზაცია.

**— ექნება თუ არა მაშინ ორგანიზაციას დამატებითი სამხედრო ბაზები?**

— ვფიქრობ, დღესდღეობით ამის აუცილებლობა არ არის.

**იგორ პლუგატარიოვი**
„НЕЗАВИСИМОЕ
ВОЕННОЕ ОБОЗРЕНИЕ“
**(რუსეთი), 13 იანვარი, 2006 წ.**

დავფიქრდეთ!

# საჭმელის სენი

**ზოგი იტყვის, — რა დროს სიმსუქნეზეა ლაპარაკი, ნახევარი საქართველო შიმშილით კვდებაო. ყველამ უნდა იცოდეს, რომ სიმსუქნეს მარტოოდენ მწვადი და საცივი არ იწვევს. საფრთხე სხვა მხრიდანაც მოდის. ამიტომაც გვმართებს სიტუაციის განჭვრეტა. ეს აუცილებელია, რადგან საქმე ეხება უფრო პატარებს, ვიდრე დიდებს...**

ამ ბოლო დროს ამერიკელებს ვბაძავთ ბევრ რამეში, მათ შორის ჭამაშიც. იქ კი წონაში იმდენად სწრაფად იმატებენ, რომ სახელმწიფომ გასუქება ეროვნულ დაავადებად გამოაცხადა. სადღეისოდ ამერიკაში მცხოვრები მოსახლეობის 60 პროცენტი უკვე მსუქანია. ყოველ ორ წუთში ზედმეტი ქონისგან ერთი ადამიანი იღუპება. ეს შემაშფოთებელი მაჩვენებელია. გამოდის, რომ წელიწადში ქვეყანას ღორმუცელობისგან ხელიდან ეცლება 400 ათასი კაცი. ამის თავიდან აცილების მიზნით შარშან სახელმწიფომ 117 მილიარდი დოლარი დახარჯა, თუმცა სქელოების რაოდენობა ვერ შეამცირა. თუ ასე გაგრძელდა, 2020 წლისათვის ამერიკაში ყოველი მეორე ადამიანი ჭარბწონიანი იქნება.

ეს ყოველივე კარგად შეაფასა ბიზნესმა და მომგებიანი ნაბიჯებიც გადადგა. ამერიკაში შეიქმნა სპეციალური კომპანიები, რომლებიც უშვებენ ძალიან დიდი ზომის ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ავეჯს, ესკალატორებს, ლიფტებს, პირსახოცებს... ძალზე პოპულარულია მოწყობილობა, რომელიც მსუქან ადამიანებს ფეხზე წინდას აცმევს. არის კიდევ დიდი სასწორები, რომლებიც წონიან 400 კილოგრამზე მეტს. იქნებ არც დაიჯეროთ, — ტაციაობაა იმ წიგნებზე, რომლებშიც აღწერილია სექსუალური სცენები, აგრეთვე ნაჩვენებია სექსუალური პოზები... მსუქნებისათვის.

შარშან ფრანგულმა ავიაკომპანიამ სარემონტოდ გააგზავნა ერთ-ერთი ლაინერი, რომლითაც იმგზავრეს ამერიკელმა ტურისტებმა. თავიანთი უზარმაზარი უკანალებით სკამები ისე ჩაეჭყლიტათ, რომ შიგ ჩაჯდომა აღარ შეიძლებოდა. თვით ამერიკულმა ავიაკომპანიებმა სპეციალური გადასახადები შემოიღეს მათთვის, ვინც 150 კილოგრამზე მეტს იწონის, რადგან ისინი ერთს კი არა, ორ სავარძელს იკავებენ.



თავიანთ უბედურებას ამერიკელები ჰამბურგერებს აბრალებენ (საქართველოშიც მაგრად ეტანებიან ჰამბურგერებსაც და ჩისბურგერებსაც). ბოლოს გამოვიდა ჰამბურგერი „მონსტრი“. მასში 250 გრამი ფარშია, 107 გრამი ცხიმია, ორი დიდი ნაჭერი ლორია, ყველია, მაიონეზია და 2000 კალორიაა. თუ სამი თვის მანძილზე ასეთ ჰამბურგერს მიირთმევთ, ამასთან ყოველდღიურად 2-3 საათს ტელევიზორთან გაატარებთ, 150 კილოგრამს მიუკაკუნებთ!

ჩვენ ხომ ევროპელები ვართ? ჰოდა, ევროპაც შეშფოთებულია. ევროკავშირის კომისარი ჯანდაცვის საკითხებში მარკოს კიპრიანო აცხადებს: — ევროპაც უკვე იმ გზით მიემართება, რომლითაც ამერიკა. ადრე ამერიკელებს დავცინოდით, ახლა კი ჩვენც იგივე გვჭირს.

ისე, დიდები ქოლესტერინით გატენილ საკვებს ნაკლებად ეტანებიან, თუმცა პატარები ამას აინუნშიაც არ აგდებენ და წამიერად სუქდებიან. ბოლო ხუთიოდე წლის მანძილზე სქელი ბავშვების რაოდენობა ევროპაში ორჯერ გაიზარდა. მარტო გერმანიაში 4 მილიონ ბავშვს აქვს ზედმეტი წონა. პატარებს უკვე ისეთი დაავადებები უვითარდებათ, რომელთაც ადრე მხოლოდ დიდებში ვხვდებოდით. თუ შვილებს დროზე არ მივხედეთ, ჩვენს ბავშვებს ხელს დარევს ჰიპერტონია, ათეროსკლეროზი, ინფარქტი, ინსულტი, დიაბეტი და სხვა ამგვარი უბედურება. ღმერთმა დაგვიფაროს და, — ყველა მათგანს უსიამო შედეგები მოსდევს.

ჭარბი წონა ვნებს არა მარტო ბავშვის სხეულს, არამედ მის სულსაც. მოზარდები, რომლებიც 80-100 კილოგრამს იწონიან, თანატოლებთან საერთო ენას ვერ პოულობენ. მათ დასცინიან, ირონიულად ელაპარაკებიან. ასეთი ბავშვები გულჩათხრობილნი ხდებიან და საზოგადოებას უნებლიეთ ეთიშებიან.

ბავშვების გასუქებას ისიც უწყობს ხელს, რომ ახლა ისინი ძალიან ცოტას მოძრაობენ და დროის დიდ ნაწილს ტელევიზორთან ან კომპიუტერთან ატარებენ. სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილებს აგდებით უყურებენ. გარეთ კი, — ყველაფერი ფასიანია. მშობლებს უჭირთ შვილები ატარონ სპორტულ სექციებში, მხატვრულ წრეებში. საქართველოს მოსახლეობისთვის ერთ-ერთი დიდი თავსატეხი სწორედ ეს გახლავთ. რა ვუყოთ პატარებს? იმდენი ჯდება ნაშიერის მიყვანა, ვთქვათ, ფეხბურთზე ან ცეკვაზე, რომ დროთა განმავლობაში ძალაუნებურად უარს ამბობ მსგავს სიამოვნებაზე. არადა, ჯანსაღი, ძლიერი, ლამაზი თაობის აღზრდა მარტოოდენ ოჯახს კი არა, მთელს ქვეყანას წაადგება.

ახლა საქართველოში გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევენ სპორტული კომპლექსების მშენებლობას, სადაც ბავშვები ლამის 24 საათის განმავლობაში ვარჯიშობენ, ერთობიან. ეს შენება ერთი დღითაც არ უნდა შეჩერდეს, თუ გვინდა, რომ ჩვენი შვილები ნორმალური წონისა და გონისა გაიზარდონ. დიახაც, შვილები, თორემ მშობლებს რა უჭირთ, — რესტორნების აგება ისეთი ტემპით მიმდინარეობს, მალე ჯიხურების მსგავსად მსოფლიოში პირველ ადგილზე გავალთ. ნახეთ, რამდენი რესტორანია მტკვრის მხოლოდ მარცხენა სანაპიროზე დიღმის ხიდიდან მუშთაიდის ბაღამდე (სულ რაღაც ორიოდ კილომეტრში: „სანაპირო“, „თეთრი სახლი“, „იმერეთი“, „მოსკოვი“, „კოლხეთი“, „სათავადო“, „მტკვარი“, „აფხაზეთი“...

აკი, ნახევარი საქართველო შიმშილით კვდებაო?

**ბონდო ბულიაშვილი**

კრიმინალი

# საახალწლოდ ყველაზე მეტად საქონლის ქურდებმა იხეირეს

**ყველა ოჯახი ცდილობს ხვავით და ბარაქით შეხვდეს ახალ წელს. ახლობლები ერთმანეთს სასიამოვნო სიურპრიზებს უმზადებენ, რომ ბოლომდე მხიარულება დაებედოთ. თუმცა კეთილის მსურველის გარდა ბოროტ „სანტა-კლაუსებს“ რა გამოლევთ. ისინი არც თანამემამულეთა ჯიბეში ჩაძრომას ერიდებიან და არც ბინაში ყაჩაღურად შევარდნას...**

კრიმინალური სტატისტიკის მიხედვით, წინასაახალწლოდ საქართველოში ორი სახის ქურდობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. აქედან პირველ ადგილზე სოფლად საქონლის ქურდობაა, რომელსაც ქალაქად ჯიბის ქურდობა მოსდევს.

ნაპარავი საქონლის 99 პროცენტი დახლებზე დადეს და საახალწლოდ ქურდებმა ბლომად ფულიც იშოვეს. თუმცა რამდენიმე დამნაშავის ვინაობა სამართალდამცველებისთვის უკვე ცნობილია.

ახალი წლის ღამეს სოფელ სართიჭალაში გიორგი სამხარაულის ფერმას ოთხი შეიარაღებული პირი დაესხა. მას იარაღის მუქარით შვიდი ძროხა და ორი ცხენი გასტაცეს. გამოძიებამ მართალია შეძლო ორი ეჭვმიტანილის ვინაობის დადგენა, მაგრამ მათი დაკავება დღემდე ვერ მოხერხდა. დანაშაულში ეჭვმიტანილები ჯუგარ ყურბანოვი და ებრამ ჰასანოვი არიან, რომლებიც საგულდაგულოდ იმალებიან.



საქონლის ქურდები არც მწყემსებზე თავდასხმას და მათთან ფიზიკურ ძალადობას ერიდებოდნენ. ახალი წლის დღეებში სოფელ აჯამეთის მკვიდრი, მწყემსი გუბაზ ნებიერიძე ყაჩაღებმა ხეზე მიაბეს და პირუტყვი ისე გარეკეს. უგონოდ მყოფი ნებიერიძე თანასოფლელებმა შემთხვევით იპოვეს და გონზე მოიყვანეს. დამნაშავეთა ვინაობა დღემდე უცნობია. მათ ორი ძროხა, შვიდი დეკეული და ოთხი თხა წაიყვანეს.

იმავე დღეებში კი 52 წლის პავლე ელიზბარაშვილს, ტყეში საქონლის მწყემსვისას, სანადირო თოფით შეიარაღებული ორი ბოროტმოქმედი დაესხა და კონდახის თავში ჩარტყმით „გათიშა“. როდესაც მწყემსი გონს მოვიდა, მის ახლოს მხოლოდ ორი ძროხაღა ჩანდა, ცოტა ხნის შემდეგ სოფელში კიდევ სამი იპოვეს. ყაჩაღებმა მხოლოდ ოთხის წაყვანა შეძლეს.

ყველაზე მძიმე დარტყმა სოფელ გოლიაღელეს მწყემსმა გურამ შუბითიძემ გადაიტანა. თავდამსხმელებმა მას სასტიკად სცემეს, ორი ნეკნი გაუტეხეს და ფეხიც მოსტეხეს. ამის შემდეგ ქურდებმა ოთხი ძროხა და ორი დეკეული საბარგო მანქანაში შერეკეს და მიიმალნენ.

ბევრი ბაზარში სავსე საფულით წავიდა, იქიდან კი ცარიელი ჩანთით დაბრუნდა. ამაზე, ცხადია, ჯიბგირებმა „იზრუნეს“.

დოდო ქუთათელაძეს დიდხანს ემახსოვრება ეს ახალი წელი. ის მეკვლედ მიდიოდა მეზობელთან მესამე სართულზე, როცა კიბეებზე ორმა უცნობმა ახალგაზრდამ დანის მუქარით ოქროს საყურეები და ძეწკვი წაართვა. ხელს მეზობელთან მისართმევი ტკბილეულიც გააყოლეს და გაიქცნენ. თუმცა ამ ინციდენტმა იგი მწყობრიდან ვერ გამოიყვანა. ის სახლში დაბრუნდა და ტკბილეულით ხელდამშვენებული მეზობელს მაინც ესტუმრა.

სტუმრად წასულ ნუგზარ კვაშალავას ოჯახს კი ქურდი აივნიდან ესტუმრა და კარგადაც იხეირა, — ვიდეომაგნიტოფონის, დივიდი-პლეიერის, ციფრული ფოტოაპარატის, ტყავის სამი ქურთუკის და ქალის ორი წყვილი ჩექმის წაღება მოახერხა.

საახალწლო დღეებში ქურდობების გარკვეული ნაწილი დაკეტილ ჯიხურებზე და მაღაზიებზე მოდიოდა, საიდანაც ძირითადად ალკოჰოლური სასმელები გაჰქონდათ. იქ ზოგმა შუშის ჩამტვრევით და ზოგმაც რკინის გისოსების გადაჭრით შეაღწია.

ნასვამი მეგობრებისა და ახლობლების ურთიერთშელაპარაკებები კი ხშირად, საბედნიეროდ, შერიგებებით მთავრდებოდა. კიდევ კარგი, სასტიკ მკვლელობებს მაინც გადავურჩით!

**ლელა მექალიშვილი**

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია

## შინ ნუ დაჯდებით, გაისეირნეთ!

**სტატისტიკურად დამტკიცდა, რომ ადამიანების 15 პროცენტს ახალი წლის მოახლოება არ სიამოვნებს, უფრო მეტიც — დეპრესიაშიც კი აგდებს. ამის მიზეზად ასახელებენ მარტო ცხოვრებას, მუდმივ აგრესიულობას, სამსახურის მოლოდინით გადაღლას, ერთფეროვნებას, ბავშვობისა (თუ ახალგაზრდობისძ) დასრულებას, საერთო საზოგადოებრივ აფორიაქებას (ქუჩებში თუ ბაზრებში ზედაჭყლეტასძ. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დიდი წინასაახალწლო აჟიოტაჟის გადატანა თავისუფლად შეუძლია ყველას, ვინც კი საახალწლო ზეიმს ჩვეულებრივ დღესასწაულად ჩათვლის და თავის ყოფას თუნდაც პატარა სიახლით მაინც შეცვლის. სხვათა შორის, ამაში ითვლება 12 საათზე ქუჩაში გასვლა და ხალხში გასეირნება.**

## თუკი ლოთებს ეს მოახერხებს...

**წინასაახალწლოდ ყოველგვარი დებოშის თავიდან აცილების მიზნით საუკეთესო ხერხს მიმართა ინგლისის ქალაქ რეგბის პოლიციამ. მან რამდენჯერმე გადაიღო და ადგილობრივი ტელევიზიით აჩვენა მთვრალ თანამოქალაქეთა ანტისოციალური ქმედებების კადრები. ეპიზოდები გადაიცემოდა საღამოს 7-დან 10 საათამდე, როცა მოსახლეობა შინ იყო და ცისფერ ეკრანს მისჩერებოდა. კადრებს თან შემეცნებითი ტექსტები გაჰყვებოდა, რომელიც მაყურებელს ზედმეტი ალკოჰოლის მოხმარების მავნეობაზე მოუთხრობდა. „ექსპერიმენტმა“ გაამართლა. ქალაქში ლოთობისა და დანაშაულის რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდა.**



— ახალ ახალ წელს გაპატიე და ძველ ახალ წელსაც იგივე გაიმეორე?

## უნაძვისხეოდ არც წვეულება ვარგა

**საშობაოდ სოციოლოგიური გამოკითხვა მოაწყვეს გერმანელმა მეცნიერებმა. რესპონდენტთა 75-მა პროცენტმა მიუთითა, რომ ახალი წლის მთავარ ატრიბუტად მიაჩნია არა ოჯახურ წრეში წაქეიფება, არამედ ლამაზი ნაძვისხის ირგვლივ ყოფნა. სწორედ ესაა საკვანძო მომენტი, რომლის დროსაც, სანთლებითა და სათამაშოებით, რაღაც ჯადოსნური ატმოსფერო იქმნება. ამასთან, ცხადია, ურიგო არაა გვერდით ახლობელი ადამიანების ყოფნა, მათთან ერთად სიმღერა და ცეკვა. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 3 პროცენტს არ ეჭაშნიკება ხმაურიანი წვეულება და სულ იმის მოლოდინშია, — როდის ჩაივლის ყოველგვარი არეულობა.**

თეატრალური გაზეთი

# სახიობა

„საქართველოს რესპუბლიკის“ დამატება

№1 (100)

...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

სანდრო ახმეტელი.

# 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

დღეს ქართული თეატრის მოღვაწენი პროფესიული თეატრის დაარსებიდან 156-ე წლისთავს აღნიშნავენ. საღამოს ისინი შეიკრიბებიან თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, რათა პროფესიულ დღესასწაულთან ერთად სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს საიუბილეო თარიღი — 120 წლისთავი მიულოცონ. ამ მოვლენებს ეხმიანება ერთდროული გაზეთიც „ქართული თეატრის დღე“, რომელიც საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოამზადა. სოხუმის დრამატულ თეატრს ეძღვნება მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ალბომი. იგი შეადგინა ცნობილმა თეატრმცოდნემ კოტე ნინიკაშვილმა (დიზაინის ავტორი ბესიკ დანელია). ალბომი ასახავს თეატრის შემოქმედებით გზას მე-19 საუკუნის მიწურულიდან, როცა სოხუმში სცენისმოყვარენი ქართულ წარმოდგენებს მართავდნენ, ვიდრე დღემდე. 120 წლის თეატრით ხომ ბევრი ქვეყანა იამაყებდა.

მის სათავეებთან იდგნენ ქართული თეატრის კორიფეები: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, შალვა დადიანი, ვალერიან გუნია, ალექსანდრე იმედაშვილი, ვალერიან შალიკაშვილი...

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი გამორჩენილი ქართველი რეჟისორი თუ მსახიობი, რომელსაც არ დაუდგამს ან არ უთამაშია სპექტაკლი სოხუმის თეატრში. ყველას ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

1928 წელს, როცა სოხუმში პროფესიული ქართული თეატრი შეიქმნა, ამ დროს ერთ შენობაში, ერთ ჭერქვეშ სახლობდნენ ქართული და აფხაზური დასები. მხოლოდ 1982 წელს გამოეყო ქართული თეატრი აფხაზურს და გამოჩენილი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სახელიც მაშინ ეწოდა. იმ დროს თეატრს სათავეში ჩაუდგა თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობი გიორგი ქავთარაძე. მის სახელთან არის დაკავშირებული თეატრის „ოქროს ხანა“.

ნიჭიერი კოლექტივის შემოქმედებით აღმავლობას, სამწუხაროდ, დაცემაც მოჰყოლია. როცა XX საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთს ომის ქარცეცხლი მოედო, თეატრის დასი ბრძოლის ხაზზე აღმოჩნდა. ომმა რამდენიმე მსახიობი შეიწირა. ქალაქი დაინგრა, დასი ლტოლვილად იქცა და თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ. იგი რუსთაველის თეატრმა შეიფარა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა ამავე თეატრის ცნობილი მსახიობი დიმიტრი ჯაიანი. ძალღონე მოკრებილმა დასმა მცირე სცენაზე საინტერესო დადგმები განახორციელეს.

დღეს სოხუმის თეატრს ისევ ძალიან უჭირს.

◉ დევნილი თეატრი

## დევნილი, რომელიც ზეიმზე ტირის



**იუბილეს, ცხადია, სადღესასწაულო განწყობილება უხდება, მაგრამ ახლა სოხუმის დრამატულ თეატრს იმდენი სერიოზული პრობლემა აქვს, რომ ეს დღეებიც კი მათთვის სევდანარევია. ამდენი ხნის დევნილ თეატრს თბილისშიც არ ულხინს. მათ დიდ სატკივარს აქაც ბევრი რამ ემატება, რითაც კიდევ უფრო უმძიმდებათ არსებობა.**

— ძნელია ისაუბრო საიუბილეო განწყობილებაზე როცა გვაწვიმს და გვათოვს, — ამბობს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი ჯაიანი, — თეატრის დირექცია და ბუღალტერია თბილისის მერიის კუთვნილ სამ პატარა და უსახურ ოთახში ბინადრობს. ამას წინათ მერიიდან წარმომადგენელი მოვიდა და გვითხრა — ოთახები უნდა დაცალოთო, როგორც ჩანს, მალე ქუჩაში აღმოვჩნდებით და კიდევ უფრო უარესი — არავინ ინტერესდება, სად უნდა წავიდეთ.

***— რა მდგომარეობაშია დღეს ის შენობა, რომელიც საგანგებოდ თქვენი თეატრისთვის შენდებოდა მეტროსადგურ „ისნის“ უკან, კონტროლის პალატის ეზოში?***

— ჩვენს სიხარულს კარგა ხანია ფრთები მოეკვეცა. მხოლოდ კედლებია ამოყვანილი და ასეა დაკონსერვებული. არადა, არაჩვეულებრივად კარგი პროექტი შეიქმნა 450-კაციანი დარბაზით, შესანიშნავი ტექნიკით. მას ბადრი პატარკაციშვილის ფონდი აშენებდა, ნეტავ გადახურვა მაინც მოსწრებულიყო. ამ შენობას ჩვენ ხომ ზურგზე არ მოვიკიდებდით, როცა სოხუმში მოგვიწევდა დაბრუნება, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, წელში გავიმართებოდით. ახლა მინიმუმ სამი მილიონი მაინც არის საჭირო, რომ შენობა დასრულდეს, მაგრამ მშენებლობის გაგრძელებაზე არაფერი ისმის, არც ავი და არც კარგი, რეაქციაც კი არ არის არავითარი.

ჩვენ დიდად ვემადლიერებით რუსთაველის თეატრს, რომელმაც მცირე სცენა დაგვითმო და მუშაობის საშუალება მოგვცა, 9 წელი შეგვიფარა, ახლა კი ხან სამეფო თეატრი გვილებს კარს, ხანაც ახმეტელის სახელობისა, აი ასე ვცხოვრობთ, 12 წელია ვუძლებთ...

***— ფინანსურადაც ალბათ როგორ გიჭირთ...***

— ჩვენი ბიუჯეტი მიზერული თანხაა. სახელფასო ფონდი ადრინდელთან შედარებით შეგვიმცირეს. ახლა ეს თანხა 160 ათასს შეადგენს წელიწადში, ადრე 200 ათასი გვქონდა. თანამშრომელთა რიცხვი შევამცირეთ, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი, ასეთ მცირე ხელფასებს როდემდე გავუძლებთ, არ ვიცი. სადადგმო ხარჯებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, ეს ჩვენთან ნულის ტოლია.

***— ყველაზე ცუდი მოგონებები, ცხადია, ომს უკავშირდება...***

— სოხუმში ჩვენი თეატრი მარტო თეატრი არ ყოფილა. მას დიდი მისია ჰქონდა. იგი ქართული ენის სადარაჯოზე იდგა, კულტურის, ეროვნული მოძრაობის ცენტრი იყო, აფხაზეთის ქართველების შემკრები და წინამძღვარი. ომმა ბევრი ცუდი გვაჩვენა, არადა, გოლგოთის გზა — ჭუბერის გზა ომზე უარესი იყო. ჩვენ შევცდით, რომ თავის დროზე არ ვთქვით, რომ ეს იყო სამამულო ომი რუსეთ-საქართველოს შორის.



***— ყველაზე კარგად რა გაგონდებათ?***

— 1982 წელს როცა პრემიერას „დიდოსტატის მარჯვენას“ ვთამაშობდით, მეფე გიორგის მონოლოგი დავამთავრე თუ არა, აფხაზი მსახიობები მოვიდნენ, მომილოცეს და მითხრეს, შენ ჩვენი მეფე ხარო.

***— დღესდღეობით რეპერტუარზე რისი თქმა შეიძლება?***

— მიუხედავად უამრავი პრობლემის, გასაჭირისა და წინააღმდეგობისა, თეატრის კოლექტივი მაინც ინარჩუნებს შემოქმედებით ფორმას, სულიერ ძალებს იმისათვის, რომ სოხუმის სახელმწიფო თეატრმა კვლავ იარსებოს, იცოცხლოს დიდხანს, საინტერესოდ და ღირსეულად. ეს ადვილი არ არის დღეს. რეპერტუარში 15-დე პიესა მაინც გვაქვს, მათგან წელწადში შვიდ-რვა სპექტაკლს ვთამაშობთ. იცით, ალბათ, რომ ბოლო პრემიერად ვუჩვენეთ გურამ ოდიშარიას აქტუალურ თემაზე შექმნილი სპექტაკლი „... ზღვა, რომელიც შორია“ თემურ ჩხეიძის დადგმით. მას საგულისხმო წარმატება ხვდა. სწორედ ამ სპექტაკლის ფრაგმენტებს გაითამაშებენ მსახიობები დღეს, საიუბილეო საღამოზე. სამომავლოდ ჩაფიქრებული გვაქვს ზაურ კალანდიას მოთხრობის გასცენიურება, რომელიც მედეა კუჭუხიძის ერთ-ერთი სტუდენტის სადიპლომო ნამუშევარი იქნება. სხვა რა გითხრათ...

რუსუდან

◉ ახალი სახელები

## ქართველები არიან და ქართულად ემღერებათ

**თეატრალურ უნივერსიტეტში მათ ყველა ცნობს, ალბათ წარმოუდგენელიც არის არ იცნობდე, ძალაუნებურად იმახსოვრებ სახეებს თუ არა, ხმებს მაინც. ფოიესა თუ დერეფნებში, კიბეებსა თუ ცარიელ აუდიტორიაში — ყველგან მათი ხმა ისმის. როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავენ, მაშინვე ერთად შეიყრებიან და მღერიან ჩვენთვის ნაცნობ თუ უცნობ, ხალხურ თუ საესტრადო სიმღერებს, მაგრამ რაც მთავარია კარგად მღერიან...**

უნივერსიტეტის ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლს პროფესიულ წრეებშიც უკვე კარგად იცნობენ. იგი ნელ-ნელა გამოდის ფართო ასპარეზზე. ეს ჯგუფი 2003 წელს შეიქმნა. მისი იდეა უნივერსიტეტის რამდენიმე მეგობარს ერთდროულად დაებადა. აღმოჩნდა, რომ სანამ ხმამაღლა დაიწყებდნენ ამაზე საუბარს, თითოეულ მათგანს უკვე კარგა ხნის ნაფიქრი ჰქონდა. როცა ეს აზრი სხვა სტუდენტებსაც გაუზიარეს, ანსამბლში გაწევრიანების სურვილი ბევრმა გამოთქვა. საჭირო ხმებიც შეირჩა და შემადგენლობაც დაკომპლექტდა. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო. რჩევისათვის ბატონ ანზორ ერქომაიშვილს მიმართეს, რომელმაც სიამოვნებით მიიღო ისინი, მოუსმინა და რაკი ძალიან მოეწონა, დახმარებაც აღუთქვა. მან ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტს გიორგი ბუგიანიშვილს სთხოვა სათავეში ჩასდგომოდა ახალგაზრდების წამოწყებას და ხელმძღვანელობა გაეწია. იდეით აღფრთოვანებული დარჩა თეატრალური უნივერსიტეტის იმჟამინდელი რექტორი გიგა ლორთქიფანიძეც, რომელმაც ბიჭებს ყველა საჭირო პირობა შეუქმნა. ასე შეიქმნა პირველი ანსამბლი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის მრავალწლიან ისტორიაში.

ამჟამად მომღერალთა ჯგუფი თოთხმეტი წევრისაგან შედგება: მანუჩარ სამუშია, ვალერი ხვედელიძე, კობა ჭეფხოძე, ლევან შავლიაშვილი, ტიტე ადეიშვილი, ზურა ნიჟარაძე, ირაკლი აბჟანდაძე, გიორგი შანიძე, ლევან ქუთათელაძე, ლაშა კერვალიძე (ანსამბლის დირექტორი), ოთარ კოვზირიძე, კარლო ცერცვაძე, გურამ გუჯეჯიანი და გიორგი გასვიანი. ანსამბლის დებიუტი გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ანა კალანდაძის საღამოზე და მსმენელთა დიდი მოწონებაც დაიმსახურა, შემდგომ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ ხალხური მუსიკის კონცერტზეც იმღერეს უკვე ცნობილ და წარმატებულ სხვა ანსამბლებთან ერთად და ფესტივალ „ჩვენებურებშიც“ მიიღეს მონაწილეობა. ბიჭები ხშირად სტუმრობენ ბავშვთა სახლებსა და მოხუცებულთა თავშესაფრებს, რომლებიც კონცერტებით განებივრებულები ნამდვილად არ არიან.

იხ. მე-10 გვ.

## ახალი სახელები

# ქართველები არიან და ქართულად ემღერებათ

(მეცხრე გვერდიდან)

მსმენელმა რომ გაგიცნოს საჭირო ჩანაწერო ალბომი, გადაიღო კლიპი და ა. შ. ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული და ყველამ კარგად იცის, რომ ეს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად ჭირს. ამჟამად ისინი სპონსორის ძიებაში არიან.

აღსანიშნავია, რომ ანსამბლის წიაღში ვაჟთა ვოკალური კვარტეტიც არსებობს, იგი ანსამბლთან ერთად შეიქმნა ისევ და ისევ ახალგაზრდების ინიციატივით. ხალხურ სიმღერასთან ერთად გაჩნდა სურვილი ესტრადაზეც ეცადათ ბედი. არსებული ჯგუფიდან ხმების მიხედვით შეირჩა 4 ადამიანი (კობა ჭეფხოძე, ირაკლი აბჟანდაძე, ლაშა კერვალიძე, ოთარ კოვზირიძე), რის შემდეგაც კვარტეტის წევრებმა „ქართული ხმების“ ახალი თაობის მომღერალს, დათო არჩვაძეს მიმართეს და თავიანთი ჩანაფიქრი გაუმხილეს. იგი უყოყმანოდ დასთანხმდა მათთვის ეხელმძღვანელა და მას მერე, უკვე 2 წელია ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მხარში უდგას და ეხმარება. კვარტეტის არსებობაში არ შეიძლება არ აღინიშნოს ახალგაზრდა მომღერლების მეგობრის, ბატონ ივა ჭყონიას ღვაწლი, რომლის მეშვეობითაც ბიჭები უამრავ ადამიანსა თუ ორგანიზაციას დაუმეგობრდნენ, მათ შორის კომპანია „გრანდს“. ბატონ ივას დახმარებით გაიმართა ურეკში კვარტეტის სოლო კონცერტიც. ბიჭები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა ფართომასშტაბიან ღონისძიებაში და ბევრ თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთან თანამშრომლობენ, მათ შორის რუსუდან სეზისკვერაძესთან, ნუნუ გაბუნიასთან, ქეთი გაბისიანთან, დათო არჩვაძესთან და ნინო ომიაძესთან, რომლებმაც კვარტეტისათვის საგანგებოდ შექმნეს ახალი სიმღერები.

სამომავლოდ უამრავი გეგმა და ჩანაფიქრი აქვთ, კვარტეტი უცხოეთში გასტროლებსაც გეგმავს, თუმცა ამ თემაზე ჯერჯერობით ხმამაღლა არ საუბრობენ. მათ მთავარ საზრუნავს ამ დროისთვის წარდგენითი სოლო-კონცერტი წარმოადგენს, რომელიც იანვრის ბოლოსთვის იგეგმება, და რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მათთვის — ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ჯერ ერთი: წარდგენითი სოლო კონცერტი თავისთავად საპასუხისმგებლოა, მეორეც — ისინი, ძირითადად, ახალ სიმღერებს შეასრულებენ, რომლებიც ამ სალამოზე პირველად აჟღერდება. ეს კონცერტი როგორც მათი, ისე ახალი სიმღერების ერთგვარი გამოცდა იქნება.

რაც შეეხება ფოლკლორულ ანსამბლს, იგი მსმენელთა წინაშე ცოტა მოგვიანებით, სავარაუდოდ გაზაფხულზე წარსდგება — რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ დროისთვის, ალბათ, თეატრალური უნივერსიტეტის საჩუქარიც მზად იქნება — ბიჭები კონცერტზე ახალ ჩოხებს მოირგებენ. უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორი ბატონი გოგი მარგველაშვილი ანსამბლს შეპირდა, რომ ყველანაირად შეეცდება დაეხმაროს და ხელი შეუწყოს.

პირველი სირთულეები უკვე დაძლეულია, მაგრამ მთავარი მიზანი ჯერ წინ არის, მსმენელთა გულებამდე მიმავალი გზა ბოლომდეა გასაკვალი. დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების ჟამს კიდევ ერთი კარგი ანსამბლის არსებობა უკვე პატარა საოცრებაა.

მაშინ, როცა მასმედიის ხელშეწყობით ქართული სივრცე გაჯერებულია უხარისხო, უგემოვნო მუსიკით, ახალგაზრდებისათვის გზის გაკვლევა ორჯერ უფრო რთული ხდება, ხოლო მათი შრომა უფრო მეტად დასაფასებელი.

დარწმუნებული ვარ, მსმენელი აუცილებლად დააფასებს და შეიყვარებს ახალგაზრდებს, რომელთაც გულით და სულით სურთ ემსახურონ ფენომენს, რომელსაც ჭეშმარიტი ქართული სიმღერა ჰქვია.

**სალომე ქოქიაშვილი**





## ძველით ახალი

# ბედობის დღე

**სანდრო პაპა მშრომელი, ტრადიციების მოყვარული კაცია. მისი სიტყვა უბანში ძალიან ფასობს. ოჯახიც ძლიერი და სანიმუშო ჰყავს. შვილები და ლამაზი შვილიშვილები გარს ეხვევიან. მათით ამაყობს პაპა. საგანგებოდ ემზადება ქალაქიდან ჩამოსული ბავშვების დასახვედრად. ისე როგორ გავა წელიწადი, ორი ღორი მაინც არ გაზარდოს ოჯახში. ერთს აუცილებლად საპირველიანვროდ დაუკლავს და გაატანს ქალაქში თავის ქალ-ვაჟს, მეორეს თავისთვის საშობაოდ დაიტოვებს. ცოლიც მშრომელი ქალი გამოადგა. ისე შეაბერდნენ ერთმანეთს, აუგი სიტყვა არ წამოცდენიათ. ქეთა ბებო სულ იმას ტრაბახობს, ჩემს სანდროს ჩემთვის არასდროს შეუგინებიაო...**

**შარშანაც, ძველით ახალი წლის შესახვედრად ვაჟი თავისი ცოლ-შვილით ესტუმრა. ბიჭები ჰყავს, ერთმანეთზე უკეთესები, ტყუპებს ჰგვანან, ერთნაირი ტანსაცმელი აცვიათ. სანდრო პაპას თავს ევლებიან, ანცობენ, გულს უხარებენ. მათი დანახვა ყველაფერს ურჩევნია პაპას.**

ამ ბოლო დროს ცოტა მობერდა. მოყინულ დაღმართში ძლივს ჩადის წყაროზე. ბიჭებიც ზედ ეკონწიალებიან. ვითომ რამეში ეხმარებიან. დაჩეხილ შეშას კი მართლა მარდად ზიდავენ ეზოდან და ღუმელის ქვეშ აწყობენ გამოსაშრობად. ღუმელის თავზე გაბმულ თოკზე ქეთა ბებოს ხელით გაკეთებული კუპატები ჰკიდია, კონწახურითა და სუნელებით შეზავებული. მადისაღმძვრელი სუნი დგას ოთახში.

სანდრო პაპა მოქეიფე კაცია. ცნობილი თამადაა სოფელში. კარგი ჭამა-სმა უყვარს. ეს ყველამ იცის, ამას არც თვითონ მალავს და ბებოც ცდილობს, რაც შეიძლება მდიდრული სუფრა გაშალოს. მით უმეტეს, ხვალ ახალი წელია!

რძალი გოზინაყს, მხალეულს აკეთებს. ბებო ქადებს, ხაჭაპურებს აცხობს. ერთ ქვაბში ინდაური იხარშება, მეორეში — ტოლმა. იშლება სუფრა ტკბილეულით, შემწვარი გოგრით, ჩურჩხელებით...

ღორის თავს აუცილებლად პაპა აკეთებს. საგულდაგულოდ ასუფთავებს, მჭადის ფქვილით ხეხავს, იმხელა თავია, ბებომ — საარაყე ქვაბში თუ ჩაეტევაო!

მართლაც, დიდი ქვაბი შემოაქვთ. მისი ხარშვა პაპის საზრუნავია. უმატებს და უმატებს ცეცხლს შეშას. თორმეტ საათამდე უნდა მოასწროს.

გარეთ კი თოვს. იშვიათად, ამ დროს რომ არ მოთოვოს ქართლში. ყინულის ლოლუები სახლის სახურავს არშიასავით შემოვლებია. ვეებერთელა მთვარე ჰკიდია სოფლის თავზე.

თორმეტი საათი ახლოვდება. აქაფქაფებული ქვაბიდან დიდ ლანგარზე ბებო და პაპა ძლივს იღებენ ღორის თავს. გასაციებლად დგამენ.

მერე სუფრის შუაში ერთი ზარ-ზეიმით ათავსებს სანდრო პაპა დიდ ლანგარს. ბასრ დანას ხელში იღებს და ღორის თავზე ჯვარს ამოჭრის. ამასობაში გარედან თოფების ბათქა-ბუთქი ისმის. პაპა წითელი ღვინით სავსე ჭიქას მაღლა სწევს და ილოცება:

— ფეხბედნიერი იყავ, ახალო წელო, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა არ მოგვაკლო, ღმერთმა დალოცოს ჩემი მონაგარი, ჩემი მოყვასი და ნათესავი. ჭირი გვაშოროს, ლხინი გვიმრავლოს. პურღვინო არ გამოგვილიოს! — პირველი სასმისი ყველამ ბოლომდე უნდა შესვას.

მერე პაპაც გადის გარეთ და წინასწარ საფანტით დატენილი ძველი თოფიდან ისვრის. არის მეზობლების გადაძახილ-გადმოძახილი და ერთმანეთში მილოცვა.

მეორე დილით მეკვლეობაა. მეზობლის ბავშვები შემოდიან ყოველწლიურად. კარგი ფეხი აქვთო, — ამბობს ბებო და სკამქვეშ ბავშვებს სიმინდს ან ხორბალს უყრის: — დიდხანს იჯექით, ქათამი რომ ამიკრუხდესო — ამაზე ქალაქელი რძალი და შვილიშვილები გემრიელად იცინიან.

გარეთ კი, მოლიპულ ორღობეში ციგებით მოსრიალე ბავშვების ყიჟინა ისმის. ეზოში პატარა ნაფეხურები ატყვია თოვლს, აქა-იქ კანფეტები აპნევია — ბებო ენაცვალოთ, ჯიბიდან ამოცვენიათო — ეღიმება ქეთას.

მესამე დღეა. ბედობა. ახალგაზრდები ქალაქში მიდიან. არ იმჩნევენ, მაგრამ მოხუცები შინაგანად დაღონებულები არიან. ვაჟს მანქანას უვსებენ სანოვაგით.

— სანდრო პაპა, ღორის თავიც გაგვატანეო, — წამოსცდება მის სეხნია შვილიშვილს, 7 წლის სანდროს.

— ეგ თავს მოიკლავს და ღორის თავს არავის გაატანსო, — დასცინის ბებო თავის ქმარს.

პაპა ღუმელის გვერდით ტახტზე წამოწოლილა და აინუნშიც არ აგდებს მათ ლაპარაკს. რძალი წყრება, — რაში გჭირდებათ, თვალით არ დამანახოთ სახლში შემოტანილიო.

— ბებო, მე გაგიხვევ და გაგატან, აბა აქ მაგის შემჭმელი ვინ არისო, — არ იშლის თავისას ქეთა და თან ცალ თვალს ქმრისკენ აპარებს.

პაპას თვალები მოუხუჭავს და, რომ აღარ მორჩნენ ღორის თავზე საუბარს და შეატყო, ემანდ, შეიძლება მართლა გაატანოსო, მაშინ კი წამოჯდა და ცოლს მართლა შეუტია:

— შე გამოჩურჩუტებულო, მაგას ხელს ვერვინ დააკარებს, სხვა რაც გინდათ, წაიღეთ, თავს ხელი არ ახლოთო!..

მისმა ვაჟმა, ბიჭების მამამ, ძალიან ხუმარამ, რომ შეატყო, ყოველთვის გაწონასწორებული კაცი წყობიდან ჰა-ჰა, გამოვაო, სერიოზული სახით „უბრძანა“ ცოლს, თავი შეახვიე, არ დაგავიწყდესო. რაღაც დაძაბულობა შეიქმნა. პაპა სადაცაა აფეთქდება. ესენი კი სიცილის მოლოდინში ლაღობენ. ააგდეს ამხელა კაცი.

ამ დროს მართლა წამოხტა სანდრო პაპა და: — ვინც მაგას ხელს მოკიდებს, დედას ვუტირებო... — მის დღეში რომ არ შეუგინებია, ისე შეიგინა...

სიჩუმე ჩამოწვა: — შენ ხომ ხუმრობა არ იცი, შე მუცელქოროო, — ახლა ბებოს ამოუჯდა გული.

ბავშვები იატაკზე გორაობენ სიცილისგან.

— ხომ გამოამჟღავნე შენი მსუნაგობა, არა გრცხვენიაო? — ამუნათებდა ქეთა ბებო.

მოკლედ, თქვენ რა გესმით და, ბედობა დღეს სანდრო პაპამ ღორის თავი სახლში დაიტოვა. კი არ ენანებოდა, მაგრამ ასე სჩვეოდა, მამისგან, წინაპრისაგან. სტუმარი რომ შემოსულიყო, თავი მაგიდაზე უნდა დაეხვედრებინა...

ამ ამბავს კი დღესაც სიცილით იხსენებენ მისი შვილიშვილები.

**ლია ჭიღლაძე**

## ლეგენდის თანახმად

# რას გვიმზადებს მაღლის წელიწადი?

ყველაფერი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2600 წელს დაიწყო, როცა იმპერატორმა ხუანგ ტიმ პირველი ზოდიაქური კალენდარი შემოიღო. მის თანახმად თორმეტმა ცხოველმა წარმოქმნა სიმბოლური წრე და ყოველწლიურად ცვლიან ერთმანეთს. ციკლს დასაბამი მისცა ვირთხამ.



ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ვირთხამ, ხარმა, ვეფხვმა, ბოცვერმა, დრაკონმა, გველმა, ცხენმა, ცხვარმა, მაიმუნმა, მამალმა, ძაღლმა და ღორმა ღმერთებს ჰკითხეს, რა თანამიმდევრობით უნდა შეეცვალათ ერთმანეთი, და, რაც ყველაზე მთავარია, ვის ერგებოდა პატივი დაეწყო ყველაზე პირველი ციკლი?

ბრძენმა ღმერთებმა უპასუხეს: მდინარეში გადაეშვით და გაცურეთ, მოპირდაპირე ნაპირს რა თანამიმდევრობითაც მიაღწევთ, ისე შეცვლით ერთმანეთს ათასწლეულების განმავლობაში. ის, რომ ვირთხამ იეშმაკა და შეუმჩნევლად კისერზე მოახტა ხარს, მერე კი ნაპირზე პირველი გადახტა, გასაგებია, ახლა იგი პირველია, ხარი — მეორე, მას მოსდევს ვეფხვი და ასე შემდეგ. ის, რომ ღორი მოუქნელი აღმოჩნდა და ბოლო მიცურდა, ესეც გასაგებია.

მაგრამ ის, თუ როგორ გაუსწრო მამალმა ძაღლს, ხოლო დრაკონი რატომ ჩამორჩა ბოცვერს, დღემდე გაუგებარია, მეცნიერები ამაზე ახლაც კამათობენ. მაგრამ ასე მოხდა და ღმერთებმა ეს წესი სამუდამოდ დაადგინეს. ჩინური კალენდარი ევროპულივით მზის კალენდარი კი არა, მთვარის კალენდარია, და ამიტომ ახალი წლის პირველი დღე ყოველთვის ერთი და იგივე რიცხვს არ ემთხვევა. ჩვეულებრივ ჩინური ახალი წელი იანვრის დამლევიდან თებერვლის შუა რიცხვებამდე პერიოდში დგება.

ამჯერად ახალი 2006 წელი ჩინეთში 2006 წლის 29 იანვარს დადგება და ეს იქნება სათვალავით 4074-ე და ცეცხლოვანი ძაღლის წელი. რატომ ცეცხლოვანის? საქმე ის გახლავთ, რომ ცხოველთა 12-წლიანი ციკლს ჩინელებმა შეუთავსეს სტიქიების — ლითონის, წყლის, ცეცხლის, ხისა და მიწის 5-წლიანი ციკლი. ასე რომ, ცეცხლოვანი ძაღლი განსხვავდება ხის ძაღლისგან და, მით უმეტეს, წყლის ძაღლისგან.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №41

## პრინცესა ვერონიკა დე შაბო დე ტრამკური:

# „ჩვენ საქართველოს დახმარება გვინდა“

სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილი, თავადის ასული სალომე ცოლად გაჰყვა აშილ მიურატს — ნეაპოლის მეფის, საფრანგეთის მარშლის იოახიმ მიურატისა და ნაპოლეონ ბონაპარტეს დის, კაროლინას შვილიშვილს. ქორწილი 1868 წელს პარიზში შედგა, რის შემდეგაც მეუღლეებმა საფრანგეთი დატოვეს და მთელი სიცოცხლე სამეგრელოში, დადიანების ერთ-ერთ მამულში გაატარეს. აქვეა დაკრძალული აშილ მიურატი. ოქტომბრის რევოლუციის დროს აშილ მიურატის შვილიშვილი — უმცროსი აშილ მიურატი იძულებული გახდა, საქართველო დაეტოვებინა. საფრანგეთში პრინცმა მარკიზა მაგდელენ დე შასლუ-დოპაზე იქორწინა, რომელმაც ცხრა შვილი გაუჩინა. მათგან ყველაზე უმცროსი — პრინცი ალენ მიურატი მეუღლესთან ვერონიკა დე შაბო დე ტრამკურთან და 16 წლის ქალიშვილთან მატილდასთან ერთად საქართველოში დაბრუნდა და 1997 წლიდან მოყოლებული დღესაც აქ ცხოვრობს. დადიანების შთამომავალთა თანამედროვე ყოფა-ცხოვრებაზე გვესაუბრება ასოციაციის „SOS — ქართველი ბავშვები“ აღმასრულებელი დირექტორი პრინცესა ვერონიკა დე შაბო დე ტრამკური.

იხ. მე-12 გვ.

# არ შემიძლია, არ გავიხსენო

დავესესხები ბრძენთა ბრძენ ირანელ პოეტს საადი შირაზელს — ბუსთანიდან.

– სამოცდაათი, ო, რა მალე
გაფრინდა წლები...
(ამ შემთხვევაში
სამოცდაცამეტი)
დღეს განკითხვისას
წაგიძღვება ნამოქმედარი,
ნუ გეშინია, თუ სიკეთით
შენ ხარ მდიდარი.

ბრძენი საადის ამ ღაზელში (ლექსის ფორმაა) მართალია, თუ აქვს ნახმარი, მაგრამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს — მართლმადიდებელი ქართველი ყოველგვარი თუ-ს გარეშე ჭეშმარიტად ეტყვის, აღნიშნავს და მიმართავს, რომ

**— სიკეთით შენ ხარ მდიდარი!**

რადგანაც მას შემდეგ, რაც მან ვაზის ჯვარს მიუძღვნა გული და სული, ქართული ეკლესია წელში გასწორდა, გაფართოვდა და განმტკიცდა.

და რადგანაც მისი ყოველდღიური ფიქრი, შრომა და მცდელობაა, ქართული სახელმწიფოსა და ერის გაერთიანება-გაძლიერებისათვის.

ამ შემთხვევაში მსურს კათოლიკოს-პატრიარქის მხოლოდ ერთ თვისებას შევეხო, რაც შესაძლოა თითქოსდა უმნიშვნელო იყოს, მაგრამ ასეთი ფაქტითაც ნათლად ჩანს ადამიანის ეროვნულობა და მამულიშვილობა!

თვისებას, ანუ უწმინდესის სიამაყეს.

ყველასათვისაა ცნობილი, თუ რაოდენ თავმდაბალი და თავაზიანი პიროვნებაა ილია მეორე, მაგრამ თავისი ქვეყნისა და ერის წარდგენისა და წარმოჩენისას დიდად ამაყი ხდება.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი გვამცნობს: „სიამაყე — საკუთარი ღირსების გრძნობებით განსჭვალული“. ამას უნდა დაემატოს — არა მარტო. საკუთარი ღირსების, არამედ შენი ერის, შენი თანაფესვის (თანამემამულის) ღირსებაც, რომელნიც სამშობლო ქვეყანას საამაყოს ხდის!

მადლობა ღმერთს, რომ საქართველოს მრავლად ჰყავდა და ახლაც ჰყავს ღირსეული შვილები. ეს რომ არა, ქართული ჯილაგი აღიგვოდა პირისაგან მიწისა.

ესეც ხომ სინამდვილეა, ქართლის ცხოვრებას როს ეცნობი: საქართველო მაშინ იყო ძლიერი, როდესაც ერსა და ბერს გონიერი და უნარიანი მმართველები ჰყავდნენ.

ბოლო ხანებში საქართველოში განხორციელებულმა საერო და სასულიერო ძვრებმა დიდი სასიკეთო შედეგებიც დაგვანახა.

ამ შემთხვევაში უწმინდესი ილია მეორის ძალისხმევამ ერში რწმენა და ეროვნული შეგნება საგრძნობლად აამაღლა და განამტკიცა.

1970-იანი წლების დასაწყისში ეგრეთ წოდებული „ცივი ომის“ დროს ორი დაჯგუფების, ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის, ომის საფრთხე





შეიქმნა, მიმდინარეობდა გამალებული შეიარაღება.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის კომტეტის ინიციატივით ეწყობა მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო კონფერენცია კრემლის ყრილობათა დარბაზში, 1973 წლის ივლისის თვეში.

ყრილობის დამსწრე ქვეყნების უმრავლესობა აზიისა და აფრიკის კონტინენტებიდან იყვნენ.

საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან იყვნენ დელეგაციები როგორც საერო, ასევე სასულიერო პირთა. საქართველოს საერო დელეგაციას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ილია ვეკუა, ხოლო სასულიეროს კი — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით მეხუთე.

კონფერენციის მუშაობა 3 დღეს გაგრძელდა.

ბოლო დღეს, სწორედ ბრეჟნევის გამოსვლის წინ, შესვენებაზე დერეფანში ჩვენი დელეგაციის თითქმის ყველა წევრი ვიდექით და ჩვეულებრივად ვერთობოდით, რადგანაც სასაცილო და გასართობი ბევრი იყო...

ამ სიცილ-ხარხარის დროს, ასე 20-30 ნაბიჯში უცებ გამოჩნდა შავანაფორიანთა ჯგუფი. შეგვნიშნეს თუ არა, მაშინვე გაქვავდნენ. მათ გამოეყოთ ერთი ასევე შავანაფორიანი და ჩვენსკენ წამოვიდა.

ეს კაცი მოგვიახლოვდა, ქართულად მოგვესალმა. ის აღმოჩნდა თბილისელი ტერტერა, რომელმაც მოგვმართა, რომ მისი უწმინდესობა, კათოლიკოსი ვაზგენი გთხოვთ, წამობრძანდეთ ჩვენთან ერთობლივად სურათის გადასაღებადო...

ქართული „უცაბედობა“ და ყველამ — ერმაც და ბერმაც გასწია შავანაფორიანებისკენ, რომელნიც კვლავ ერთ ადგილს იყვნენ გაშეშებულნი.

ქართული დელეგაციიდან არ წავიდნენ მხოლოდ ორნი — ერთი იყო იმ ხანებში ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, ხოლო მეორე — ამ სტრიქონების ავტორი.

ვიდექით ორნი, არაფერი გვითქვამს, ერთმანეთს შევხედეთ და მხოლოდ გავუღიმეთ...

თითქოსდა არაფერი მოხდა. მაგრამ დიახაც, რომ იქ მომავალმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მაშინ წარმოაჩინა თავისი ეროვნული სული და სიამაყე!

**ნოდარ კოჭლაშვილი**



# პრინცესა ვერონიკა დე შატო დე ტრაპკური: „ჩვენ საქართველოს დახმარება გვინდა“

## დადიანების მუზეუმიდან საგვარეულო რელიკვიები იკარგება

(მეთერთმეტე გვერდიდან)

**— 2005 წლის მიწურულს თქვენ დიდი პრესკონფერენცია გამართეთ. რის შესახებ ესაუბრეთ ჟურნალისტებს, რა მოვლენებთან იყო დაკავშირებული ეს ღონისძიება?**

— ამ შეხვედრაზე ჩვენ შევაჯამეთ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა, ვისაუბრეთ ჩვენს საქმიანობაზე, იმაზე, რაც გვაწუხებს, ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენი მოსაზრებები. ჩვენი ასოციაცია „SOS – ქართველი ბავშვები“ 1997 წლის 5 სექტემბერს დაფუძნდა ზუგდიდში. მე მისი აღმასრულებელი დირექტორი გახლავართ. დღიდან დაარსებისა ასოციაცია მრავალ საქველმოქმედო ღონისძიებას ატარებს, ესაა: სალიას სახელობის სკოლის რეკონსტრუქცია ზუგდიდში, ფრანგული ბიბლიოთეკის გახსნა 3000-წიგნიანი ფონდით, ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს 15 პალატის, და აგრეთვე ამ საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში სასადილოს და სამზარეულოს კეთილმოწყობა; კატარაქტის, კურდღლის ტუჩის, მგლის ხახისა და ა. შ. ოპერაციების დაფინანსება; ტუბერკულოზით, ლეიკოზით დაავადებულთა მატერიალური დახმარება; გაჭირვებული ოჯახების დახმარება ბავშვების სასწავლო წლისთვის მომზადების საქმეში (ტანსაცმლით, წიგნებითა და სხვა საჭირო ნივთებით უზრუნველყოფა). გარდა ამისა, ჩვენმა ასოციაციამ საქართველოში საფრანგეთის საელჩოსთან ერთად ზუგდიდელი და წალენჯიხელი ობოლი ბავშვები მოამარაგა ტანსაცმლით, თბილი საბნებით, დასავლეთ საქართველოს ძნელად მისადგომ რაიონებში ჩაიტანა 25 ტონა ზეთი, 10 ტონა სპაგეტი, 10 ტონა მანანის ბურღული. ასოციაციამ „SOS – ქართველი ბავშვები“ დააფინანსა არასამთავრობო ორგანიზაციათა მცირე პროექტები, რომლებიც ბავშვთა საზაფხულო ბანაკების მოწყობას ითვალისწინებდა; დაასპონსორა ქართველ სტუდენტთა სწავლა უცხოეთში; მატერიალური დახმარება გასწია ზუგდიდში ერთობლივი ქართულ-ფრანგული სკოლის შესაქმნელად; წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიას მიკროავტობუსი აჩუქა.

გარდა ამისა, ასოციაციამ „SOS – ქართველი ბავშვები“ დააფუძნა „მწვანე სახლი“, სადაც კვალიფიცირებული სპეციალისტები სათანადო დახმარებას უწევენ სამეგრელოს გაჭირვებული ოჯახების წევრ ორსულ ქალებს. სახლი მწვანედ არის შეღებილი, რადგანაც ეს ფერი იმედის, სიცოცხლის სიმბოლოა და ის გაზაფხულის დადგომასთან ასოცირდება.

**— კონკრეტულად რაში გამოიხატება „მწვანე სახლის“ დახმარება?**

— აქ მოდიან ორსული ქალები, რომლებსაც არ გააჩნიათ სახსრები ბავშვის შესანარჩუნებლად. ჩვენ მათ დახმარებას ვუწევთ მშობიარობის დროს, მელოგინეებს 100 ლარს ვჩუქნით, მერე კი ყოველთვიურად ვაძლევთ 20 ლარს, რომელიც სამედიცინო ტესტირებისთვის და ელემენტარული სამედიცინო მომსახურებისთვის არის საჭირო. ამ გზით ჩვენ წლის განმავლობაში 27 ახალშობილის შენარჩუნება შევძელით. ამ დახმარების გარეშე დედები შვილებს ვერ შეინარჩუნებდნენ. ცხადია, ეს ქალები ძალზე ღარიბი ოჯახების წარმომადგენლები არიან და ის ფულადი დახმარება, რომელსაც ჩვენ მათ ვუწევთ, ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ აქ სხვა მომენტიცაა: ეს ბავშვები რომ იბადებიან, ისინიც და მათი დედებიც ირგვლივ მყოფთა სიყვარულსა და ზრუნვას გრძნობენ. ერთხელ ჩვენთან მოვიდა ქალი, რომელიც ორი თვის ფეხმძიმე იყო, მას უკვე ჰყავდა სამი შვილი, სამი გოგონა, და მას ეჭვი ეპარებოდა, შეძლებდა თუ არა ნაყოფის შენარჩუნებას. ჩვენ ის „მწვანე სახლში“ მოვიწვიეთ, გავესაუბრეთ, ამის შემდეგ მან მეოთხე შვილის გაჩენა გადაწყვიტა და გააჩინა კიდეც – ბიჭი. „მწვანე სახლში“ ორი ადამიანი მუშაობს – სოციალური ასისტენტი ია და ექიმი ნანა. ისინი ესაუბრებიან ქალებს, ეხმარებიან მათ გადაწყვეტილების მიღებაში, ამხნევებენ. საქართველოს პატარა ქართველები სჭირდება. რეგიონებში სკოლები დაცარიელდა, შობადობამ მკვეთრად იკლო: 30 წლის წინათ ასეთი კრიზისი საფრანგეთმაც გადაიტანა, როდესაც იქ შობადობა დაეცა, მასწავლებლები აღშფოთებულები იყვნენ, აქციებს აწყობდნენ, სკოლების დახურვას აპროტესტებდნენ. მახსოვს, მაშინ მამაჩემი სიტყვით გამოვიდა და მასწავლებლებს ჰკითხა, თქვენ თვითონ რამდენი შვილი გყავთო? მასწავლებლებმა უპასუხეს – ერთი ან მაქსიმუმ ორი შვილიო. მაშინ მამამ უთხრა, რომ არ შეიძლება მასწავლებლებმა პრეტენზიები წაუყენონ და შობადობის პრობლემაზე ილაპარაკონ, თუ თავად არ გახდებიან მაგალითი. ახლა აქაც იგივე ხდება.

**— როდის და როგორ გადაწყვიტეთ საქართველოში სამუდამოდ საცხოვრებლად დაბრუნება?**

— ეს 1997 წელს მოხდა, ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ვჭირდებით საქართველოს ამ რეგიონს. სურვილი გაგვიჩნდა, უფრო ახლო ურთიერთობა დაგვემყარებინა საფრანგეთსა და საქართველოს შორის, ჩავთვალეთ, რომ ამგვარი ერთობლივი პროექტებით, არსებული კავშირების წყალობით ბევრი სასარგებლო რამის გაკეთებას შევძლებდით. დახმარება გვსურდა.

**— ვინ აფინანსებს თქვენს საქმიანობას საქართველოში?**

— ყველაზე ხშირად ჩვენი პროექტები UNEC-ის (საფრანგეთიძ მიერ ფინანსდება, ეს გახლავთ ევროპის ქრისტიანი ხალხების გაერთიანება, მაგრამ ჩვენ დაფინანსების სხვა წყაროებიც გვაქვს, ყველაფერი დამოკიდებულია ჩაფიქრებული პროექტების სპეციფიკაზე...

**— რა მდგომარეობაშია ამჟამად დადიანების სასახლის კომპლექსი ზუგდიდში და როგორ მიმდინარეობს მისი აღდგენის პროცესი?**

— მიმაჩნია, რომ მუზეუმი ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს ისე, როგორც უნდა ფუნქციონირებდეს. მუზეუმში ყველაფერი შესაცვლელი და გადასაკეთებელია. უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიცვალოს მუზეუმის პერსონალი, ვინაიდან დღეს მუზეუმში ძველი, გაუმართლებელი მეთოდით მუშაობენ. მუზეუმში მეტისმეტად ბევრი თანამშრომელია, თუმცა ფაქტობრივად ისინი არაფერს აკეთებენ. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმის სამი თანამშრომელი სტაჟირებისთვის საფრანგეთში იყო გაგზავნილი ევროპის მუზეუმების მუშაობის სტანდარტებისა და სპეციფიკის შესასწავლად, ამან, სამწუხაროდ, ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო. მუზეუმი კვლავაც ძველებურად ცხოვრობს და იგი კვლავინდებურად შორსაა ევროპული სტანდარტებისგან. უკვე ვრწმუნდები იმაში, რომ ისეთ ადამიანებთან გვაქვს საქმე, რომლებსაც არაფრის შეცვლა არ უნდათ და მხოლოდ ძველი, კომუნისტური მენტალიტეტით შეუძლიათ მუშაობა. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის არის, რომ მუზეუმიდან საგვარეულო რელიკვიები იკარგება. დაიკარგა დაახლოებით 160 სახის იარაღი, წიგნების უნიკალური კოლექცია, მონეტები... ეს წლინახევრის წინათ მოხდა...



„მწვანე სახლი“

**— სახელმწიფო თუ გეხმარებათ მსგავსი პრობლემების გადაჭრაში და საერთოდ, რამდენად აქტიურად თანამშრომლობთ მთავრობასთან?**

— ჩვენ, რა თქმა უნდა, ვცდილობთ ამ საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ვაწარმოოთ მთავრობასთან, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამას სასურველი შედეგები არ მოჰყოლია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმი ფაქტობრივად დაუცველია, არ არსებობს არავითარი სიგნალიზაციის სისტემა. და ეს მაშინ, როცა ასობით ათასი ლარი დაიხარჯა, თითქოსდა მუზეუმის ეზოს წესრიგში მოსაყვანად, ეზოში ცემენტის ფილები დაიგო, რაც ამ სტილის ბაღისთვის ყოვლად მიუღებელი და ევროპული სტანდარტების შეუსაბამოა.

**— აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ თქვენი ინტერესები იგნორირებულია?**

— ამ შემთხვევაში, ეს მარტო ჩვენ კი არა, მთელი რეგიონის, ადგილობრივი მოსახლეობის იგნორირებაა. რადგან, როგორც ჩანს, მათ არ სჭირდებათ სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ საიმისო კომპეტენცია, რომ ამ მუზეუმსა და ბაღს მოუარონ. მაგალითად, მუზეუმის ეზოში აღადგინეს კომუნისტების მიერ 1964 წელს აგებული შადრევანი. განა უკეთესი არ იქნებოდა, ადამიანები არა ის, რაც კომუნისტების დროს გაკეთდა, არამედ ის, რაც კომუნიზმის ეპოქამდე იყო?!



მიურატების ოჯახი

თავიდან მჯეროდა რეფორმების, რომლებსაც ხელისუფლება ატარებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ოცნებად დარჩა... თუ მუზეუმის პერსონალი არ შეიცვლება ახალგაზრდა, პერსპექტიული ადამიანებით, რომლებსაც ექნებათ თვითსრულყოფის მეტი სურვილი და სწრაფვა, რომლებიც უცხოეთში გაივლიან სტაჟირებას და ევროპის მუზეუმების მუშაობის სპეციფიკას შეისწავლიან, რაიმეს კეთებას აზრი არ ექნება.

**— შეესაბამება თუ არა სიმართლეს მოარული ხმები იმის შესახებ, რომ თქვენმა ოჯახმა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში შეიტანა სარჩელი და ზუგდიდში არსებული დადიანების სასახლის საკუთრებაში გადაცემა მოითხოვა?**

— ეს გარკვეული მიზნით გავრცელებული ჭორებია. ამ დეზინფორმაციის წყარო სამეგრელო-ზემო სვანეთის კულტურის ატაშე მაია კალანდია გახლავთ. მას კერძო ინტერესები ამოძრავებს. აქ რომ ჩამოვედით, პირველ ხანებში თარჯიმნად მისი ქალიშვილი დავიქირავეთ, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ სამუშაოდ უფრო კვალიფიციური სპეციალისტი მოვიწვიეთ.

გარდა ამისა, იმისათვის, რომ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი შეიტანო, ჯერ საქართველოში უნდა გაიარო ყველა შესაბამისი სასამართლო ინსტანცია. ჩვენ არ გამოვრიცხავთ მოვლენათა ასეთ განვითარებას მომავალში, მაგრამ საქმე ეხება არა დადიანების სასახლეს ზუგდიდში, არამედ დადიანების მამულებს სალხინოში (მარტვილის რაიონიძ და სოფელ ჭკადუაშში, რომლებიც დღეს სავალალო მდგომარეობაშია და სასახლეებისგან იქ სახელწოდებაღაა დარჩენილი. დადიანების ზუგდიდში არსებული სასახლის კომპლექტთან დაკავშირებით ჩვენ მუზეუმის მეურვეობის თხოვნით მივმართეთ მთავრობას, მეტი პრეტენზიები კი ჩვენ არ გამოგვითქვამს.

**— ტიტული „პრინცესა“ რომანტიკულ ასოციაციებს იწვევს. გვიამბეთ, როგორია თქვენი ჩვეულებრივი სადაგი დღე, შეიცავს თუ არა ის რაიმე სპეციფიკურ ღონისძიებებს?**

— როგორც მსოფლიოს ყველა ქალი, მეც ყოველდღიურად ვზრუნავ ჩემი ოჯახის წევრებზე. ჩემი დღის განაწესი არანაირ უჩვეულო თუ ზღაპრულ მოვალეობებს არ გულისხმობს. მე პროფესიით პედაგოგი გახლავართ და მრავალი წლის განმავლობაში ისტორიას ვასწავლიდი...

**— რას საქმიანობენ თქვენი ქმარი პრინცი ალენ მიურატი და ნორჩი პრინცესა მატილდა?**

— ჩემს მეუღლეს ხელოვნების სპეციალიზებული ეთნოლოგიური მუზეუმი ჰქონდა. ათეულობით წლების განმავლობაში ის თავის სტუდენტებსა და მასწავლებლებს სხვადასხვა რეგიონებს ათვალიერებინებდა, მას უყვარს თავისი საქმე. პრინცესა მატილდამ კი საკუთარი ბიზნესი წამოიწყო – შპს „ოცნების ბაღი“. მისი ფირმა ყვავილების გამოყვანით, ბაღებისა და პარკების მოწყობა-გაშენებით იქნება დაკავებული...

**— ძირითადად სად ცხოვრობთ: თბილისში, ზუგდიდში თუ საფრანგეთში?**

— ძირითადად ზუგდიდში, თბილისშიც ვარ ხოლმე, საფრანგეთში კი უკვე წელიწადში ერთხელ ჩავდივარ.

**— ზუგდიდში არსებული რთული სოციალური ფონი თუ მოქმედებს თქვენზე?**

— სწორედ ამიტომ ჩამოვდივარ ხოლმე თბილისში. ადრე ძირითადად ზუგდიდში ვცხოვრობდით. მაგრამ ზამთარში იქ ძალიან ჭირს, გაუსაძლისი მდგომარეობაა, ჯერ კიდევ ორი წლის წინათ რეფორმების დიდი იმედი მქონდა, მაგრამ გაწბილებული დავრჩი.

**— აქტიურად ადევნებთ თვალს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს?**

— მე პოლიტიკისგან ძალიან შორს ვარ, ტელევიზორსა და საინფორმაციო გამოშვებებს იშვიათად ვუყურებ, მირჩევნია, ადამიანებთან მქონდეს ურთიერთობა, გავიგო, რა უჭირთ, რით ცხოვრობენ და დავეხმარო მათ...

**— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები, რა მიმართულებით აპირებთ საქმიანობის გაგრძელება-განვითარებას?**

— პირველ რიგში, უნდა განვითარდეს და გაფართოვდეს „მწვანე სახლის“ საქმიანობა, კარგი იქნებოდა მისი დაარსება საქართველოს სხვა რეგიონებშიც, ვფიქრობთ, აგრეთვე განვავითაროთ ზუგდიდის სკოლა-ლიცეუმი, რომელიც უკვე ხუთი წელია ფუნქციონირებს. მნიშვნელოვანი საკითხია ფრესკების აღდგენა სამეგრელოში, ხობის, ცაიშის, წალენჯიხის ეკლესია-მონასტრებში შემორჩენილია დადიანების საგვარეულო ფრესკები, რომლებიც ამჟამად კატასტროფულ მდგომარეობაშია. ათეულობით წლების მანძილზე მათ გადარჩენა-მოვლაზე არავის უზრუნია. არავინ იცავდა ეკლესიებს, სადაც უნიკალური ფრესკებია... ამიტომ ბანკში გაიხსნა სპეციალური ანგარიში, მასზე ჩარიცხული თანხები ამ ფრესკების აღდგენას მოხმარდება. ჩვენ იტალიის ელჩ ფაბრიციო რომანოსთან ერთად საქართველოში მოვიწვიეთ იტალიელი რესტავრატორი ალბაკიარა პიცუტო, რომელმაც შეისწავლა ფრესკების მდგომარეობა და თავს იდო მათი აღდგენა. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება კულტურის სამინისტროსთან: საჭიროა, რომ სამინისტრომ ალბაკიარა პიცუტო კვალიფიციურ სპეციალისტად აღიაროს...

**ლალი ნიკოლავა**

გაბრიელ გარსია მარკესი

# ჩემი მოწყენილი მეძავების გახსენებისა



ყველაფერ ამასთან სასიკვდილო შხამს აფრქვევდა რედაქციის თანამშრომლების პანორამული ფოტო, რომელიც გადაღებულია გაზეთის დაარსებიდან ოცდამეხუთე წლისთავზე. სურათზე ზოგიერთის თავზე ჯვარია დასმული — ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარდაცვლილები არიან. მარჯვნიდან მეორე მე ვარ, კანოტიე მახურავს, ფართონასკვიანი ჰალსტუხი მიკეთია, ჰალსტუხზე მარგალიტისთვლიანი ქინძისთავი მაქვს დამაგრებული, ორმოც წლამდე შნოიანი ულვაში მქონდა, ლითონისჩარჩოიანი სათვალე ბეცი სემინარისტივით მედო ცხვირზე. ნახევარი საუკუნის მერე სათვალე აღარ დამჭირვებია. ეს ფოტო სხვადასხვა დროს სხვადასხვა კაბინეტში მაქვს ნანახი, მაგრამ მხოლოდ ახლა მივხვდი მის არსს: ორმოცდარვა კაციდან, ძველი მუშაკებიდან, მხოლოდ ოთხიღა იყო ცოცხალი, ჩვენს შორის კი ყველაზე უმცროსი ოცწლიან სასჯელს იხდიდა ციხეში სერიული მკვლელობებისათვის.

დირექტორმა ტელეფონზე საუბარი დაამთავრა და როცა შეამჩნია, ფოტოსურათს ვუყურებდი, გაიღიმა: „ჯვრები მე არ დამისვამს, — თქვა მან, — ვფიქრობ, ეგა ცუდი გემოვნების ბრალია, — მაგიდას მიუჯდა და სხვა კილოზე წამოიწყო ახლა ლაპარაკი. — ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ თქვენ მოულოდნელობებით სავსე კაცი ბრძანდებით მათ შორის, ვისაც კი ვიცნობ. მე მხედველობაში მაქვს თქვენი განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე". ძლივს ჩავურთე სიტყვა: „ეს მთელი ცხოვრებაა". დირექტორი შემეპასუხა, „სწორედ ამიტომაც არ არის ეს გამოსავალი. სტატია ძალიან მომეწონა, მსჯელობა სიბერეზე საუკეთესოა, მსგავსი არაფერი წამიკითხავს. ამიტომაც არავითარი აზრი აღარ ჰქონდა, სტატიას ბოლოში რომ მიაყოლეთ თქვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სამოქალაქო სიკვდილის ტოლფასი უფროა. „საბედნიეროდ, — თქვა დირექტორმა, — „საზიზღარმა თოვლის კაცმა" სტატია უკვე გვერდებად შეკრულში წაიკითხა და დასაბეჭდად მიუღებელი მოეჩვენა. არავის შეთანხმებია, თავისი ტორკვემადასეული ფანქრით ზოგან მიუხაზ-მოუხაზავს ტექსტი, ზოგან ამოუშლია კიდეც ადგილები. გუშინ დილით ეს ამბავი რომ გავიგე, გადავწყვიტე მთავრობისთვის გამეგზავნა პროტესტის წერილი. ეს ჩემი მოვალეობაა, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, ცენზორის მადლობელიც კი ვარ მისი თვითნებობისთვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ნოტა უყურადღებოდ დავტოვეო". დირექტორმა გულწრფელად მთხოვა, ნუ დატოვებთ გემს შუა ზღვაშიო... შემდეგ კი მაღალფარდოვნად დაუმატა: „ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი მუსიკაზე".

დირექტორი ისე მტკიცედ იდგა თავის სიტყვაზე, რომ შეკამათებას აზრი აღარ ჰქონდა. მართალი რომ ვთქვა, დიდი ხელჩასაჭიდი მიზეზი გალერის დასატოვებლად ნამდვილად არ მქონდა. კიდევ ერთხელ ვიტყვი ჰოს, დროს მოვიგებ, დავმშვიდდები. ჩემდა სამარცხვინოდ გულაჩუყებული და თვალზე ცრემლმომდგარი არ მინდა ვინმემ დამინახოს... და მაინც, როგორც მთელი ეს ხანი, ახლაც ჩვენ-ჩვენს მოსაზრებაზე დავრჩით.

მომდევნო კვირაში, რომელიც აურზაურით უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე მხიარულებით, ცხოველთა საშენს მივაკითხე კატის წამოსაყვანად. ცხოველების გვერდით ცხოვრება ნამდვილად არ მოზიდავდა, არც ბავშვების გვერდით, ვიდრე ლაპარაკს დაიწყებდნენ. ვფიქრობ, მათ მუნჯი სული აქვთ. ვერ ვიტყვი, არ მიყვარანმეთქი, უბრალოდ, ვერ ვიტან იმიტომ, რომ არ ვიცი, მათთან როგორ მოვიქცე. არაბუნებრივად მეჩვენება, როცა კაცს თავისი ძაღლი უფრო უგებს, ვიდრე ცოლი. კაცი ძაღლს წვრთნის, ასწავლის, ელაპარაკება, უზიარებს თავის დარდს, მაგრამ სტამბის მუშების ნაჩუქარი კატა რომ არ წამოვიყვანო, ეს ნიშნავს, გავანაწყენო ისინი. თანაც ეს ხომ მშვენიერი ანგორის კატაა თავისი ვარდისფერი მბზინავი ბეწვითა და ცეცხლოვანი თვალებით, კნავილით კი ისე კნავის, გეგონება, სადაცაა ალაპარაკდებაო.

კატა დაწნული კალათით გამომიყვანეს ჯიშის დამადასტურებელი სერტიფიკატითა, და ვითომ დასაკეცი ველოსიპედი ყოფილიყოს, ინსტრუქციაც მოაყოლეს.

სამხედრო პატრული საბუთებს უმოწმებდა სან ნიკოლას პარკში შემსვლელებს. არაფერ ამის მსგავსს მე წინათ არ შევსწრებივარ, ხოლო ის მძიმე შთაბეჭდილება, რამაც ჩემზე ასე იმოქმედა, სიბერის სიმპტომად ჩავთვალე, პატრული ოთხი კაცისგან შედგებოდა. ოთხივენი მაგარი ჩუმი ახალგაზრდები იყვნენ, მთიულები და საქონლის სადგომის სუნი ასდიოდათ. ოფიცერი, რომელსაც ზღვისპირელის მზემოკიდებული სახე ჰქონდა, ყურადღებით ადევნებდა თვალს თავის ხელქვეითებს. ჩემი პირადობის მოწმობა და ჟურნალისტის წიგნაკი რომ შეამოწმეს, ოფიცერმა მკითხა, კალათში რა გაქვთო. კატა-მეთქი, ვუპასუხე. ვნახოთო. კი, ბატონო-მეთქი, ოღონდ არ ამოხტეს და არ გამექცეს-მეთქი. კალათს ფრთხილად ავხადე თავი, მაგრამ პატრულმა, აქაოდა, კალათის ძირში რამე საეჭვო ხომ არ არისო, ხელი მოაფათურა, კატამ კი გააკაწრა. „დიდებული ანგორული კატაა", — ოფიცერი მიეფერა, რაღაცა ჩაუჩურჩულა, კატა არ განძრეულა, მაგრამ არც ყურადღება მიუქცევია მისთვის. „რამდენი წლისაა?" — დაინტერესდა ოფიცერი. „არ ვიცი, სულ ახლახან მაჩუქეს". „იმიტომ გეკითხებით, რომ ვხედავ, ძალიან ბებერია, ალბათ ათი წლისა იქნება". მინდოდა, გამერკვია, საიდან იცოდა მან ეს ყველაფერი და კიდევ ბევრი რამ, მაგრამ თუმცა ოფიცერს კარგი მანერები და დახვეწილი მეტყველება ჰქონდა, ძალა არ გამაჩნდა მასთან ლაპარაკისა. „ჩემი აზრით, კატა მიტოვებულია და თანაც რამდენჯერმე, — თქვა ოფიცერმა, — თვალი ადევნეთ, თქვენს ნება-სურვილზე ნუ გადაიყვანთ, პირიქით, მისას მიჰყევით და დაელოდეთ, როდის დაიმსახურებთ მის ნდობას". მან კალათს თავი დაახურა და მკითხა: „თქვენ რას საქმიანობთ?" „ჟურნალისტი ვარ". „დიდი ხანია?" „თითქმის საუკუნე". „ასეც გავიფიქრე", — თქვა მან, ხელი ჩამომართვა და ისეთი რამ მითხრა, რომელიც შემეძლო მიმეღო როგორც კეთილი რჩევა და მზრუნველობა.

— თავს გაუფრთხილდით.

შუადღისას ტელეფონი გამოვრთე, რათა „ჩავძირულიყავი" გემოვნებით შერჩეულ მუსიკაში. შევარჩიე ვაგნერის რაფსოდია კლარნეტისა და ორკესტრისათვის, დებიუსის რაფსოდია საქსოფონისათვის და ბრიუკნერის კვინტეტი სიმებიანი საკრავებისათვის — სამოთხისეული დასვენება კომპოზიტორის მუსიკალურ ქმნილებათა კატაკლიზმში. მე ჩავიძირე ოთახის ნახევარსიბნელეში და უცებ ვიგრძენი, რაღაცა გასრიალდა მაგიდის ქვეშ, მომეჩვენა, ცოცხალი არსება კი არა, რაღაც ზებუნებრივი სუბსტანცია იყო. ფეხზე შემეხო, ყვირილს ნახტომი მოჰყვა. ეს კატა იყო, ლამაზი, კუდფუმფულა, იდუმალად აუჩქარებელი, მითოლოგიური არსება. გამაჟრჟოლა: მე შინ ვარ და ჩემ გვერდით ცოცხალი არსებაა, რომელიც ადამიანი არ არის.

სამრეკლოს საათმა შვიდჯერ რომ ჩამოკრა და შევარდისფრებულ ცაზე ერთი ეული და კაშკაშა ვარსკვლავილა შემორჩენილიყო, ხოლო რომელიღაც გემმა ნავსადგურიდან გავლისას უნუგეშო გამოსამშვიდობებელი გუგუნი მოჰფინა იქაურობას, მე ვიგრძენი, ყელზე როგორ წამიჭირა ყველა იმ სიყვარულის გორდიის კვანძმა, რომელიც შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, ტელეფონის ყურმილს დავწვდი. გული სადაცაა ამომიხტება მკერდიდან, ავკრიფე ოთხი ციფრი ძალიან ნელა, არ შემეშალოს-მეთქი, და მესამე ზარის შემდეგ ვიცანი ხმა. „კარგი, — ვუთხარი მე და თავისუფლად ამოვისუნთქე, — მაპატიე, დილით რომ გავცხარდი". როსამ კი ვითომც არაფერიო: „არა უშავს, ველოდი შენს ზარს". გავაფრთხილე: გოგონა იყოს იმ სახით, რა სახითაც ღმერთმა მოავლინა იგი ამ ქვეყანას, არც არავითარი სალებავი წაათხიპნოთ სახეზე". როსამ ხმამაღლა გადაიხარხარა: „როგორც იტყვი, მაგრამ შენ იკლებ სიამოვნებას, ნელ-ნელა გახადო მას ტანზე, ნელ-ნელა გაათავისუფლო იგი სამკაულებისაგან, ბებრებს უყვართ, არ ვიცი, რატომ..." „სამაგიეროდ მე ვიცი, — ვუპასუხე მე, — ასე ნელნელობაში უფრო ბერდებიან". როსა დამეთანხმა:

„კარგი, ეგრე იყოს. ე. ი. ზუსტად საღამოს ათ საათზე. აჩქარდი, სანამ იგი ჯერ კიდევ თბილია".



## თავი III

როსამ გოგონას სახელი არ მითხრა, უბრალოდ, ნინიად — გოგონად იხსენიებს. მეც ასე ვარჩიე, ნინია, როგორც „თვალთა ჩემთა სინათლევ, ნინია" ან როგორც კოლუმბის მომცრო კარაველა — „ნინია", თანაც თავის სამეურვეო გოგონებს სხვადასხვა კლიენტისთვის სხვადასხვა სახელს არქმევდა ყოველთვის. შევცქეროდი მძინარე გოგონას და ვცდილობდი, სახის მიხედვით გამომეცნო მისი სახელი. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, გრძელი სახელი ერქვა: ფილომენა, სატურნინა, ნიკოლასა ან რაღაც ამდაგვარი. გოგონამ მხარი იცვალა, ზურგი შემაქცია. მომეჩვენა, თავისი ტანის ფორმისა და ზომის სისხლის გუბეში იწვა, თავზარი დამეცა, მხოლოდ მაშინ მოვეგე გონს, როცა დავრწმუნდი, ზეწარს ოფლის ლაქა აჩნდა მხოლოდ.

როსა კაბარკასმა დამმოძღვრა, ფრთხილად მოექეცი, გოგონას ჯერ ისევ ეშინია, ხომ იცი, პირველადაა, უფრო მეტიც, რიტუალის გაწელილმა ზეიმურობამ შიში გაუმძაფრა, კატაბალახას წვეთები დავალევინე, ახლა მშვიდად სძინავს და ცოდვაა გაღვიძებაო.

გოგონას პირსახოცით ოფლს ვუმშრალებდი და თან ხმადაბლა ვუმღეროდი დელგადინაზე, ანუ „სიფრიფანაზე", ხელმწიფის უმცროს ასულზე, რომელსაც ყოველთვის აკლდა მამის სიყვარული. მე ოფლს ვუმშრალებდი, ის კი სიმღერის ტაქტს აყოლილი გვერდს იცვლიდა. „დელგადინა, ყველაზე მეტად მეყვარები". ეს იყო უდიდესი ტკბობა, ხან ერთ გაოფლილ გვერდს ვუმშრალებდი პირსახოცით, ხან მეორეს, სიმღერაც არ მთავრდებოდა: „წამოდექი, სიფრიფანა და ჩაიცვი, სიფრიფანა", — ვუმღეროდი ყურში. სიმღერის ბოლოს კი, როცა ხელმწიფის მსახურები წყურვილით მკვდარ ქალიშვილს იხილავენ საწოლში, მომეჩვენა, რომ ჩემი გოგონა სადაცაა გაიღვიძებდა თავისი სახელის გაგონებაზე, რადგან ის მართლა დელგადინა, ანუ „სიფრიფანა" იყო.

ლოგინში ჩავწექი ტრუსის ამარა, რომელიც პომადიანი ტუჩების ნაკვალევით იყო აჭრელებული, გოგონას გვერდით მოვკალათდი და დილის ხუთ საათამდე ტკბილად მეძინა, რადგან ნანინასავით ჩამესმოდა მისი ჩუმი ფშვინვა. სწრაფად ჩავიცვი, ხელ-პირი არც დამიბანია, სარკეზე პომადით ნაწერმა მიიქცია ჩემი ყურადღება: „ვეფხვი საჭმელს შორს არ ეძებს". დანამდვილებით ვიცი, წინა დღეებში აქ არ მოვსულვარ, ოთახშიც ვერავინ შემოვიდოდა. ნეტავ ვინ დაწერა? ნამდვილად ეშმას ხელი ურევია აქ. საშინელმა ქუხილმა კართან მომისწრო, ოთახი მყისვე აივსო ნოტიო მიწის გრძნეული სუნით. ვიდრე ტაქსს გავაჩერებდი, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ასეთი წვიმები ქალაქს ქაოსში სძირავს მაისიდან ოქტომბრამდე: გახურებული ქვიშიანი ქუჩები მდინარისკენ მიექანებიან აქაფებულ ნიაღვრებად და თან მიაქვთ ყველაფერი, რაც გზაზე ხვდებათ. ეს უჩვეულო სექტემბრის წვიმა კი, რომელიც სამი თვის გვალვის შემდეგ დაატყდა ქალაქს, შეიძლება ითქვას, სულის მოსათქმელიც იყო და დამანგრეველიც.

ჩემი სახლის კარი რომ გავაღე, უცებ ისეთი ფიზიკური შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მარტო არ ვიყავი. კატის ლანდს შევასწარი თვალი, სავარძლიდან ჩამოხტა და აივნისკენ გასრიალდა, თეფშზე ელაგა საჭმლის ნარჩენები, რომელიც მე არ დამიდევს. შარდისა და მძაღე სუნით გაჟღენთილიყო იქაურობა. ეს სუნი ისე შევისწავლე, როგორც ერთ დროს — ლათინური. ინსტრუქციაში ამოვიკითხე, კატები თავიანთ განავალს თურმე მიწაში მალავენ, თუ ეზო არ არის, მაშინ ყვავილის ქოთანს ან მოფარებულ კუთხე-კუნჭულს იყენებენ მოსასაქმებლად. ოჯახში ამ სიბინძურის თავიდან ასაცილებლად, კატის პატრონმა პირველივე დღიდან საგანგებოდ უნდა მიუჩინოს ადგილი ქვიშიან ყუთს. ინსტრუქციაში ისიც წერია, რომ კატა ახალ სახლში უპირველესად თავის ტერიტორიას ინიშნავს თურმე. და სწორედ აქ არის მთავარი სირთულეც, თუმცა ინსტრუქციაში არაფერი წერია ამ სირთულესთან ბრძოლის თაობაზე. ერთი სიტყვით, კატა ცხოვრობდა თავისი წესით და მეც მაიძულებდა დავმორჩილებოდი ამ წესს, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მანდობდა არც თავის მოფარებულ კუთხე-კუნჭულებს, არც თავის საძინებელ ადგილებს და არც თავის ცვალებად ბუნებას. ძალიან მინდოდა, მისთვის მესწავლებინა თავის დროზე ჭამა, ქვიშიანი ყუთის გამოყენება, მინდოდა მესწავლებინა, ლოგინში აღარ დამხტომოდა თავზე მძინარეს, მაგიდაზე საჭმელი არ დაეყნოსა, მაგრამ ამაოდ, ვერც ის შევასმინე, რომ სახლი მისიც იყო საკუთრების უფლებით და არა ომის ნადავლის უფლებით. ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ კატას თავი მივანებე.

იხ. მე-14 გვ.

**გაგრძელება. დასაწყისი**
**იხ. „სრ" № 298-299, 304-305, 2005 წ, № 4-5, 2006 წ.**

# ჩემი მოწყენილი მეძავების გახსენებისას



**(მეცამეტე გვერდიდან)**

საღამო ხანს კოკისპირული წვიმა წამოვიდა, გრიგალი სახლს მიწასთან გასწორებით ემუქრებოდა. ცემინება ამიტყდა, თავი მტკიოდა, სიცხემ ამიწია, თითქოს ძალა და სიმტკიცე მომეცაო, — რაც უცხო იყო ჩემთვის ყველა ასაკსა და ყველა ვითარებაში — იატაკზე ტაშტები მივდგი-მოვდგი იმ ადგილზე, სადაც წვიმა ჩამოდიოდა ჭერიდან და ახლაღა აღმოვაჩინე, რომ შარშანდელი ზამთრისშემდეგ ჭერზე ახალი ხვრელები გაჩენილიყო. ყველაზე დიდი ხვრელიდან წვიმა უკვე დასდიოდა ბიბლიოთეკის მარჯვენა მხარეს. სასწრაფოდ უნდა გადამერჩინა თაროზე ჩარიგებული ჩემი ბერძენი და ლათინელი ავტორები. ის იყო გადმოლაგებას შევუდექი, რომ წყალმა გადმოხეთქა კედლიდან. მილი გამსკდარიყო. ხვრელი დიდი წვალებით ამოვავსე ნაჭრებით, ვცდილობდი, დრო მომეგო წიგნების გადასარჩენად. წყალი და ქარი ავად მძვინვარებდა პარკში. ჯოჯოხეთურმა ელვამ და გრუხუნმა საღამოს ბინდი გაკვეთა და გოგირდის მძიმე სუნი დატრიალდა ჰაერში. გაავებულმა სტიქიამ აივნის მინები ჩაამსხვრია, საკეტები მოგლიჯა და ზღვის შტორმული ქარიც სახლში შემოვარდა, მაგრამ სულ რაღაც ათ წუთში ქარი ერთბაშად ჩაცხრა, მზემ გამოანათა და ააშრო ნამსხვრევებითა და ნაგვით სავსე ქუჩები. კვლავაც ჩამოდგა სიცხე. ავდარმა კი გადიარა, მაგრამ მე დამრჩა ისეთი შეგრძნება, თითქოს მარტო არ ვიყავი სახლში. ასეთ მოვლენას ერთადერთი ახსნა აქვს: ზოგჯერ ადამიანს რეალურად მომხდარი ამბავი ავიწყდება, სამაგიეროდ, ზოგჯერ ისეთ ამბავს იხსენებს, რომელიც არც მომხდარა სინამდვილეში. ჰოდა, ახლა საკმარისი იყო მეხსიერებაში აღმედგინა ის კოკისპირული წვიმა, რომ სახლში უკვე მარტო კი არა, ჩემს „სიფრიფანასთან“ ერთად აღმექვა თავი. ღამით ისე ახლოს ვგრძნობდი მას, რომ ცხადად მესმოდა მისი სუნთქვა, ვხედავდი, როგორ უთრთოდა ჩემს ბალიშზე დადებული ლოყა... მახსენდება, ბიბლიოთეკაში ტაბურეტზე ამძვრალი თაროებს ვათვალიერებდი, მას კი ახლად გამოღვიძებულს წიგნები მშრალ ადგილზე გადაჰქონდა; ვხედავდი, როგორ დარბოდა მთელ სახლში, წყალი კოჭებამდე წვდებოდა, ჭერიდან ჩამოსულ წვიმას ებრძოდა მთლად გალუმპული. მახსენდება, ვიდრე მე ღამის ღვარცოფის მერე სახლს ვალაგებდი, იატაკს ვწმენდდი, მან არარსებული საუზმე მოამზადა და სუფრაც გააწყო. არასოდეს დამავიწყდება, საუზმობისას რა კუშტად შემომხედა: „რატომ გამეცანი ასეთი ბებერი?“ მე სიმართლე ვუთხარი: „ასაკი ის კი არ არის, რამდენი წლის ხარ, არამედ ის, ამ წლებს როგორ გრძნობ“.

მას შემდეგ გოგოს ისე ცხადად ვიხსენებდი, რომ შემეძლო მისთვის ყველაფერი გამეკეთებინა, რაც მომესურვებოდა. შემეძლო მისი თვალების ფერი ჩემი გუნება-განწყობილების მიხედვით შემეცვალა: გამოღვიძებულს თვალები ზღვისფერი ჰქონოდა, გაცინებულს — თაფლისფერი, გაბრაზებულს — ცეცხლისფერი. ტანსაცმელსაც განწყობილების მიხედვით ვაცმევდი — ასაკისა და ვითარების შესაბამისად. ოცი წლისა მოკრძალებულ შეყვარებულ ქალიშვილად მესახებოდა, ორმოცისა — დემიმონდენად, სამოცდაათისა — ბაბილონელ დედოფლად, ასი წლისა — წმინდანად. ვმღეროდით პუჩინის სასიყვარულო დუეტებს, აგუსტინის ლარას ბოლეროს, კარლოს გარდელის ტანგოს და ვრწმუნდებოდით, რომ ვინც არ მღერის, იმას არც ესმის, რა ბედნიერებაა სიმღერა. ახლა მე ზუსტად ვიცი, ეს გონების დაბინდვა კი არა, ჩემს ცხოვრებაში შემოჭრილი პირველი სიყვარული იყო, რომელიც ოთხმოცდაათი წლისას მესტუმრა.

სახლი ხომ ასე თუ ისე მივალაგმოვალაგე, როსა კაბარკასს დავურეკე, „ღმერთო დიდებულო! — შეჰყვირა ქალმა ჩემი ხმის გაგონებაზე. — მე კი მგონია, ჩაიძირე“. ვერაფრით გაეგო, როგორ მოხდა, რომ გოგონასთან მთელი ღამე გავატარე და კვლავ არ დავაკარე თითი. „თუ არ მოგწონს, ეგ შენი ნებაა, მაგრამ ისე მაინც მოიქეცი, ჭკუადამჯდარ კაცს რომ შეეფერება“. მინდოდა ყოველივე ამეხსნა მისთვის, მაგრამ როსამ არ მაცალა: „კიდევ მყავს ერთი გოგო, ცოტა ამაზე უფროსიცაა, ლამაზიც და ისიც ქალიშვილია. მამამისს სურს სახლზე გაცვალოს, მაგრამ შევაჭრება შეიძლება“. გული გამეყინა: „კიდევ რას იტყვი? — შიში შემეპარა ხმაში. — მე ეს მინდა, მორჩა და გათავდა, შევთანხმდით? რა საჭიროა ჩხუბი და უსიამოვნება“. ყურმილში ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, ბოლოს ქალმა თავისთვის ჩაილაპარაკა მორჩილად: „ჰო, ეტყობა, ექიმები სწორედ ამას ეძახიან ბებრულ ჭკუასუსტობას“.

ზუსტად ათ საათზე მივედი მძღოლთან ერთად. მძღოლი განსაკუთრებულად დამამახსოვრდა თავისი თავაზიანობით: ზედმეტი შეკითხვებით არ შევუწუხებივარ. მივიტანე პატარა ვენტილატორი და ორლანდო რივერა-ფიგურიტას ნახატი, რომელიც ძალიან მიყვარს. ჩაქუჩი და ლურსმანიც არ დამვიწყნია, სურათი ხომ უნდა დავკიდო კედელზე, გზად მაღაზიაში შევიარე, კბილის პასტა, ჯაგრისი, ხელის საპონი, ტუალეტის წყალი „აგუა დე ფლორიდას“ ვიყიდე. ლარნაკისა და ვარდების თაიგულის ყიდვაც მინდოდა ხელოვნურყვავილიანი ქოთნის დასაჩრდილად, მაგრამ საყვავილე დაკეტილი დამხვდა და ვიღაცის ბაღში რამდენიმე ახლად ამოკოკრებული ლამაზი ყვავილის მოპარვა მომიწია.

დიასახლისის რჩევა გამახსენდა და სახლს უკანა მხრიდან, პარალელური ქუჩიდან, აკვედუკის მხრიდან მივადექი, რათა არავის დავენახე ბაღში გამავალ კართან. მძღოლმა მითხრა: „ფრთხილად იყავით, პატივცემულო, ამ სახლში კლავენ“. მე ვუპასუხე: „თუ სიყვარულისთვის კლავენ, მომკლან“. ეზოში ბნელოდა, მაგრამ ფანჯრებში სიცოცხლე ენთო, ექვს ოთახში დომხალი თუხთუხებდა. ჩემს ოთახში ოდნავ ხმამაღლა ჟღერდა თბილი ხმა ამერიკელი ტენორის დონ პედრო ფარგასისა, რომელიც ასრულებდა მიგელ მატამოროსის ბოლეროს. მეგონა, სადაცაა მოვკვდები-მეთქი, სუნთქვა შემეკრა, კარს ხელი ვკარი და საწოლზე დავინახე დელგადინა-სიფრიფანა სწორედ ისეთი, როგორიც ხშირად წარმომედგინა: შიშველს ტკბილად ეძინა მარცხენა გვერდზე, გულის მხარეს.

ვიდრე დავწვებოდი, ჩემი ნივთები ამოვალაგე, ძველი, დაჟანგული ვენტილატორის ადგილას ახალი დავდგი; სურათი ისე დავკიდე, საწოლიდან რომ კარგად დაენახა. მერე მივუწექი და თავით ფეხამდე ვიცანი იგი. ეს გოგონა იყო, ჩემს სახლში რომ დადიოდა, ეს ის ხელებია, სიბნელეში ფათურით რომ მცნობდნენ, ეს ის ფეხებია, კატასავით მსუბუქად რომ დააბიჯებს, იმ ოფლის სუნია, ჩემს ზეწარს რომ ასდიოდა, ის თითია, ღილების დაკერებისას სათითეს რომ იკეთებს ზედ. მაგრამ აი, რა არის დაუჯერებელი: ის, ვინც მე ხორცშესხმული ვნახე და ხელითაც შევეხე, ნაკლებად რეალური მეჩვენებოდა, ვიდრე ის, ვინც ჩემს მეხსიერებაში ცხოვრობდა.

„კედელზე შენს პირდაპირ სურათი ჰკიდია, — ვუთხარი გოგონას. — ფიგურიტამ დახატა, ჩვენ ის ძალიან გვიყვარდა, ბორდელებში ცეკვავდა, გულკეთილი კაცი იყო, ეშმაც კი ეცოდებოდა. ეს სურათი, გემებს რომ ღებავენ, იმ საღებავებით დახატა, ტილოც დამსხვრეული თვითმფრინავიდანაა, რომელიც სიერა ნევადა დე სანტა მარიას მთებში ჩამოვარდა. ფუნჯებიც თავისი ძაღლის ბეწვისგან გააკეთა. სურათზე დახატული ქალი მონაზონია, ფიგურიტამ მოიტაცა მონასტრიდან და ცოლად ითხოვა. სურათი მე დავკიდე აქ, რათა გამოღვიძებისთანავე პირველი ეს დაინახო“.

შუაღამისას შუქი რომ ჩავაქრე, გოგონას გვერდი არც უცვლია, ისე წყნარად სუნთქავდა, პულსიც კი გავუსინჯე, ხომ ცოცხალია-მეთქი. მის ძარღვებში სისხლი ჩუმი სიმღერასავით ჩქეფდა, მისი სხეულის ყველაზე იდუმალ ადგილებამდე აღწევდა და შემდეგ გულთან ბრუნდებოდა სიყვარულით განწმენდილი.

ამას წინათ, წასვლამდე, ქაღალდზე მისი ხელის გულის ხაზები გადავიხატე და დივა საჰიბს მივუტანე ამოსაკითხად, გოგონას სულის ამოსაცნობად. პასუხი ასეთი იყო: ამბობს მხოლოდ იმას, რასაც ფიქრობს. ხელსაქმე ეხერხება. უკავშირდება მიცვალებულს, ვისგანაც ელოდება შველას, მაგრამ ამაოდ. შველა იქვეა, მის გვერდით. ასაკოვანი მოკვდება, გათხოვილი. ახლა მას ჰყავს კაცი, შავგვრემანი, მაგრამ ეს მისი ცხოვრების მამაკაცი არ არის. შეუძლია იყოლიოს რვა შვილი, მაგრამ მხოლოდ სამს გააჩენს. თუ გულის კარნახს მიჰყვება და არა გონებისას, ოთხმოცდათხუთმეტი წლისა გამდიდრდება, ორმოცი წლისა მემკვიდრეობას მიიღებს. ბევრს იმოგზაურებს, ორმაგი ცხოვრება და ორმაგი ბედიღბალი ექნება. შეუძლია თავისი ბედი თავადვე განაგოს. იზიდავს ყველაფერი ახალი ცნობისწადილის გამო, მაგრამ სანანებელი გაუხდება, თუ ყურს არ მიუგდებს საკუთარ გულს.

სიყვარულით ანთებულმა წესრიგში მოვიყვანე ჭექა-ქუხილის დროს განადგურებული სახლი, ბევრიც ისეთი რამ შევაკეთე, წლების მანძილზე რომ არ მომიკიდია ხელი, ან ფული არ მქონია მათ შესაკეთებლად. ბიბლიოთეკაში წიგნები გადავალაგ-გადმოვალაგე იმ წესითა და რიგით, როგორითაც ვკითხულობდი ოდესღაც. ბოლოს ისტორიულ რელიკვიას — პიანოლასაც გამოვეთხოვე და კლასიკური მუსიკის ასზე მეტ ჩანაწერსაც. სამაგიეროდ ვიყიდე ფირფიტასაკრავი — მთლად ახალი არა, მაგრამ იმას სჯობდა, რაც მქონდა — დინამიკებიანი, რამაც სახლს რაღაცნაირი დიდებულება შესძინა. სრული სიღარიბის ზღვარზე აღმოვჩნდი, მაგრამ ერთი საოცრება ნამდვილად ყველაფერს ჩრდილავდა: ამ ხნისა ცოცხალი რომ ვიყავი. სახლი ფერფლიდან აღდგა, მე კი დელგადინას სიყვარულში, აქამდე გაუცდელ უბედნიერეს სიყვარულში ვცურავდი. დელგადინას წყალობით ოთხმოცდაათი წლის მანძილზე პირველად შევხვდი პირისპირ საკუთარ თავს და აღმოვაჩინე, რომ მანიაკური სწრაფვა — ყოველ ნივთს ჰქონოდა თავისი ადგილი, ყოველ საქმეს — თავისი დრო, ყოველ სიტყვას — თავისი სტილი, სულაც არ გახლდათ დალაგებული ჭკუის დამსახურება, პირიქით, ჩემ მიერ მოგონილი სისტემა საკუთარი ბუნების უწესრიგობის დაფარვა იყო. მე აღმოვაჩინე, რომ წესრიგი და წესრიგიანობა სულაც არ არის ჩემი ღირსება, მხოლოდ რეაქციაა საკუთარ უდარდელობაზე; გულუხვი ვჩანვარ, სინამდვილეში საკუთარი მეწვრილმანეობის დაფარვას ვცდილობ; ფრთხილი კაცის სახელი მაქვს, სინამდვილეში ავ ზრახვებს ვმალავ; ბუნებით კი არ ვარ მშვიდი, შიშის გამო ვარ მშვიდი, ვაითუ ჩემი სიცოფე გამომჟღავნდეს-მეთქი; პუნქტუალურიც მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ ვერავინ შემამჩნიოს, სხვის დროს პატივს რომ არ ვცემ, და ბოლოს ისიც აღმოვაჩინე, რომ სიყვარული სულიერი მდგომარეობა კი არა, ზოდიაქოს ნიშანია.

სხვა ადამიანი გავხდი; ვცადე, თავიდან გადამეხედა კლასიკოსებისათვის, ყრმობის წლებში რომ მაკითხებდნენ, მაგრამ ვერ შევძელი. ჩავიძირე ლიტერატურაში, რომანტიკოსებში, რომლებიც არ მიყვარდნენ დედაჩემის გამო, სულ ჩამჩიჩინებდა, წაიკითხეო, ახლა კი სწორედ დედაჩემის წყალობით მივხვდი, რომ შეუქცეველი ძალა, რომელიც მთელ სამყაროს ატრიალებს, ბედნიერი სიყვარული კი არა, უბედური სიყვარულია. და როცა კრიზისმა ჩემი მუსიკალური გემოვნებაც ქვეშ მოიყოლა, მივხვდი, დავბერდი და ჩამოვრჩი ცხოვრებას, სამაგიეროდ ბრმა შემთხვევებით გამოწვეულ სიხარულს გავულე გული.

ხშირად მიფიქრია, როგორ მოხდა, რომ დავემორჩილე, მივენდე აცეტებულ დაბინდულ გონებას, რისიც მეშინოდა და რაც თავად ავუტეხე საკუთარ თავს. დავფრინავდი ცრუ ღრუბლებში, საკუთარ ორეულს სარკეში ველაპარაკებოდი იმ იმედით, იქნებ გავიგო ვინ ვარ და რას წარმოვადგენ-მეთქი. მთვარეულივით დავბორიალობდი. ერთ დღეს სტუდენტების დემონსტრაციას შევეჩეხე ქუჩაში. ქვებსა და ბოთლებს ისროდნენ. ძლივს შევიკავე თავი, დემონსტრანტების პირველივე რიგებში არ შევვარდნილიყავი ტრანსპარანტით ხელში, რომელიც ყველასათვის ნათელს გახდიდა ჩემს სიმართლეს: „სიყვარულმა გამაგიჟა!“



თარგმნა
**ელზა ახვლედიანმა**

**(გაგრძელება იქნება)**

**ჩანართზე მუშაობდნენ:**
**ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.**
**მხატვარი კარლო ფაჩულია.**



# გარბენი... ადგილზე

***უცხოური წარმოების ძველ ავტომანქანაზე სპიდომეტრის ჩვენების „ჩამოყრა“ (ელექტრონიკის სირთულისდა მიხედვითძ 50-დან 500 ლარამდე ღირს. „ჩამოყრისას“ ყველაზე ნაკლებ პრობლემას აწყდებიან ხოლმე გერმანული, იაპონური და ამერიკული ავტომანქანების ოდომეტრებთან „მუშაობისას“, ხოლო შედარებით არასაიმედო ფრანგული ელექტრონიკა ზოგჯერ ჭირვეულობს. რაც შეეხება რუსეთის წარმოების მანქანებს, მათმა ელექტრონიკამ ზოგჯერ შეიძლება ყველაზე მაგარი პროფესიონალიც კი ჭკუიდან გადაიყვანოს.***

ძველი მანქანის გაყიდვა, ისევე, როგორც ნახმარი მანქანის ყიდვა, გარკვეულწილად, კატათაგვობანას თამაშს ჰგავს. გამყიდველის სურვილია მანქანა რაც შეიძლება ძვირად გაიყიდოს და სწორედ ამიტომაცაა, რომ ვაჭრობისას იგი ხშირად სპიდომეტრზე გარბენის ჩვენებებს იყენებს არგუმენტად. თუმცა არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ავტომანქანების 80 პროცენტს სპიდომეტრი „ჩამოყრილი“ აქვს. დედაქალაქში ამ ტიპის მომსახურებას ეწევიან როგორც ცალკეული „ინდივიდუალები“, ასევე სერვის-ცენტრები და შედარებით მცირე „პროფილაქტიკები“. მაგრამ ავტომანქანების სპიდომეტრის „ჩამომყრელების“ მტკიცებით, ამ საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალები, რომლებსაც „მუშაობა“ ყოველგვარი კვალის დატოვების გარეშე შეუძლიათ, ბევრი ნამდვილად არ არის. მათი კლიენტურა საკმაოდ ჭრელია: ესენია როგორც ის ხალხი, ვისაც საზღვარგარეთიდან მანქანები საგანგებოდ გასაყიდად ჩამოჰყავთ, ასევე კერძო მუშტრები, რომლებსაც ძველი ავტომანქანის რაც შეიძლება ძვირად გაყიდვა უნდათ.

ამ უკანასკნელთა მოთხოვნები, ჩვეულებრივ, საკმაოდ მორიდებულია: „ჩამოყრის“ პროცედურის შემდეგ, მათი ავტომანქანების სპიდომეტრები დაახლოებით, 20-50 ათასი კილომეტრით, იშვიათ შემთხვევებში კი მთლიანი გარბენის მეოთხედით „ახალგაზრდავდებიან“. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს არა რუსეთის წარმოების მექანიკური სპიდომეტრები, რომლებზეც „საკუთარი“ გარბენი – გინდ 50, გინდ 150 ათასი კილომეტრი იყოს – აბსოლუტურად ერთნაირად გამოიყურება. მაგრამ ელექტრონიანი სპიდომეტრებით აღჭურვილი „ვაზ“-ების მეპატრონეები „ჩამომყრელების“ მუდმივი კლიენტები არიან.











მრიცხველების ჩვენების „ოპტიმიზაციის“ სამუშაოთა ღირებულება თავად ავტომანქანის ფასზე იშვიათადაა დამოკიდებული. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ყველაფერი ავტომანქანის სისტემების საიმედოობაზეა დამოკიდებული. ზოგჯერ ერთი და იგივე მარკის ავტომანქანაზე „შავი მაგიის სეანსისთვის“ ერთსა და იმავე ხელოსანთან ერთის მეპატრონე ერთ თანხას იხდის, მეორე – სამჯერ მეტს, რაც იმის გამო ხდება, რომ საჭიროა ხელსაწყოთა დაფის პანელის დემონტაჟი. ზოგჯერ ტორპედოს მოხსნა პრობლემას არ წარმოადგენს, ზოგჯერ კი იგი ხელოსნის ხელში ლამის ნაწილებად დაიშალოს შიდა დეფექტების გამო. ამიტომ, ზედმეტი „თავის ტკივილისა“ და დაკარგული დროის საზღაურად „უსტა“ ზედმეტ თანხას აიღებს.

სპიდომეტრების სპეციალისტებისთვის ყველაზე სახალისო და სასიამოვნო სამუშაოა „Audi-Volkswagen“ ჯგუფის, ასევე იაპონური ავტომობილები – წვალებაც და გარკვეული რისკიც ამ შემთხვევაში მინიმალურია. ამ ჯგუფის ავტომანქანებს შედარებით ნაკლები ელექტრონული ბლოკი აქვთ, სადაც გარბენის შესახებ მონაცემები გროვდება. გადაწყობის პროგრამული უზრუნველყოფა საიმედოა, თავად პროცედურა კი – მარტივი. თუმცა, არის ზოგიერთი გამონაკლისიც. მაგალითად, ახალი „Honda Civic“-ისა და „Nissan Mupano“-ს სპიდომეტრები არ „ტრიალებენ“. მსგავსი პრობლემებია „C Messedes“-სა და „BMW“-სთან დაკავშირებით. ამ ავტომანქანებში 5-7 ელექტრონული ბლოკია და დაცვაც უფრო რთულია. გარბენი ფიქსირდება თავად ხელსაწყოთა პანელშიც, ძრავის მართვის ბლოკსა და საფირმო სიგნალიზაციაშიც კი... მაგრამ „ოქროსხელება“ ოსტატები ამ სიძნელეებსაც ლახავენ, თუმცა კი მათ დაძლევას უფრო მეტ დროს ანდომებენ, ბოლო თაობის ამ ავტომანქანებს ცოტა ვინმე თუ „მოერია“, რადგან „დამტრიალებლის“ ყურადღებას ახლა უკვე თითქმის თერთმეტი მოწყობილობა საჭიროებს, თანაც პროგრამული უზრუნველყოფაც გაცილებით რთულია. ამდენად, შედეგის გარანტირება, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ასპროცენტიანად არავის შეუძლია, რადგან საკმარისია ერთი „იაღლიშიც“ კი და რამდენიმე ათას კილომეტრში ტყუილი შეიძლება გამოაშკარავდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულ მანქანებს ელექტრონული ოფციები გერმანულ მანქანებზე ბევრად ნაკლები არა აქვთ, მათი მანორმალურად ჩაიაროს, თუმცა სრულიად გაუგებარი მიზეზებით ავტომანქანამ შეიძლება „აურიოს“, „ტვინი გადაეკეტოს“ და, ვთქვათ, მილიონი კილომეტრის გარბენზე „ჩამოეკიდოს“, ანდა დაქოქვის შემდეგ ხელსაწყოთა პანელზე მხოლოდ ნაწილი აანთოს. ამიტომაა, რომ ფრანგული ან იტალიური მარკების ავტომანქანების გაგონებაზე „ჩამომყრელები“ ისეთ „ფოსტებს გამოდიან“, რომ კლიენტმა თავადვე თქვას უარი მომსახურებაზე. ხოლო თუკი მაინც მოჰკიდებენ ხელს ისეთ ავტომანქანას, რომლის ელექტრონიკა „საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს“, მაშინ გასამრჯელოსაც 1,5-2-ჯერ უფრო მეტს ითხოვენ.

## ჩვენი ცნობა

**იმის დადგენა, „ჩამოყრილია“ თუ არა ავტომანქანის სპიდომეტრი, ხელსაწყოთა პანელის დაუშლელად, შეუძლებელია. ზოგიერთი მარკის ავტომანქანაზე ოდომეტრის „ჩამოსაყრელად“ იგი აუცილებლად უნდა მოიხსნას, რაც მაჩვენებელი ისრების დემონტაჟს გულისხმობს, ხოლო შემდეგ მათ ისევ აწებებენ. ავტომანქანის დათვალიერებისას უნდა ეძებოთ წებოს ჩამონაღვენთები. გარდა ამისა, საწყის მდგომარეობაში ისრები ზუსტად „ნოლზე“ უნდა იყვნენ გაჩერებულები. თუკი ეს ასე არ არის, მაშასადამე ხელსაწყოთა პანელი ერთხელ უკვე დაუშლიათ. მრავალ მეტ-ნაკლებად თანამედროვე ავტომანქანაზე ისრები ანათებენ – მათი პლასტმასა შუქგამტარის როლს ასრულებს. უხეში მუშაობის დროს მასალის ერთგვაროვნება ირღვევა და ისინი ან საერთოდ არ ანათებენ, ანდა ანთია მხოლოდ მათი ერთი ნაწილი.**



სპიდომეტრის „ჩამოყრა“ პროფესიონალებისთვის მაინც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მართალია, ზოგიერთი ნიუანსი მათაც აქვთ, მაგრამ ყველაფერი ზომიერების ფარგლებშია: მაგალითად, ზოგიერთი ამერიკული ავტომანქანა აღრიცხავს არა მარტო კილომეტრაჟს, არამედ ძრავის მუშაობის საათების ოდენობასაც. თუკი გაყიდვის წინა დიაგნოსტიკაზე აღმოჩნდება, რომ 50 ათასი მილის გარბენისას ძრავის მუშაობის მონაცემები მილიონ საათზე მეტია, „ბამბურა“ მყიდველიც კი უმალვე ყველაფერს მიხვდება.

ყველაზე „არასასიამოვნო“ კლიენტურაა ფრანგული და იტალიური ავტომანქანების მფლობელები. ეს იმის გამო არ ხდება, რომ მათ ავტომანქანებზე რაღაც ზერთული ელექტრონიკაა დამონტაჟებული: უბრალოდ, ელექტროხელსაწყოები ყველაზე ძნელად პროგნოზირებადია – კაცმა არ იცის რით შეიძლება დასრულდეს მათი „გარეთ გამოყრის“ პროცესი. გამორიცხული არ არის, რომ „ჩამოყრის“ პროცესი...

როგორც აღვნიშნეთ, სპიდომეტრის „ჩამოყრა“ ავტომანქანის ფასზე მაინცდამაინც არ არის დამოკიდებული. ამიტომ, თუკი მანქანის ელექტრომოწყობილობაში პროცესორები არ არის და მას მხოლოდ დამმახსოვრებელი მოწყობილობები უყენია, მაშინ სამუშაოს ღირებულება დაახლოებით 50 ლარია. თუკი ელექტრონიკაში ერთი პროცესორია, სამუშაოს ფასი 70 ლარამდე აიწევს, ხოლო თუკი პროცესორი რამდენიმეა, ყოველი „ზედმეტი ტვინით“ აღჭურვილი ბლოკი კლიენტს ზედმეტი 50 ლარი დაუჯდება.

გასათვალისწინებელია, რომ სპიდომეტრის „ჩამომყრელის“ სამუშაო სულაც არ არის ადვილი. სათანადო კვალიფიკაციის და საკმაოდ ძვირიანი მოწყობილობების გარდა მას მაგარი ნერვებიც უნდა ჰქონდეს. მათ შორის ყველაზე მაღალი კლასის სპეციალისტებსაც კი წლის განმავლობაში კლიენტებისთვის თავისი ფულით ერთი-ორი ხელსაწყო პანელის ყიდვა უწევთ – ეს მაშინ, როცა მუშაობისას იგი უსაშველოდ ზიანდება. არადა, ეს მოწყობილობები ძალიან ძვირი ღირს! კლიენტებს შორის კი ათასი ჯურის ხალხია: ესენი არიან ავტომანქანებით პროფესიონალი მოვაჭრეები, სამართალდამცველები, პარლამენტარები, მრავალი სხვა...

ოსტატების თქმით, სამართალდამცველების დამახასიათებელი თვისებაა „ქსივის“ „დაძრობა“ და ათასგვარი შეღავათის მოთხოვნა. სწორედ ამიტომაა, რომ „ჩამომყრელები“ ჟურნალისტებთან შეხვედრებს გაურბიან, რათა „ხალხის მსახურთა“ ყურადღება ნაკლებად მიიქციონ, თუმცა მათი საქმიანობა კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება.



# ქრონოგრაფი

## 16 იანვარი, 1909 წელი



**ავსტრალიელმა გეოფიზიკოსმა სერ დუგლას მოუსონმა ბრიტანელ შეკლტონის მიერ მოწყობილ (1907-1909 წწ) ანტარქტიკის ექსპედიციის დროს პირველმა ზუსტად დაადგინა სამხრეთ მაგნიტური პოლუსის მდებარეობა: 72° 25 სამხრეთ განედისა და 155° 16 აღმოსავლეთ გრძედისა.**

მოგვიანებით დადგინდა, რომ სამხრეთ მაგნიტური პოლუსი ისევე როგორც ჩრდილოეთ მაგნიტური პოლუსი განიცდის გადაადგილებას დაახლოებით 10 გრადუსით წელიწადში. ამჟამად იგი მდებარეობს ინდოეთის ოკეანის სანაპირო ზოლთან ანტარქტიკულ სადგურ „დიუმონ-დიურვილის" მახლობლად.

## 17 იანვარი, 2005 წელი



**ბრაზილიის მთავრობამ დაამტკიცა მდინარე სან-ფრანცისკოს კალაპოტის ცვლილების პროექტი, რის შედეგადაც სამხრეთ ამერიკის ეს ერთ-ერთი წყალუხვი მდინარე მორწყავს ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთ გვალვიან ტერიტორიებს.**

მდინარე, რომლის სიგრძეც 3 ათასი კილომეტრია, სათავეს იღებს ბრაზილიის ცენტრალურ მთიანეთში და უერთდება ატლანტიკის ოკეანეს. დაგეგმილია მდინარიდან ორი არხის გაყვანა. ერთს აღმოსავლეთ, ხოლო მეორეს ჩრდილოეთ მიმართულებით გაიყვანენ და მათი სიგრძე შესაბამისად იქნება 400 და 250 კილომეტრი.

## 18 იანვარი, 1871 წელი



**საფრანგეთმა სამარცხვინო ზავი დადო (ფაქტიურად ეს იყო კაპიტულაცია) გერმანიასთან და 1870-1871 წლებში წარმოებულ ფრანკო-პრუსიის ომში თავი დამარცხებულად ცნო.**

ზავს ხელი მოეწერა პარიზის მახლობლად ვერსალის სასახლის სარკეებიან გალერეაში. ათი დღით ადრე კი გერმანიის ყველა მიწების (მხარეების) გაერთიანება მოხდა და გამოცხადდა გერმანიის იმპერია, რომლის პირველი იმპერატორი (კაიზერი) გახდა პრუსიის 74 წლის მეფე ვილჰელმ I გოგენტოლერი.

## 19 იანვარი 1957 წელი



**ანტარქტიდაში როსას ზღვის სანაპიროზე გაიხსნა პირველი ახალზელანდიური ანტარქტიკული სადგური „სკოტი", ანტარქტიდაში ტრაგიკულად დაღუპული ინგლისელი მკვლევარის რობერტ სკოტის საპატივცემლოდ.**

რობერტ სკოტმა თავის ჯგუფთან ერთად 1912 წლის 18 იანვარს მიაღწია სამხრეთ პოლუსს. 33 დღით მას პოლუსის აღმოჩენა დაასწრო ნორვეგიელმა მკვლევარმა რუალ ამუნდსენმა. უკან მობრუნების დროს საბაზო ბანაკამდე 18 კილომეტრის სიახლოვეზე სკოტი და მისი თანმხლები პირები დაიღუპნენ. სწორედ ამ ადგილიდან 25 კილომეტრზე აიგო ახალზელანდიური სადგური. 1913 წელს იმ გორაკთან, სადაც პირველად გამოიზამთრა სკოტმა, აღმართეს ჯვარი, რომელზეც დაღუპულთა სახელების გარდა ამოტვიფრულია ინგლისელი პოეტის ალფრედ ტენისონის სიტყვები: „იბრძოლე და ეძიე, ჰპოვე და არ დანებდე".

## 20 იანვარი, 1265 წელი




**ინგლისის მეფის ჰენრიხ III-ის არმიის დამარცხების შემდეგ, ბარონთა ოპოზიციის ერთ-ერთმა ბელადმა ლესტერის გრაფმა სიმონ დე მონფორმა ლონდონში პირველად მოიწვია პარლამენტი.**

მის შემადგენლობაში შევიდნენ ბარონები, საეკლესიო პირები, საგრაფოთა და ქალაქთა წარმომადგენლები. სწორედ ამ წარმომადგენლობითმა საკრებულომ სათავე დაუდო ინგლისის პარლამენტარიზმს. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოში ტყვეობიდან თავდახსნილმა მონარქმა შეძლო აჯანყებულთა დამარცხება (ამ ბრძოლაში მონფორი დაიღუპა) და თავისი ძალაუფლების აღდგენა, მან მაინც არ გააუქმა პარლამენტი. ამით თავი გადაირჩინა ხელმეორე აჯანყებისაგან.





მანტუის (იტალია) ტაძრის ჭერზე გამოსახული კვადრატული ლაბირინთი. 1601 წელი;

# სადაც მინოტავრი სახლობდა

**პირველი ლაბირინთის მაგვარი კლდის ნახატები დედამიწაზე ჯერ კიდევ ქვის ხანაში შეიქმნა. ახლა არავინ იცის თუ რა ჩაიფიქრა მისი ხატვისას და რა იდეები ჩააქსოვა ამ ნახატებს პირველყოფილმა ადამიანმა, მაგრამ მეცნიერთათვის კარგად ცნობილია თუ როგორ განვითარდა ეს უცნაური, ცენტრის ირგვლივ შვიდხაზოვნად გაწფენილი, გამოსახულება, რომელსაც ლაბირინთი შეარქვეს. ამტკიცებენ, რომ ლაბირინთს ამოუცნობი საკრალური აზრი აქვს ჩაქსოვილი. მარამ ფაქტია — მსოფლიოს ყველა კუთხეში თანამედროვე დეკორატორები პარკებისა და ხეივნების დაგეგმარებისას გვერდს ვერ უვლიან ლაბირინთის თემას.**

ლაბირინთი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დიდ ქვის სახლს (labyrinthos). კლასიკური ვარიანტი ლაბირინთისა წარმოადგენს შვიდ კონცენტრირებულ წრფეს, რომლებიც ცენტრის ირგვლივ არიან შემოსალტულნი. შესასვლელი ცენტრამდე მხოლოდ ერთია. ყველა „უძველესი კლასიკური" ლაბირინთი ერთი სისტემით იქმნებოდა. ამგვარი ლაბირინთები დღემდეა შემორჩენილი გალისიაში (ჩრდილო-დასავლეთ ესპანეთში), რომელიც შექმნილია 2000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ბერძნულ ქალაქ აილოსში (3 ათასი წელი ჩვ. წ. აღ-მდე), თურქეთის გორდიონში (750 წ. ჩვ. წ. აღ-მდე).

ლაბირინთის ცენტრიდან გარეთ გამოსვლა მხოლოდ და მხოლოდ იმ გზით შეიძლება, რომლითაც მთავარი შესასვლელიდან ცენტრამდე მიაღწიეთ. ამიტომაც ლაბირინთში მოხვედრილი ადამიანი არ უნდა ეცადოს უმოკლესი გზის ძებნას და არ უნდა იჩქაროს. მთავარია გაჰყვეს ერთ-ერთ გზას და კვლავ იგივე გზით დაბრუნდეს სამშვიდობოს.

შუა საუკუნეებში ლაბირინთის მაგვარი თავსატეხი შექმნეს სხვადასხვა ქვეყნებში. აქ შესაძლებელია რამოდენიმე ურთულესი გზით მიხვიდე ცენტრამდე. ამგვარ ლაბირინთებს „მეიზები" (maze) ეწოდება. იგი საკმაოდ განსხვავდება კლასიკური უძველესი ლაბირინთებისგან და წარმოადგენს უფრო მათემატიკური ლოგიკური აზროვნების შედეგს.

ლაბირინთი კუნძულ კრიტოსზე კნოსის სასახლესთან ასოცირდება. სასახლე თესევსისა და მინოტავრის ლეგენდას ეფუძნება და მისი ასაკი სამი ათასი წელია. ლეგენდის მიხედვით ლაბირინთი ბერძენმა არქიტექტორმა დედალოსმა ააგო ლეგენდარული მეფის მინოსის ბრძანებით. იგი წარმოადგენდა მიწისქვეშა გვირაბების ურთულეს სისტემას, რომლებიც იმ ადგილისაკენ მიდიოდნენ, სადაც ადამიანისმაგვარი ურჩხული მინოტავრი სახლობდა. მითიური ლაბირინთის ადგილად საუკუნეების მანძილზე ითვლებოდა კრეტაზე მდებარე უძველესი ქალაქი გორტინი, მაგრამ 1900-1930 წლებში ინგლისელმა არქეოლოგმა არტურ ევანსმა, რომელიც გათხრებს აწარმოებდა კნოსოსზე, აღმოაჩინა სამეფო სასახლე არნახული ზომისა და სიდიდისა, რომლის ძირითადი ნაწილიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1500 წელს იყო აგებული. დღეს 16 ათასი კვადრატული მეტრის სიდიდის სასახლე, რომელსაც მიწის ქვეშ სხვადასხვა დონეზე სართულებად აქვს განლაგებული ერთმანეთთან კიბეებით დაკავშირებული დარბაზები, დერეფნები, გვირაბები სწორედ მინოტავრის სამფლობელოსთან ასოცირდება და ამაში ეჭვიც არავის ეპარება.

კნოსოსის სასახლე სერიოზულად დააზიანა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1450 წელს კუნძულ ფერაზე ამოფრქვეულმა ვულკანმა, ხოლო საუკუნის შემდეგ მომხდარმა ხანძარმა იგი თითქმის გაანადგურა. დღეს სასახლის რამდენიმე დარბაზს რეკონსტრუქცია ჩაუტარეს და თითქმის

იხ. მე-17 გვ.

# ყველაფერი ყველაფერზე

## ირანში მუსიკას ებრძვიან

**ქვეყნის პრეზიდენტმა მახმუდ ახმადინეჯადმა აკრძალა დასავლური „უწესო" მუსიკა სახელმწიფო სატელევიზიო არხებსა და რადიოსადგურებზე. ამოუშალეს ის მუსიკოსები, რომელთა ნაწარმოებებით ხშირად სარგებლობდნენ ირანის ტელევიზიის პროგრამებში ხმოვანი ფონის შესაქმნელად.**

„ეს ხომ საშინელებაა, — ამბობს ირანელი გიტარისტი ბაბაკ რიაჰიპური. — ასეთი გადაწყვეტილება ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობაზე მეტყველებს". ამ მუსიკოსის სიმღერები ასევე ხშირად ჟღერდა სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიოს ეთერში.

მახმუდ ახმადინეჯადი ირანის ლიდერი შარშან გახდა და აღთქმა დასდო, რომ წამოწყებულ რეფორმებს შეაჩერებდა და ქვეყანას უკან, 1979 წლის ისლამური რევოლუციის ულტრაკონსერვატიულ ატმოსფეროში დააბრუნებდა. „ფილმების, ტელესერიალებისა და მათი თარგმანების შინაარსზე თვალყურის დევნება,



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კინემატოგრაფის სულიერების მხარდასაჭერად, უხამსობისა და ძალადობის ამოსაძირკვად", — წერდა კულტურული რევოლუციის საბჭო თავის ვებ-საიტზე.

## სანტას მსგავსი პონტიფიკოსი

**რომის პაპმა ბენედიქტე XVI ტრადიციული საშობაო მიმართვით „Uzbi et Orbi" პირველად მიულოცა მთელი მსოფლიოს კა-**



**თოლიკებს შობის დღესასწაული. პაპმა გააკვირვა ვატიკანში თავშეყრილი ტურისტები და მორწმუნეები, როცა შუასაუკუნეობრივი წითელი ხავერდის, თეთრი ბეწვით შემოქობილი ქუდით წარუდგა, — თითქმის ისეთივეთი, როგორიც დასავლურ სანტა-კლაუსს ან სლავურ თოვლის ბაბუას ახურავს.**

ვატიკანის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ასეთი თავსაბურავი, კამაუროს სახელით ცნობილი, პაპის გარდეროების ნაწილი იყო ჯერ კიდევ XII საუკუნიდან. უკანასკნელი პონტიფიკოსი, რომელიც კამაუროს იხურავდა, გახლდათ იოანე XXII, (გარდაიცვალა 1963-ში).

ბენედიქტე XVI რომის პაპად აირჩიეს შარშან, აპრილში და უკვე ატარებს შუასაუკუნეობრივი მოდის მიმართ არცთუ გულგრილი კაცის რეპუტაციას. ამბობენ, რომ თავის ვატიკანურ ბინაში ის ამჯობინებს ჩვეულებრივი ფეხსაცმელების კი არა, განსაკუთრებული წითელი ტარსიკონის ჩუსტების ტარებას — ეს მოდელი პოპულარული იყო შუა საუკუნეებში.

## ბრინჯაოსთვის გაწირეს

**ინგლისის საგრაფოში, ჰერტფორდშირში, იმ პარკიდან, სადაც ჰენრი მურის ფონდი მდებარეობს, იმისი ნახელავი უზარმაზარი ქანდაკება მოიპარეს. პოლიციის თქმით, ღამით სამმა კაცმა ბრინჯაოს სკულპტურა სატვირთო ავტომობილში მოათავსა. ჰენრი მურის ფონდი არსებით გასამრჯელოსაა დაპირებული მოტაცებული ნაწარმოებისათვის, რომელიც 5 მილიონ დოლარად არის შეფასებული.**

პოლიცია იმიტომაა შეშფოთებული, რომ ქურდებმა, როგორც ჩანს, ქანდაკება იმ ბრინჯაოს გასაყიდად მოიპარეს, რომლისგანაც ის არის ჩამოსხმული. 3,5 მეტრი სიგრძისა და ორ-ორი მეტრი სიმაღლისა და სიგანის სკულპტურა 1969-1970 წლებში შეიქმნა, წონით ორ ტონაზე მეტია.

ჰენრი მურმა აღიარება თავისი ვეებერთელა აბსტრაქტული ფიგურებით მოიპოვა, რომლებშიც მოულოდნელხვრელებიანი ჩაზნექილი და ამოზნექილი ზედაპირების ეფექტებს იყენებს.

## ყველაფერი ყველაფერზე

### ბილი ისტორიაში გაება

**სექს-პრეზიდენტის, ანუ ექს-პრეზიდენტის კრიტიკულ დღეებს მოსწავლეები შეისწავლიან: შვიდი წლის შემდეგ, მას აქეთ, რაც აშშ უმაღლეს დონეზე სექსუალურმა სკანდალმა შეაზანზარა, ბილ ქლინთონის კავშირი თეთრი სახლის პრაქტიკანტ ქალთან უკვდავყოფილია... სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოებში.**



ეს კრიტიკული დღეები 1998-ის მიწურულსა და 1999-ის დასაწყისში კინაღამ იმპიჩმენტით დასრულდა მაშინდელი პრეზიდენტისთვის. სახელმძღვანელოების ავტორებმა ის ამბები აღადგინეს. ერთ წიგნში „ქლინთონის პასაჟს" ორი აბზაცი ეთმობა, მეორეში – ექვსი. ამასთან ძირითადი ყურადღება მიპყრობილია საკითხის იურიდიულ მხარეზე: ნასწავლი კაცები გულდასმით ირიდებენ ბილისა და მონიკას სიყვარულის ისტორიის პიკანტური დეტალების აღწერას, რითაც თავის დროზე აჭრელებული იყო ამერიკული ტაბლოიდები.

– სახელმძღვანელო როდია ანგარიშსწორების ან საეჭვო „სენსაციების" ადგილი, – გვიხსნის ქლინთონზე ტექსტის ერთ-ერთი ავტორი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პრორექტორი ალან ბრინქლი. – ჩვენ იმიტომ ჩავრთეთ ცნობილი ეპიზოდები, რომ ქვეყნის ამასწინანდელ ისტორიაში არსებით ადგილს იკავებს.

სახელმძღვანელოებში მოყვანილია შვიდი წლის წინანდელი ამერიკელთა სოციალური გამოკითხვების მონაცემები. რესპონდენტთა უმრავლესობა მაშინ ცივად მოეკიდა ერის წინაშე პრეზიდენტის მობოდიშებას. სამაგიეროდ, დიდსულოვნად აცხადებდნენ: ბილის დანაშაული არ არის საფუძველი თანამდებობიდან მოხსნისთვისო.

„ამ ინციდენტზე წერა სულაც არ გახლავთ ადვილი. ისტორიის საზომებით სულ ცოტა დრო გავიდა", – შენიშნა ამერიკული სახელმძღვანელოების დირექტორმა ჰილბერტ სიუალმა.

...ხელისუფლებაში რომ ფორს-მაჟორი მოხდა, ახლანდელი მოსწავლეები სულ ბავშვები იყვნენ...

### „ყვირილის" გამტაცებლები სასამართლოზე წარდგებიან

**ნორვეგიის პროკურატურამ ექვსმიტანილთ ბრალდება წაუყენა ედვარდ მუნკის სურათების მოტაცებაში თანაზიარობისთვის. „ყვირილი" და „მადონა" ოსლოში ედვარდ მუნკის მუზეუმიდან 2004 წლის 22 აგვისტოს გაიტაცეს. ნიღბიანი შეიარაღებული ადამიანები იქ დღისით, მზისით შეიჭრნენ, ჩამოგლიჯეს კედლიდან ტილოები და შესასვლელთან მომლოდინე ავტომობილით გაუჩინარდნენ.**

ეს გაძარცვა ყველაზე გახმაურებული გამოდგა ევროპის ისტორიაში. მძარცველთა მიმალვისთანავე გამოცხადებული ხელში ჩაგდების გეგმა უშედეგო აღმოჩნდა. მხოლოდ ის ჩარჩოები იპოვნეს, საიდანაც ტილოები იყო ამოჭრილი.

ხუთ ბრალდებულს დამამძიმებელგარემოებიანი გაძარცვა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან კავშირები ბრალდება, რისთვისაც 17-წლიანი პატიმრობა ემუქრებათ. მეექვსეს ბრალი ედება მოპარული სურათების გადამალვაში. ბრალდებულთა საქმეები სასამართლოს წლევანდელ თებერვალში გადაეცემა. ამასობაში მუნკის არც ერთი გატაცებული ნამუშევარი აქამდე ნაპოვნი არ არის. პოლიცია შიშობს, რომ სურათები განადგურებულია.

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

## ქრონოგრაფი

### 21 იანვარი, 1954 წელი



**აშშ-ში გროტონში (კონექტიკუტის შტატი) წყალში ჩაუშვეს მსოფლიოს პირველი ატომური წყალქვეშა ნავი „ნაუტილუსი".**

მისი სიგრძე იყო 100 მეტრი, წყალწყვა 4 ათასი ტონა, მაქსიმალური სიჩქარე 20 კვანძი. 1958 წლის 3 აგვისტოს „ნაუტილუსმა" წყალქვეშ ზღვაოსნობის ისტორიაში პირველმა მიაღწია ჩრდილო პოლუსს. წყალქვეშა ატომური გემების შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ამერიკელ საზღვაო-სამხედრო ინჟინერს კონტრ-ადმირალ ხაიმან ჯორჯ რიკოვერს, პოლონელი თერძის ვაჟს, ემიგრირებულს აშშ-ში. ამჟამად მსოფლიოში 100-ზე მეტი ატომური წყალქვეშა ნავია ექსპლუატაციაში, რომლებიც ეკუთვნის რუსეთს, აშშ-ს, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და ჩინეთს.

### 22 იანვარი, 1517 წელი



**ასიათასიანმა თურქეთის არმიამ სძლია ეგვიპტელი მამელუქების არნახულ წინააღმდეგობას და ბრძოლით აიღო ქალაქი კაირო.**

მამელუქებს სარდლობდა ეგვიპტის უკანასკნელი სულთანი ტუმანბაი. ოსმანთა დინასტიამ, რომელმაც 1516 წელს დაიპყრო სირია და პალესტინა, მამელუქთა დამარცხების შემდეგ მთელი ეგვიპტე დაიმორჩილა, გააუქმა მამელუქთა სულტანატი და ეგვიპტე ოსმანთა იმპერიის რიგით პროვინციად გამოაცხადა. ეგვიპტეში თურქებმა იანიჩართა 6 კორპუსი დატოვეს. ამ გამარჯვების შემდეგ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად გაერთიანდა მუსულმანური ბატონობის ქვეშ.

**შარშანდელი ქრონიკიდან**

### სწორება იოულოპუკიზე

**ბოლო წლებში ლატვიელი ბავშვები სულ უფრო იშვიათად წერენ წერილებს თოვლის პაპას. ისე, არც ამერიკული სანტა-კლაუსი და ძირძველი ლატვიური სალავეცისია იმათგან განსაკუთრებულ პატივში. სულ უფრო ხშირად, ახალი წლის კარიბჭესთან, ნორჩი ლატვიელები წერილებს ლაპლანდიაში აგზავნიან.**

სწორედ იქ ცხოვრობს იოულოპუკი, რომელსაც მთელ მსოფლიოში ყველა სანტა-კლაუსის წინამძღოლად მიიჩნევენ. ის პოლარულ წრესთან სახლობს დაბა როვანიემიში. რამდენადაც ლატვიიდან ლაპლანდიამდე არც ისე შორია, იოუ პაპა (მოკლედ ასე ეძახიანძ რეგულარულად ჩამოდის რიგაში, საჩუქრებით დატვირთული. წლეულს, თავისი ხანგრძლივი 400-წლიანი სიცოცხლის მანძილზე, პირველად მივიდა... ქალთა საპატიმროში! მოზრდილ დამნაშავეებთან ერთად, საპყრობილე „ილგიუციემსის" კედლებში ტუსაღ ქალთა შვილებიც იმყოფებიან – 22 ბავშვი (8 მათგანი ჩვილიაძ.



იმის მერე, რაც გოგონებმა და ბიჭუნებმა სტუმარს „ნაძვის ხეო" უმღერეს, კმაყოფილმა იოულოპუკიმ იმათ საჩუქრები დაურიგა. ბიჭებს სათამაშოები და ტკბილეული ხვდათ, მოზარდ გოგონებს – კოსმეტიკა. ყველანი ფრიად აღტაცებულნი დარჩნენ, კერძოდ, ციხის უფროსობაც.

თოვლის პაპაზე კი გული დაგწყდება. ორმილიონიან ლატვიაში 700 ათასი რუსი ცხოვრობს და იოულოპუკის კი მიესალმებიან, მაგრამ რუსეთულ თოვლის პაპასაც მოუთმენლად ელიან ველიკი უსტიუგიდან...

# სადაც მინოტავრი სახლობდა



**კნოსოსის სასახლე ოთხი ათასი წლის წინათ არის აგებული კუნძულ კრიტოსზე. ეს არის მრავალსართულიანი, რთული დაგეგმარების ლაბირინთული სტილის ნაგებობა.**

(მეთექვსმეტე გვერდიდან)

პირვანდელი სახე დაუბრუნეს. აღდგენის შემდეგ დადგინდა, რომ დარბაზის მიწისქვეშა ლაბირინთები კლასიკური შვიდხაზოვანი სისტემით არ არის აგებული. კლასიკურ ნიმუშს მხოლოდ დარბაზების კედლებზე შემორჩენილი უძველესი ფრესკები და მოზაიკები წარმოადგენენ.

ლაბირინთის პირველი ცნობილი სიმბოლო კნოსოსზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე 300 წელს მოჭრილ მონეტაზეა ამოტვიფრული.

ისტორიიდან ცნობილია, რომ უძველესი ქალაქების გალავნებსაც ლაბირინთების სტილში აგებდნენ. ამის მაგალითია ქალაქ ტროას გალავანი. სწორედ ამის გამო იყო, რომ სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიასა და ბრიტანეთში უამრავი ლაბირინთი იხსენიება, როგორც „ტროას კედლები", „ქალაქი ტროა", „ტროასმაგვარი ქალაქი" და სხვა. ლაბირინთის მაგვარი კედლები ჰქონდა თანამედროვე ნეპალში მდებარე უძველეს ქალაქ შიმანგადას ჰიმალაების მთიანეთში. ეს აუღებელი ქალაქი 1325 წელს მხოლოდ მაშინ დაიპყრეს მუსულმანებმა, როდესაც მოღალატემ მათ ასწავლა გალავნის სუსტი ადგილი, ანუ ლაბირინთში შესასვლელი. შიმანგალას ნანგრევები დღესაც შემონახულია, ოღონდ ნაწილი უკაცრიელმა ჯუნგლებმა შთანთქეს.

ლაბირინთებით შუა საუკუნეების მდიდრული სასახლეების მოხატვა მოდაში იყო. მოზაიკით შესრულებული ლაბირინთები ამშვენებდნენ იტალიის, პორტუგალიის, კვიპროსის, ინგლისის დიდებულთა სასახლეების იატაკებს, ჭერსა და კედლებს.

ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ ლაბირინთმა თავისი სიმბოლო დაკარგა და იგი იქცა ადამიანის ღმერთთან მიახლებისა და მაცხოვრის განვლილი გზის ასახვის ალეგორიულ სახედ. ადამიანმა უნდა გადალახოს ლაბირინთი, რათა შეებრძოლოს მინოტავრს, იგივე სატანას. შუა საუკუნეებში თერთმეტწრფოვანი ლაბირინთებით (რიცხვი თერთმეტი ასოცირდება ცოდვასთანძ იხატებოდა ევროპის უდიდესი მონასტრები. ფერადი ქვებით შესრულებული ლაბირინთების მოზაიკები ამშვენებდნენ პიაჩენცეს, პავიის, შარტრის, რეიმსის, ამიენის, სენტ-ომერის, რომის ეკლესია-მონასტრებს. ამ მონასტერთა ლაბირინთები სიმბოლო იყო ჯვაროსანთა გზისა წმინდა ქალაქის გასათავისუფლებლად, ამიტომაც იწოდებოდნენ, როგორც „გზად იერუსალიმისაკენ". იმ დროისათვის ბევრ მორწმუნეს საშუალება არ ჰქონდა მოენახულებინა წმინდა მიწა, ამიტომაც ისინი სიმბოლურად ეკლესიაში გამოსახულ ლაბირინთის წრფეებს ლოცვით მუხლიჩოქით უვლიდნენ.

მოგვიანებით ლაბირინთების „აგების" ხელოვნება ბუნებაშიც გადაიტანეს. დიდებულთა პარკებსა და ბაღებს ამშვენებდა მებაღე-დეკორატორთა მიერ შექმნილი ულამაზესი და ურთულესი ლაბირინთები.

მნახველთა გაოცებას იწვევდა 1669 წელს ვერსალის ბაღში გაშენებული ლაბირინთი, ხოლო 1670 წელს რომში ალტერის ვილის ლაბირინთში საათობით სეირნობდა რომის პაპი კლიმენტი X. იგი იმითაც ერთობოდა თუ როგორ იკვლევდნენ ლაბირინთებში გზას მისი მსახურები. ჩვენს დრომდე მოაღწია ჰემატონ კორტში 1690 წელს ვილჰელმ ორანელის მიერ გაშენებულმა ლაბირინთმა. უძველესი გრავიურების მიხედვით აღდგენილი იქნა ტიუდორების ბაღში მდებარე ლაბირინთი (ხეთფორდშირშიძ. დღესაც აღფრთოვანებაში მოჰყავს მნახველი კორნუოლში 1833 წელს ბურჭებისგან გაშენებული გლენდერგენ-პაუზის ლაბირინთს.

დღევანდელი ლაბირინთები მათემატიკური თეორიებისა და ურთულესი მოდელებითაა აგებული. მიუხედავად მეცნიერთა მცდელობისა დღემდის ამოუცნობი რჩება ლაბირინთთა წარმომავლობა. ატლანტიკის ოკეანის ევროპული სანაპიროს მთელ სიგრძეზე უძველეს, ნეოლითის დროინდელ გამოქვაბულთა კედლებზე დღესაც გვხვდება პროპორციული ლაბირინთების ხაზებით შექმნილი ნახატები. მეცნიერთა ზოგიერთი ჯგუფი თვლის, რომ პირველყოფილი ადამიანები ამით მზის გარშემო პლანეტათა და ვარსკვლავთა მოძრაობის გზას აღწერდნენ. ლაბირინთთა საიდუმლოს დღესაც იკვლევენ.



**ქვის ლაბირინთი კუნძულ ბორგენზე (შვედეთი) აგებულია შუა საუკუნეებში ადგილობრივ მეთევზეთა მიერ;**



**პიზანაში (იტალია) 1720 წელს გაშენებული ლაბირინთი დღესაც აოცებს მნახველთ.**

# აბა თქვენა ყოფილხართ!

## პირდაპირ კიტრუნასავითა ხარ!



**კიევსა და მოსკოვს შორის გრანიტის კიტრი წამოჭიმეს – ჩერნიგოვის ოლქის ქალაქ ნეჟინში. ეს ბოსტნეული თურმე ამ დასახლებული პუნქტის სიმბოლოდ ითვლება ჯერ კიდევ იმპერატორ ეკატერინე მეორის დროიდან. მისი ძეგლისთვის მასალა თვით იტალიიდან ჩამოიტანეს.**

პროექტის ავტორს, ლეონიდ ვოროზიოვს რომ ჰკითხო, იმპორტული ქვის ლოდზე გვარიანი ოფლი დაღვარა. ხანგრძლივი ფიქრისა და მარცხიანი სინჯების შემდეგ ადგილობრივ ოსტატთა შეწუხება მოუწია. სწორედ მათ მოამზადეს მომავალი ქანდაკების საფუძვლად ქცეული მაკეტი. ძეგლი რთულ კომპოზიციად წარმოდგება – მწნილეულის შესანახი სარდაფი, კასრი და ზედაც საკუთრივ კიტრი.

აქვე სათქმელად, ნეჟინის კიტრუნას სახელი იმპერატორ ეკატერინე მეორის მმართველობის ხანაში გაუვარდა. ხელმწიფე-დედოფალმა ჩინებული ბოსტნეული ვრცელი სამფლობელოს ერთ-ერთი შემოვლისას დააგემოვნა და ისე მოეწონა, რომ ბრძანა – საიმპერატორო კარი მხოლოდ ნეჟინის კიტრით მოამარაგეთო. ეს განკარგულება პეტერბურგში მოქმედებდა 1917 წლამდე.

ფხიანი ნეჟინელები ამ მეფური წყალობით სარგებლობდნენ და ცდილობდნენ ბარაქიან დედაქალაქის ბაზარზე არა მარტო „საკვანძო პროდუქტის“, არამედ პომიდვრის, ბადრიჯნის, ლობიოს, ყაბაყის გატანასაც. ამის მერე იყო, რომ ჩრდილოეთ უკრაინის მწნილეულს კიდევ 70 ქვეყანა დახარბდა.

მაინც, რატომ ფასობს ასე, სწორედ ნეჟინის კიტრი? მეცნიერები ამას ხსნიან იმ ნიადაგის სიკეთით, რომელზეც ის მოჰყავთ: არაჩვეულებრივად მდიდარი ყოფილა ვერცხლის იონებით. ბოსტნეული შეიწოვს იონებს და ხრაშუნა და ძალიან გემრიელი გამოდის.

## უწმინდურმა ძალამ ნაძვთცვივნა მოაწყო



**ჩერეპოვეცს საახალწლო კრულვა დაატყდა თავს. იქაური მოქალაქეები პანიკამ მოიცვა – გეგონება, უწმინდური ძალა აუმხედრდა იმ ნაძვის ხეებს, რომლებითაც ადგილობრივი ხელისუფალნი მოედნებს რთავენ. საყოფაცხოვრებო-კომუნალურ დეპარტამენტთან სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელმაც საახალწლო ხეთა წაქცევის მიზეზები უნდა გამოიძიოს.**

დღესასწაულებზე ჩერეპოვეცი იმ ეძვს ტყის მზეთუნახავს უნდა დაემშვენებინა, ახლახან რომ აღმართეს. პირველმა ნაძვმა ერთი დღეც ვერ გაძლო, ისე დაენარცხა ძირს. ძლიერმა ქარის დაბერვამ ხე შუაზე გადატეხა და დააგდო. მერე კიდევ ერთი ნაძვი წაიქცა. სამ დღეში ახალი ხეები მოიტანეს, მაგრამ რად გინდა – სულ ერთი დღე-ღამე იდგნენ და ზაშეკონინის რაიონში მოედანზე დადგმული ხე კვლავ დაეცა. ახლოს მოსეირნე ქალაქელებმა ძლივს მოასწრეს გაცლა. არადა, ქალაქში წყნარი ამინდი იყო.

მერია, ბუნებრივია, ვერ დაუჯერებს ბნელი ძალის ვერსიას და ფიქრობს, რომ ნაძვებს, უბრალოდ, უხეიროდ აყენებენ. კომუნალური მოსამსახურენი კი იფიცებიან, რომ არ ტყუიან – ყველაფერს ისე აკეთებენ, როგორც ადრე. ჯერჯერობით ჩერეპოვეცში ნაძვებს ქვეშ არავინ დასეირნობს...

## სანტა-ბანდა

**ახალი წლის სიმბოლოები ბანკებს მოსდგნენ საძარცვავად. ამერიკული ქალაქის არლინგტონის იმ მცხოვრებთ, რომლებიც პოლიციას სანტა-კლაუსის დაჭერაში დაეხმარებიან, 1000 დოლარი ჯილდო და ანონიმურობა აღუთქვეს.**

გაუპარსავი, წითელ ქურთუკში, სანტა-კლაუსის ტრადიციულ ქუდში, ხაკისფერ შარვალსა და თეთრ საჩოქბურთო ფეხსაცმელებში გამოწყობილი კაცი დილით ერთ-ერთი ბანკის განყოფილებაში შევიდა. საეჭვო პერსონაჟმა თვალებზე ჩაჩი ჩამოიფხატა, თუმცა ორი ნახვრეტის გაკეთება არ დავიწყებია.



სანტამ ზღურბლიდანვე აცნობა ბანკის მოსამსახურეს, რომ პისტოლეტიანია და ფულის დაყაჭვა მოითხოვა, დოლარები ჩაიჯიბა და მიიმალა.

დასავლური თოვლის პაპის სახის მოშველიებითვე დააპირა რამდენიმე ბოროტმოქმედმა დღესასწაულების წინ ფულის შოვნა. გერმანელმა პოლიციელებმა შეძლეს ერთ-ერთი მათგანის დაკავება ქალაქ ტიუბინგში – სანტა-კლაუსის კოსტიუმიანისა და მუქსათვალიანისა, რომელმაც ბანკებში ნახევარი მილიონი ევროს მიტაცება მოასწრო. „პაპა“ მხოლოდ სათამაშო პისტოლეტით აღმოჩნდა შეიარაღებული.

არ გეგონოთ, რომ ყველა სანტა-კლაუსმა მიჰყო ძარცვას ხელი. ამერიკაში თოვლის პაპამ დამნაშავე გაძაგრა, რომელიც ბრბოში მკვლელის სახით ამოიცნო. ამჯერად სანტა-კლაუსად საოლქო შერიფის მოადგილე ყოფილა გადაცმული...

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

**მეზობლებთან**

## როცა დოლარი გიდუღს, სურვილი უსაზღვრო ხდება

**რუსეთის ახალგაზრდა ოლიგარქებმა საახალწლოდ მანამდე გაუგონარ ღონისძიებაში მონაწილეობა ინებეს: შესაბამისმა ფირმამ მათ დედამიწის რამდენიმე „წერტილში“ შესთავაზა ახალი წლის შეხვედრა: აფრიკა, ავსტრალია და... ანტარქტიდა, თანაც ესტრადის ვარსკვლავებთან თინა თერნერსა და მერაია ქერისთან ერთად.**

დაქირავებული იქნებოდა ერთ-ერთი არაბი შეიხის უნიკალური თვითმფრინავი, სადაც არის აუზიც (როცა მგზავრები ჭკვიანად არიან, იქ წყალსაც უსხამენ...). ბილეთების ფასები – 100 ათასიდან 700 ათას დოლარამდე (აბა – როგორ – თინა თერნერთან ცეკვაც ხომ რამედ ღირს!).

12 VIP-პირი უმალვე დაეთანხმა შეთავაზებულ სცენარსა და... ღირებულებას...

## გაიზარდა სხვადასხვა შემწეობა

**წლის ბოლოს ქვეყნის მმართველნი გულუხვნი ხდებიან ხოლმე. აგერ, რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს, რომლის თანახმადაც დამდგარი წლის პირველი იანვრიდან არაერთი დახმარება მოიმატებს.**

ბავშვის დაბადებისას ერთჯერადი შემწეობა 6 000 რუბლი (375 ლარი) იყო, გახდება 8 000 რუბლი (500 ლარი).

ყოველთვიური დახმარება ჩვილის მოსავლელად (სანამ წლინახევრისა შესრულდება) იყო 500 რუბლი (31 ლარი), იქნება 7 000 რუბლი (44 ლარი).



შემწეობის მაქსიმალური ოდენობა ფეხმძიმობისას (სადეკრეტო გადახდა) გახლდათ 12 480 რუბლი (780 ლარი), გახდება 15 000 რუბლი (937 ლ. 50 თ.); მაქსიმალური დახმარება შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვისას (საბიულეტენო) 12 480 რუბლიდან აგრეთვე 15 000 რუბლამდე მოიმატებს; წარმოებაში ტრავმის მიღების შემთხვევაში ერთდროული შეწევნა თუ 43 300 რუბლი იყო (2706 ლარი), 46 900 რუბლი იქნება (2931 ლარი).

## მაინც, რა დაემართა?

**ოფიციალურ ჰიპოთეზას თუ ვერწმუნებით, უკრაინის მომავალი პრეზიდენტი დიოქსინით მოწამლეს 2004 წლის სექტემბერში. თითქოს ამიტომ დაიფარა ბებერებით. ჩნდება კითხვა: კი მაგრამ, რატომ მხოლოდ სახეზე?**

ზოგიერთ მედიკოსს კი განსხვავებული ვერსია აქვს: არ არის გამორიცხული, რომ არჩევნების წინ ვიქტორ იუშჩენკომ გამოცოცხლება გადაწყვიტა. ამ მიზნით სახე სპეციალური უჯრედების შეყვანით „დაუჩხვლიტეს“. ეტყობა, ზერელედ დასუფთავებული უჯრედები შეიყვანეს, რომლებიც კანის უჯრედებს (ფიბრობლასტებს) კი არ შეერწყნენ, არამედ ძვლების უჯრედებს (ოსტეობლასტებს). ისინი პირდაპირ ამოიზარდნენ ძსოვილებში და ძვლის შენადედებად იქცნენ.



პრეზიდენტის სახეს თუ ყურადღებით დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ბებერები იმ ადგილებშია განლაგებული, სადაც ჩვეულებრივ აკეთებენ ინექციებს.

КП

## გურმანთა სვეტი

### რა კერძებს მიირთმევდნენ გენიოსები?

**ისტორიას შემორჩა ცნობები იმის შესახებ თუ რა კერძებს მიირთმევდნენ გონიერებათ გამორჩეული ადამიანები.**

**ბაირონი, დედასთან სტუმრობის წინ სწერდა მას: „უნდა გაგაფრთხილოთ, რომ უკვე დიდი ხანია აღარ ვჭამ არც თევზს და ხორცს და ამიტომ იმედი მაქვს ჩემთვის მოიმარაგებენ რაც შეიძლება ბევრ კარტოფილსა და მწვანილს“.**

**ასეთივე უბრალო საჭმელები უყვარდა ალექსანდრე პუშკინს. მის თანამედროვეთა გადმოცემით იგი სიამოვნებით მიირთმევდა წიწიბურის ფაფას, შტოშის (?) კისელს, ჭარხალს, მურაბას, მჟავე სუპს, კარტოფილთან ერთად შემწვარ ხორცს. უყვარდა აგრეთვე ვაშლი.**



* * *

ბრინჯი ხარშვისას არ იქცევა ფაფად, თუ ადუღებულ წყალში დავამატებთ ორ-სამ კოვზ რძეს.

ყველაზე გემრიელი ფაფა მზადდება თუ მას თიხის ჯამში მოვათავსებთ და შევდებთ „დუხოვკაში“ (ფურნაკში).

კატლეტი ჯობია შეიწვას დაბალ ცეცხლზე. თუ გატარებულ ხორცს დავუმატებთ გახეხილ კარტოფილს ანდა არაჟანს, ხოლო კატლეტებს პატარა ნაჭერ კარაქს დავუმატებთ, კატლეტი გამოვა რბილი, ფუმფულა და წვნიანი.

ყავის ხარშვის დამთავრებისას მასში ცოტაოდენი მარილი დაამატეთ. სასმელს უფრო მეტ არომატს მისცემს და განსაკუთრებულად სასიამოვნოა.

## ჩანთა და ხასიათი



ესპანური ჟურნალი „ვანგუარდია დომინგია“ ამტკიცებს, რომ იმის მიხედვით თუ ქალი რომელ ჩანთას ირჩევს და როგორ ატარებს მას, შეიძლება არც თუ ცოტა რამ შეიტყო მის შესახებ.

* * *

დიდი ზომის ჩანთა დამახასიათებელია შრომისუნარიანი, საქმიანი ქალებისთვის. უპირატესობას აძლევენ ისეთ ჩანთებს, რომლებიც ადვილად იხსნება და იკეტება, მრავალ განყოფილებიანი, რომელშიც უამრავი სხვადასხვა ნივთია მოთავსებული.

მკაცრი ფორმის ჩანთებს ირჩევენ საქმიანი ქალები, რომლებიც ერთმანეთის შრომასა და გართობას უთავსებენ. ისინი ელეგანტური არიან.

კოხტა, მოხდენილ ჩანთებს ატარებენ ქალები, რომლებიც თავის გარეგნობას და ტუალეტებს უფრო მეტ დროს უთმობენ, ვიდრე სამსახურებრივ მოვალეობას.

პატარა, მინიატურული სახელურის გარეშე, ჩანთები განკუთვნილია მხოლოდ გასაღებებისათვის, ცხვირსახოცის, კოსმეტიკისა და პაწაწინა ბლოკნოტისათვის.

* * *

ქალი თუ ჩანთას იღლიის ქვეშ ატარებს, ეს მის დამოუკიდებელ, სერიოზულ ხასიათს და ემოციურ სტაბილურობას გამოხატავს.

* * *

თუ ჩანთა დაშვებულ ხელში უჭირავთ სახელურებით, ეს მეტყველებს მისი პატრონის კეთილსინდისიერებაზე, ხასიათის სიმტკიცეზე და იმაზე, რომ არასოდეს არსად იგვიანებს.

* * *

თუ ჩანთა მხარზე აქვს გადაკიდებული და ხელი უმოძრაოდ არის, ეს გაუბედაობას, მორიდებასა და სიმორცხვეს გამოხატავს. თუ ხელი ბუნებრივად მოძრაობს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩანთის პატრონი მხიარულია, ცდილობს სხვათა ყურადღება და კომპლიმენტებიც დაიმსახუროს.





მეცნიერებს კიდევ სხვადასხვა ვერსიები აქვთ ამ თემის გარშემო.

◎ „ზამთრის წიგნიდან“

ვანო ჩხიკვაძე

რევაზ ინანიშვილს



ხო იცი, როგორ ვეპარები სათქმელს – ფრთხილად, სულგანაბული... ნეტა არ მინდა, რამე გაფაჩუნდეს, დამისხლტეს მსხვერპლი და – ოოხხხ! – რაღაც მძიმედ დაიგმინებს მკერდში.

ახლაც, ამ დეკემბრის მიწურულს, სათოვლედ რომ ჩამოირინდა ცა, ჩამოიშალნენ ფუმფულა ნისლები, აეფარნენ ნახნავ-უხნავს, ჭირხლით გახირხლულ წიფლისა და რცხილის კორომებს, ხეობის გაყოლებაზე ჩაქცეულ ნასახლარებს, ნიშებსა და სალოცავებს, როცა კიდევ უფრო მიყუჩდა კრიალა ფშების ლიკლიკი, ამ თვალშეუდგამმა, უსასრულო დუმილმა თავისკენ მიმახედა, მიმახედა და ავკრიფე გუდა-ნაბადი...

როგორც მე – სათქმელს, ნოშრეც ასე ეპარებოდა შაქრიაანთ ორასკილოიან ტახს, ეპარებოდა და თან ალერსიანი ქუცი-ქუცით, წინ გაშვერილი პეშვიდან ყვითელი სიმინდის მარცვალს უპნევდა. ტახი ეჭვიანი ღრუტუნით უკან-უკან იხევდა, ხან მარჯვენა მკლავზე სახელოაკეცილ ნოშრეს შეხედავდა, ხან აქეთ-იქიდან მომდგარ შაქრიასა და მის ძმებს. გრძნობდა, ესენი საკაიკაცოდ არ მიახლოვდებიანო, მაგრამ, აღარც სასუნავი ეთმობოდა, პაპიროსის ბოლით თვალმოჭუტული ნოშრე რომ უყრიდა – მოატარებდა დინგს ახალმოსულ, რბილ თოვლზე, აკრეფდა ფრჩხილის სიმსხო მარცვალს და აუტეხავდა ხრამუნს, მერე ისევ გამოაჩენდა ეშვებს, გასაქცევად აიჯაგრებოდა, მაგრამ ღორის დაკვლაში ჭიპმოჭრილ ნოშრეს დამყვავებელი ხმა და პეშვიდან გადმოცვენილი სატყუარა სიფრთხილეს აკარგვინებდა.

„ალყა“ თანდათან დავიწროვდა. ყუაზე გაყვანილი „პრიმა“ ნოშრემ კიდევ ერთხელ მოქაჩა, გაიჭვარტლა ჯიგარი და კაცებს ანიშნა, ახლა კი აღარ უნდა დაგვისხტლესო, იმათაც შენ მიდი და ჩვენ მზად ვართო, წაიხარნენ კუთხეში მიმწყვდეული ტახისკენ.

ჰოოდა, ნოშრეც, როგორც კი ყურებამოდუნებული ღორი გვერდით დაყრილი სასუსნავისკენ შებრუნდა, უკანა ფეხებზე ეცა, ხელები გამოჰკრა, გამოაცალა ფეხქვეშ მიწა, ტახი ყოჩაღად ამოატრიალა და ზურგზე დასცა. მიესივნენ დანარჩენებიც, ნოშრეს სიმარჯვით აღტაცებულმა გაკოჭეს, გასაქანი აღარ მისცეს. შაქრიას უმცროსმა ბიჭმა, წინასწარ გაპრიალებულ-გაფხავებული, კუნძზე ჩამოდებული დანა მიუტანა ნოშრეს.

ნოშრე წინ ჩამოჩოჩდა, შაქრიას შეენაცვლა, ყელგადაგდებულ, აჭყვიტინებულ ღორს მოხერხებულად მიუდგა და ჩასცხო, ღორის მკერდში ტარამდე ჩაფლული დანა დატრიალდა. ტახის გაბმულ ხრიალს სისხლის ნაკადი ამოჰყვა და წითლად ჩააკვდა ნაბუღრავებ თოვლს.

ღორი მოიმჩვარა, მოუდუნდა საკეცებში ულონოდ ჩამოკიდებული ფეხები.

– ყოჩაღ, ბიჭო! – აღტაცებით აღმოხდა სამივეს და ამანაც შეიფერა, მოეშვით, ახლა ეს ამდგომი აღარ არისო, ჩაილაპარაკა ნასიამოვნები ხმით, დანა კუნძზე დაარჭო და ნეკზე წამოზრდილი ფრჩხილი აჰკრა „პრიმის“ გაუხსნელ „პაჭკას“; ცეცხლთან დაიხარა, მაგრამ, ვიდრე მუგუზალს პაპიროსიან პირთან მიიტანდა, ფეხებგაფშეკილი ღორი არ წამოვარდა? დაეტაკა შაქრიას ცოლს, კატოს და ლამის ცეცხლზე შემოდგმულ, გაქაფქაფებულ საარაყე ქვაბს გადაამხო.

ყველა დაიბნა. ტახმა ღია ჭიშკარში დურთა თავი.

ისევ ქალი მოვიდა გონს, რაღას უყურებთ, თქვე ამოწყვეტილებო, შეაფუცხუნა კაცები და თეძოათრეული პირველი თვითონ გამოეკიდა გაქცეულ ღორს.

კატოს დანარჩენებიც აედევნენ.

ვიდრე ორღობეში დაკარგული ღორის გზა-კვალს მიაგნებდნენ, შეიყარა მთელი უბანი, აგორდნენ, ახორხოცდნენ სეირის მოყვარულები. ტახმა კი მოირბინა ბაღები, საბოსტნეები, შევარდა დეკრეტიაანთ ეზოში, კიბესთან დაეცა და აღარც განძრეულა.

გამოცვივდნენ მგელი ფიდოს ფეთხუმები, თვითონაც ნამდვილი მგლები, გამოცვივდნენ და კიბესთან წამოგორებული ტახი რო დაინახეს, ძალიან გაიხარეს: ხო, ხო, ნახეთ, ბიჭებო, თოვლის პაპას როგორი საჩუქარი გამოუგზავნია... კაცო, არ გესმის? მამი, გამოიხედე, აბა, ჩქარა, ვარცლი და ადუღებული წყალიო...

რა ჩოჩქოლი შეუდგათ, რა ნახეს ასეთიო, გამოიზლაზნა ქურთუკმოსხმული ფიდოც, გვერდულად ჩამოფხატული „კიკირტოიანი“ ქუდით და კბილის ჩიჩქნით.

– ჰოო! – ჩაიხრიალა გაგრძელებით. მიიხედ-მოიხედა, ნადირივით მოყნოსა ჰაერი, – სტუმარი სანაქებო მოგვსვლია, წუნს ვერ დასდებ, მაგრამ მოაკითხავენ, აგე, სისხლის კვალზე მოაგნებენ, – გვერდზე გააპურჭყა, მძიმე-მძიმედ, ხრაშუნით გაიარა და ფეხსაცმელის წვერით სისხლს თოვლი წააყარა.

– მოაკითხავენ და მოაკითხონ, ფაშვი და ძვლებილა რო დახვდებათ, რაღას იზამენ? – ჩაილაპარაკა უფროსმა მგელმა და ღორს ლაბაბზე მოუთათუნა ხელი.

– რო არ მოაკითხონ? გაყინულ ღორს ჯაგარს ველარ გავაცლით! – ქუცუნასთან დაცუცქდა შუათანაც.

– შევდგათ წყალი ზედადგარზე, დროს ტყუილად ვკარგავთ, – დაეთანხმა უმცროსი და შაქრიაც მოადგათ თავისი გახვითქული ძმებით, ცოლით, უზნელებით და დაღვრემილი ნოშრეთი.

მამა-მგელმა ქეჩოზე ბალანი აიშალა:

– რაო, რა ამბავია, რო შემოცვივდით, რა, ლობედაბლები ხომ არ გგონივართ? – ისევ გააპურჭყა და კბილის საჩიჩქნიც თან მიაყოლა, – თუ არა გვცნობთ, გაგეცნობით!

შვილებმა მამის ნათქვამი ყმუილით და თეთრი, სალი კბილების გაელვებით დაადასტურეს.

ნეტა შენა, ხუმრობის ხასიათზე ხარ, ერთი მე მკითხე, – ღორისკენ წაიწია შაქრია.

– შენ ჩემი ქართული ვერ გაიგე? ღორს ხელი არავინ ახლოს, ვთქვი და გავათავე!

– რას მიედ-მოედები, წყალი მიცივდება...

– ვიდრე მილიცია არ მოვა, ღორს ხელი არავინ ახლოს-მეთქი! გარგუნებენ, წაიღეთ, არადა... ერთი ვნახოთ და ახლა სხვები მომადგნენ, ჩვენი იყო და რათ გაატანეო, რა პასუხი გავცე?.. ჩემი თავი ჯანდაბას, შვილებს შარში ვერ გავხვევ!

ისევ შაქრიამ დასთმო:

რას იტყვით, ამ ღორის ქელეხზე თქვენც რო დაგპატიჟოთ?

ფიდო შეყოყმანდა, შვილებს გადახედა, ვითომ თქვენ როგორ გადაწყვეტთ, ეგრე მოვიქცეთო.

მგლებს რანყრატოები აუთამაშდათ, ჯანდაბას ჩვენი თავი, ეგ უკვე სხვანაირი მიდგომაა საკითხთანო, – გამოაგორეს ხელურემი, დადეს ტახი და სულ ყიჟინით გააძუგძუგეს შაქრიას სახლისაკენ.

კატომ მუხლები გამოითქვიფა, ამათ დაპატიჟებას, იქვე ჩაეხეთქათ, არ მერჩვინაო?

ძლივს ჩატიეს ვარცლში, გაფუფქეს მდუღარე წყალში, წააფარეს, ჩაათბუნეს ტომრებში, უცებ, გასვლიპეს, გააკრიალეს, გაჩეხეს შუაზე და ნაკვერჩხალზე დაიკლაკნა აშიშხინებული ელენთა.

გადაბრუნებული ვაშლის ყუთებზე გაზეთი გადააფინეს, შემოურიგდნენ გარშემო და, აბა, დატრიალდი, კატოვო, წააქეზეს ქალი.

„ამ მარჯვენა მოსატეხის ბრალია ყველაფერი!“ – შეუბღვირა ქალმა ნოშრეს, დანები რომ წამოკრიფა, გადაახვია გაზეთში და აღარ გაჩერდა, ერთი ჭიქა არაყი დალია და წავიდა.

კალთებიც არავის დაუხევია.

კატო პურისა და არაყის მოტანას ვერ ასდიოდა, ხორცს შეწვას ვინ აცლიდა, ნაკვერჩხლებიდან ეგრევე, უმალ იტაცებდნენ, ჩაბალთავდნენ და ვიდრე ახალი მოვიდოდა, ხელდახელ ამოასუფთავებდნენ, ამოაშრობდნენ ხახვიან ჯამს პურის ლუკმებით. განსაკუთრებით, დეკრეტიანნი ყოჩაღობდნენ, ღონიერი ყბებით ფქვავდნენ ხორცს, ტუჩების წრუწუნით აყოლებდნენ შემაჭრებულ, წითელ პამიდვრის მწნილს.

„სუკებს“ რო მორჩნენ, ახლა ბარკლებს მისდგნენ, ბარკლებმაც კარგი სამწვადე იცისო, თან სულ აქებდნენ გამტკნარებულ მასპინძლებს, ასეთს რას აჭმევდით, ნიგოზივით ხორცი რო აქვსო... თქვენ რაღაც საიდუმლო იცით და არ გვიმხელთო...

* * *

ზის თებერვლის ყვავივით გამხდარ-გაჩხინკული ძალუაჩემი, კალთაში თითისტარს აბზრიალებს. მატყლის ფთილა თანდათან ილევა, ძაფად ეხვევა თითისტარს.

– დეკემბრამდე, ეს ჩემი ქმარი, ხო არავის ახსენდებოდა, იყო, არ იყო, უჭირდა, ულხინდა... დადგებოდა დეკემბერი, ჩამოყრიდა პირველ თოვლს და ხან ვინ მოგვადგებოდა, ხან – ვინ, არიქა, ნოშრე, შენი ბადალი ღორის დამკვლელი ჩვენ მხარეში ვინა გვყავს, მოიცალე და პატივი გვეციო...

ესეც, დაიზარებდა თუ რა, სუ გამზადებულ-გაალმასებული ჰქონდა დანები. თუ ვინმე არ მოსწონდა, ცოტას კი ახვეწინებდა, – ყარამან-ყანთელო, დევგმირო, ოღონდ უარს ნუ გვეტყვი და მერე დავსხდეთ და კარგი პური ვჭამოთო... რა დიდი მჭამელი ისა მყავდა, ერთს გაიკიკნებოდა და, ეგ იყო და ეგა... ერთხელ, მეჯვრისხევიდანაც კი გადმოვიდნენ, ისეა გატყიურებული, ვერავინ ვეკარებით, გვიშველე, ეს ბაყბაყდევი დაკუნტე და მერე ჩვენ ვიციტო... ხო გახსოვს, რწყილივით იყო, მიწაზე არა ჩანდა, მაგრამ ეგეთი მარჯვენა ჰქონდა, ღორს უცებ გააციებდა ხოლმე...

შაქრიაანთა რაც შეემთხვა, ხო გახსოვთ... კატოსნაირი დამწვარი ქალის მნახველი არა ვარ, კარგად კი მოუვიდა, ვენაცვალე ღმერთსა...

ნოშრეს გარდა მეზობლისთვის არ დაუძახია... ამოვიდა, ყელი გამოუწია ამ ჩემ ქმარსა, დილაზე უნდა დაგვიკლა, მოგვაშორო ეს ბელტიყლაპია, თორემ აღარც საჭმელი გვაქვს, აქამდე ვამყოფინეთ სიმინდის ღერღილი. შენა, შაქრია და ჩემი მაზლები იქნებით, ხელების გაშლის დრო არა გვაქვს, ამხელა ოჯახი მაგ ღორს შევცქერით, მაგან უნდა გადაგვატანინოს ზამთარიო... წუწკი, წუწკი, თორემ განა მართლა არაფერი ეოხრათ... მერე რამდენი ხანი ჩემ ქმარზე იყვნენ დამდურებულები... ეს კიდევა, ეს ცოდვის კოკორა, ესა, იმ ღორის ხორცი ხო გემოთი არ უნახავს, მთელი ღამე ოხრავდა, რა მომივიდა, დაკლული ტახი როგორ გამექცაო...

ის დღე იყო და ის დღე, ნოშრეს დანა აღარ აუღია, ჩვენ ღორებსაც სხვები გვიკლავდნენ ხოლმე.

ბევრს ეხვეწებოდნენ, მაგრამ რაკი ერთი თქვა, სიტყვას აღარ გადავიდა.

ეგეთი უცნაური იყო, ცხონებული.

ნეტა ჩვენ, უნდილ მთავრობას იმისი ნახევარი პატიოსნება მაინცა ჰქონდეს, – უცინის ძალუაჩემს ცოცხალი, მოძრავი თვალები.

ხელისგულზე თანდათან დნება თეთრი მატყლის ფთილა და სიმივით გაჭიმულ ნართზე, თითქოს ვიღაც უხილავი შორეულ, მივიწყებულ და მონატრებულ მელოდიის აწყობას ცდილობს.



მხატვარი კარლო ფაჩულია

◎ მიძღვნა

# ქართველები

წარწერა ტარიელ ფუტკარაძის წიგნზე – „ქართველები“




დროს და წლების ქარიშხლებს
სულ ფეხდაფეხ მოვყვებით,
აღარ გვაკლდა არასდროს
არც მტრები, არც მოყვრები.
წუთისოფლის გზებზე და ბეწვის
ხიდზეც ვიარეთ,
ანალებში ვტოვებდით ჩვენს
სახელს და იარებს.

რადგან ჩვენს გაჩენაში
უფლის ხელი ერია,
ვერც წლები და ვერც მტრები,
ვერა, ვერ მოგვერია.

ისტორიას აღვიძებს ჩვენი
სისხლის წვეთები:
შუმერები, მოსხები,
ხალიბები, ხეთები.

კოლხები და ლაზები,
იბერები, ქართები,
ქართველებად გავჩნდით და
ქართველებად დავრჩებით.

აზიას და ევროპას
ისევ მოველანდებით,
ჩვენი სიგელ-გუჯრებით,
მველი ფოლიანტებით.

ჩვენი „ოქროს საწმისით“,
ლეგენდებით, მითებით.
ქართველები ვიყავით,
ქართველები ვიქნებით.

არ მოაკლებს უფალი მამულს
შვილებს ერთგულებს,
შვილებს აღმაშენებლებს,
შვილებს თავდადებულებს.

ჩვენი ჯიშით ჯილაგით,
რწმენითა და ფიქრებით,
ქართველები ვიყავით,
ქართველები ვიქნებით.

არც არასდროს გავქრებით, არც
არასდროს დავშრებით,
ქართველებად გავჩნდით და
ქართველებად დავრჩებით.

ნოდარ ჯალაღონია
2006 წ. იანვარი.

◉ თაობა

# შვეჰლას ქართველთან შეხლა არ გამოუვიდა

**შარშან საქართველოს ფალავნებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო სარბიელზე. მათ შორის გახლავთ ბათუმელი „კლასიკოსი“ დავით ბედინაძე, რომელიც ევროპის ჩემპიონატიდან ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.**



— ეს დიდ სპორტში ჩემი დებიუტი იყო — ვარნის ხალიჩაზე პირველად ვიჭიდავე დიდებთან, — მითხრა დათომ. — კერკეტი კაკალი გამოდგა ნორვეგიელი სტიგ ანდრე ბერგი, რომლის დამარცხებას სამი რაუნდი მოვანდომე. მეორე წრეში უფრო იოლად ვძლიე ფრანგ მსოფლიო პრიზიორ ჯამელ აინაუის, ნახევარფინალში კი აზერბაიჯანელ ვიტალი რაჰიმოვთან დავმარცხდი. ძალიან დამწყვიტა გული ამ წაგებამ. უბრალოდ, აზერბაიჯანელს ფორტუნამ გაუღიმა. ჯავრი ჩემ ევროპის ჩემპიონ პეტრ შვეჰლაზე ვიყარე. მართალია, მსაჯებმა პირველი რაუნდი არასწორი შეფასებით წამაგებინეს, მაგრამ მომდევნო ორი რაუნდი ჩემს სასარგებლოდ დავამთავრე და ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე.

— ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე ბედინაძე ყველაზე ახალგაზრდა იყო, — მითხრა დათოს მწვრთნელმა **ვაჟა კრავეიშვილმა**. — ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, შესაძლოა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ასულიყო, მაგრამ დებიუტისთვის არც „ბრინჯაოა“ ურიგო. მონდომებული, შრომისმოყვარე ყმაწვილია და მჯერა, გამარჯვებებით მომავალშიც გაგვახარებს.

ვარნაში მიღწეული წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა ბათუმელი ფალავნისთვის, რომელმაც ჭიდაობა 1993 წელს დაიწყო ნოდარ ჭანუყვაძის ხელმძღვანელობით. 6 წელიწადი ივარჯიშა მასთან. 2000 წლიდან ვაჟა კრავეიშვილთან და გელა ჯანელიძესთან იმაღლებს ოსტატობას. პირველ გამარჯვებასაც მაშინ მიაღწია — კადეტთა შორის ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. მას შემდეგ თანატოლებში პირველობა არ დაუთმია საქართველოში. 2001 წელს კადეტთა ევროპის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. მსგავს წარმატებას მიაღწია ახალგაზრდების მსოფლიო პირველობაზე 2003 წელს. შარშანდელ „ბრინჯაოზე“ ხომ ზემოთ მოგახსენეთ.

— წლეულს უფრო მაღალი სინჯის მედლებზე უნდა ვიფიქრო, — ამბობს დათო, — თუმცა, მანამდე საქართველოს ჩემპიონატის მოგება და ეროვნულ ნაკრებში ადგილის დაბევება მომიწევს. სერიოზული მეტოქეები მეყოლება და წარმატებისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებ...

დღეს საქართველოში ძველით ახალ წელს აღნიშნავენ, ადამიანები ისვენებენ, დროს ატარებენ, დავით ბედინაძე კი მწვრთნელებთან — ბეგი დარჩიასთან, ვაჟა კრავეიშვილთან და თანაგუნდელებთან ერთად ფალავანთა კლუბის ხალიჩაზეა და მომავალი ორთაბრძოლისთვის გულმოდგინედ ემზადება.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: ოსტატი და შეგირდი — ვაჟა კრავეიშვილი და დავით ბედინაძე.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◉ სუმო

# „შავი ზღვა“ წინ მიიწევს

**ტოკიოში გრძელდება სუმოისტთა იანვრის ბაშო, რომელზეც წარმატებით გამოდის სოხუმელი ლევან ცაგურია, იგივე კოკაი, ანუ „შავი ზღვა“, როგორც მას ეძახიან.**

მეხუთე ტურში ლევანის მეტოქე იყო ბულგარელი დიდი რიკიში კოტოოშუ. მის დასამარცხებლად ქართველ ათლეტს 5,6 წამი ეყო. კოკაიმ ხუთიდან სამი ორთაბრძოლა მოიგო.



სადებიუტო ტურნირს წარმატებით ართმევენ თავს უფრო დაბალ დივიზიონში მოასპარეზე თეიმურაზ ჯუღელი და ლევანის ძმა გიორგი ცაგურია, რომლებმაც სამ-სამი გამარჯვება მიითვალეს.

◉ მილოცვა



# წელთა სიმრავლის მიუხედავად...

**16 იანვარს დაბადებიდან 80 და შრომითი საქმიანობის 65 წლისთავი უსრულდება საქართველოს დამსახურებულ ინჟინერსა და გაზიფიკატორს, სტუ-ს დოცენტს, სამი ათეული წლის განმავლობაში „თბილგაზის“ ტრესტის მმართველს, ორდენებისა და მედლების მრავალგზის კავალერს, დიდებულ პიროვნებას ბატონ ოთარ ჩინჩალაძეს.**

დიდია მისი წვლილი თბილისის გაზიფიკაციის, მოსახლეობის, კომუნალური ობიექტებისა და სამრეწველო საწარმოების ბუნებრივი გაზის მისაღებად მომზადების და შემდგომ მისი უსაფრთხო ექსპლოატაციის უზრუნველყოფის, დარგში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების და ტექნიკური სიახლეების დანერგვის საქმეში.

ბატონ ოთარს ახასიათებს მაღალი პასუხისმგებლობა, დისციპლინა, მომთხოვნელობა და პრინციპულობა, ამავდროულად კეთილგანწყობა და ერთგულება კოლეგების მიმართ.

ხანდაზმულობის მიუხედავად იგი დღესაც მისთვის ჩვეული ენერგიით და მონდომებით ემსახურება ქვეყნის გაზის მეურნეობას. საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში ხელმძღვანელობს და უზიარებს ახალგაზრდა კადრებს უსაფრთხოების საკითხებში თავის მდიდარ პროფესიულ გამოცდილებას.

„საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციისა“ და „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მთელი პერსონალი გულმხურვალედ ულოცავს ბატონ ოთარს საიუბილეო თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

**საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია.**

◉ მუნდიალი — 2006

# 6. ჰოლანდია



**მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩების ორგზის მონაწილე — 1974 და 1978 წლებში. ბუკმეკერების ფსონი დღეისათვის 12.00.**

მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიის ნაკრები ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მისი შედეგი არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა და მწვრთნელი დიკ ადვოკაატი დაითხოვა. ადვოკაატი შეცვალა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა უძლიერესმა თავდამსხმელმა მარკო ვან ბასტენმა. მიუხედავად იმისა, რომ ვან ბასტენს მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება არა ჰქონდა, მან იოლად გადაწყვიტა პირველი ამოცანა, ნაკრები მსოფლიო პირველობის ფინალში გაიყვანა.

ძნელი სათქმელია, როგორ წარიმართება ჰოლანდიელების საქმეები ფინალში, ისე კი მათ ბევრი ძლიერი ოსტატი ჰყავთ. კასს საიმედოდ იცავს ვან დერ საარი, მეტად შეუპოვარია ცენტრალური მცველი სტამი, რომელსაც შეუძლია საჭიროების შემთხვევაში ფრთაზეც ითამაშოს. ნაკრების ახალი ლიდერია რუდ ვან ნისტელროი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ დიდად შედეგიანი თავდამსხმელი, რომელსაც დიკ ადვოკაატი სათანადოდ არ აფასებდა. ვან ნისტელროი სამართლიანად არის მიჩნეული უკანასკნელი წლების ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად ევროპაში.

◉ მხარე

# ფოთელთა რჩეულნი

**წლეულს პირველად გამოავლინეს საუკეთესო სპორტსმენთა ათეული ფოთში. ამ ღონისძიების ინიციატორები იყვნენ ქალაქის სპორტისა და ტურიზმის სამსახური (უფროსი ზურაბ ტიბუაძ და სამაუწყებლო კომპანია „მეცხრე ტალღა“.**

ფოთელებმა № 1 სპორტსმენად დაასახელეს სამბოში ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის გამარჯვებული და ევროპის პრიზიორი ნიკო კუცია. მას მცირედით ჩამორჩა ოცწლამდელ მორაგბეთა შორის ევროპის ჩემპიონი დიმიტრი ბასილაია, მესამე ადგილი ხვდა ირაკლი ძიძარიას (ლინიანოში ევროპის ახალგაზრდების ოლიმპიური ფესტივალის ოქროს მედალოსანიძ.

ათეულში ასევე შევიდნენ: თეონა სულამანიძე (შოტოკან კარატე-დო, თორმეტწლამდელ გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონიძ, მისი თანატოლი ნინო ანაკიძე (ჭადრაკი, ევროპის პირველობის „ბრინჯაოს“ პრიზიორიძ, გიორგი შონია და ავთანდილ კვერღელიძე (ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის პირველობის მესამეადგილოსნებიძ, ნიკოლოზ იზორია, ლევან ღვამიჩავა და კახაბერ ჟვანია (კრივში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეები).

მწვრთნელთა საუკეთესო სამეული ასეთია: ზურაბ ტუღუში (სამბოძ, ამირან შავგულიძე (რაგბიძ, ზვიად ნოდია (ფეხბურთიძ.

◉ ორბიტაზე

## ფეხბურთს ვერ გაექცევი

**გერმანიაში 2006 წელს ფეხბურთის ბურთს თავს ვერ დააღწევ. ასეა ახლაც, ალბათ იკითხავთ, სად და რისთვის მიაქვს მინისტრთა კაბინეტის სხდომიდან გამოსულ ქვეყნის ახალ კანცლერს ანგელა მერკელს ეს ბურთი.**





სამაგიეროდ, სავსებით გასაგებია, თუ რატომ კოპწიაობს დიუსელდორფის ბაზრობაზე ეს ლამაზმანი მანეკენი — ეს ბურთი კი არა, ყინულის ვედროა შამპანურისთვის.

## კრივის დიდების დარბაზში



**ამერიკელი ჟურნალისტების ასოციაციამ, ვინც კრივზე წერს, დაასახელა კრივის დიდების დარბაზის მორიგი კანდიდატები.** სიას სათავეში უდგანან ყოფილი მსოფლიო ჩემპიონები მაიკლ კარბახალი და უმბერტო გონსალესი, სამჯერ რომ შეხვდნენ ერთმანეთს პირველის ტიტულისთვის 49 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. აქამდე ცოცხალ კანდიდატებს შორის არიან ჟურნალის Boxing World ყოფილი რედაქტორი და ჟურნალისტი ჰენკ კაპლანი და პრომოუტერი ჯარვის ასტერი.

◉ ინფორმაცია

## აფხაზეთის სომხობა აპროტესტებს

**აფხაზეთში მცხოვრები სომხური მოსახლეობა ანტისომხური აქციების გამო პროტესტს გამოთქვამს და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებას სომხური მოსახლეობისადმი უყურადღებობას საყვედურობს.**

**სომხური დიასპორის წარმომადგენლებმა ხელისუფლებისადმი თავისი პრეტენზიები, სომხური მოსახლეობის უფლებებისა და უსაფრთხოების საკითხები, აფხაზეთის ხელისუფლებასთან გამართულ შეხვედრაზე განიხილეს, სადაც ახალი წლის ღამეს, სოხუმში სომხურ სკოლასთან მომხდარი აფეთქების ფაქტიც ახსენეს. შეხვედრაში მონაწილეობა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა მიიღეს.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ ჭადრაკი

# ლიდერობა შეინარჩუნა

**გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტურის პარტიები გათამაშდა.** გაუწყებთ მათს შედეგებს: მაია ლომინეიშვილი — ნინო ხურციძე 0,5:0,5, მაკა ფურცელაძე — ანა გავაშელი 1:0, ნინო ბაციაშვილი — ლელა ჯავახიშვილი 0,5:0,5, ანა მათნაძე — ნანა ძაგნიძე 0:1, სოფიკო ხუხაშვილი — სოფიკო გვეტაძე 1:0, თამარ წერეთელი — ინგა ჭარხალაშვილი 0,5:0,5.

ლომინეიშვილთან ყაიმის შემდეგ ხურციძემ 4 ქულა მოაგროვა და ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ფურცელაძე და ლომინეიშვილი. 3-3 ქულა აქვთ ძაგნიძესა და ჯავახიშვილს, 2,5 — ჭარხალაშვილს, 2 ქულა — გავაშელს, ბაციაშვილს და გვეტაძეს, 1,5 — მათნაძეს, ხოლო წერეთელი ქულით ბოლო ადგილზეა.

მოჭადრაკეები დღეს ისვენებენ. ხვალ VI ტურის პარტიები გაიმართება.

სულიერება

# იყავ მზად მღვიძარებისთვის!..

## მეორედ მოსვლის წინ ადამიანებს სიყვარული მოაკლდებათ

**შობა ღამით თბილისელთა ფანჯრებში გამოდგმულმა სანთლებმა გაანათა დედაქალაქი. ქართველები და (არა მარტო ისინი) უსმენენ თავიანთ პატრიარქს და მათ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ სარწმუნოებას. ამ ერთმა ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ვერავითარი გაჭირვება ვერ წაართმევს მართლმადიდებლის გულს მაცხოვრის სიყვარულს, რომ მორწმუნე ყოველთვის დაიცავს თავის სარწმუნოებას, წინაპართა მიერ სათუთად გადმოცემულ უშრეტ განძს, რამაც აქამდე მოიყვანა.**

**დღეს ადამიანები ხშირად საუბრობენ ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. თუმცა არავინ, თვით საეკლესიო პირებმაც კი არ იციან, როდის დადგება ეს ჟამი. არადა, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ისეა დაძაბული, დღე არ გავა, საინფორმაციო საშუალებებმა არ გადმოსცენ ცნობები წარღვნების, მიწისძვრის, ეპიდემიების აფეთქების, ომის, ადამიანთა მსხვერპლის შესახებ... ზოგი ამას ანტიქრისტეს მოსვლის წინარე პერიოდად აღიქვამს, ზოგიც ჩვეულებრივ საკატეგორიო, ანდა სტიქიურ მოვლენად...**

**სინამდვილეში კი რაშია საქმე? როგორ ხსნის ამ მოვლენებს ჩვენი ეკლესია? რა უნდა იცოდეს მართლმადიდებელმა ქრისტიანმა იმისათვის, რომ მისი არსება რაღაც გაურკვევლობისა და ერთგვარი შიშის ქვეშ არ მოექცეს? — ყოველივე ამის თაობაზე გვესაუბრება ზურაბ ცხოვრებაძე, საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსის მოადგილე, გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქტორი:**

— ეკლესიური სწავლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახლავთ ესქატოლოგიური მოძღვრება, ანუ მოძღვრება მეორედ მოსვლის შესახებ. როგორც სხვა, ასევე ამ საკითხებზეც ეკლესია თავის მრევლს საუკუნეებია, რაც განსწავლის.

იმის ცოდნა, თუ რა მოვლენები მოხდება ბოლო ჟამს, მორწმუნისათვის აუცილებელია, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ საჭირო არ არის, მან დაიწყოს გამოკვლევა იმ ზუსტი ჟამისა, თუ როდის იქნება მეორედ მოსვლა. ეს რომ გამოსაკვლევი საკითხი არ არის, ამაზე თვითონ მაცხოვარი ამბობს სახარებაში, რომ „თვით ზეციურმა ანგელოზებმაც არ იციან ეს“, ამიტომაც არ უნდა შეეცადოს ადამიანი ზუსტი თარიღის გარკვევას.

იგივე სახარებაში კი უფალი გვეუბნება, რომ თუკი თქვენ შეგიძლიათ ცის ფერის მიხედვით, გამოიცნოთ ნიშნები იმისა, როგორი ამინდი იქნება ხვალ, მაშინ თქვენ უნდა გამოიცნოთ ბოლო ჟამის მოახლოებაც, იმის მიხედვით, რაც ახასიათებს მას.

***— რა ნიშნები ახასიათებს ბოლო ჟამს?***

— გამრავლდება კატასტროფები, იქნება მიწისძვრანი, შიმშილი, ომები, ავადმყოფობები... მაგრამ რაც მთავარია, და რაც ამ ყველა უბედურებას უდევს საფუძვლად, არის მოკლება სიყვარულისა.

ადამიანები სიყვარულის უნარს დაკარგავენ, იმ სიყვარულისას კი არა, ახლა რომ წარამარა გაიძახიან მოდისთვის, არამედ იმ ჭეშმარიტი სიყვარულისას, რომელზეც იოანე მახარობელი ამბობს: „ღმერთი სიყვარულია“. ანუ სარწმუნოება მოაკლდებათ ადამიანებს.

უფალი ამბობს, რომ როდესაც „მოვალ მეორედ, ვნახავ კი რწმენას?“ — აქედან გამომდინარე, რწმენა იქნება შესუსტებული.

***— ანტიქრისტეს მოსვლაზე რას იტყვით?***

— თვითონ სახელი ანტიქრისტე ძალიან საინტერესოა. იგი შედგება ორი სიტყვისგან: ქრისტე და „ანტი“. ვიცით, რომ „ანტი“ საწინააღმდეგოს ნიშნავს, რაც თავიდანვე ცხადია, რომ ეს ადამიანი პირდაპირი მტერი იქნება ქრისტესი. მაგრამ „ანტს“ აქვს მეორე მნიშვნელობაც ბერძნულში და „ნაცვალს“, „მაგიერს“ ნიშნავს, ანუ ტერმინი ამ მეორე მნიშვნელობითაც უნდა გავიაზროთ, რომ ეს საშინელი კაცი შეეცდება ქრისტეობა დაიჩემოს, თავი გაასაღოს მესიად, რაც მისი დიდი მზაკვრობა იქნება.

***— ვინ იქნება ანტიქრისტე? ვინ შობს მას?***

— ანტიქრისტე ებრაელი, დანის ტომის ქალისაგან იშვება. დედამისი აღვირახსნილობით იქნება გამორჩეული. თუმცა, შვილი გაავრცელებს ხმას რომ დედა წმინდა და უბიწო ჰყავდა. ანტიქრისტეს მამა იქნება უცნობი.

ანტიქრისტე თანდათანობით მთელ მსოფლიოს მოაქცევს თავისი გავლენის ქვეშ. შემდეგ თავს ღმერთად გამოაცხადებს და შემოიღებს ფაქტობრივად ახალ რელიგიას, რომელიც თითქოსდა ყველა არსებული რელიგიის გამაერთიანებელი იქნება. ანტიქრისტე სასტიკ ბრძოლას დაუწყებს ყველა თავის მოწინააღმდეგეს, მაგრამ განსაკუთრებით შეავიწროებს ქრისტიანობას. ქრისტიანები, რომლებიც არ მიიღებენ მას, გამოცხადდებიან მეამბოხეებად, წესრიგის დამრღვევებად, ფანატიკოსებად... მათ თავის შეფარება მიუვალ ადგილებში მოუწევთ.

ანტიქრისტე მთელ კაცობრიობას მოსთხოვს, რომ შუბლზე და მარჯვენა ხელზე მიიღონ მისი ბეჭედი, ე. წ. აპოკალიფსური ბეჭედი, რომლის სიმბოლური გამოსახულებაა 666. ჩვენ ეს ზუსტად არავინ ვიცით, თუმცა ამ თვალსაზრისით ბევრი ვარაუდია გამოთქმული. მაგრამ ვიცით ერთი რამ, რომ ვისაც არ ექნება ეს ბეჭედი, ვერ შეძლებს ვერც ვერაფრის ყიდვას და ვერც გაყიდვას. ანუ ქრისტიანი მორწმუნე ადამიანი ჩავარდება უმძიმეს მდგომარეობაში. მას თვით უმცირესი პროდუქტის, საკვების ყიდვაც კი არ შეეძლება. ეს კი ბევრ ადამიანს აიძულებს, მიიღონ აპოკალიფსური ბეჭედი. მართლაც, მსოფლიო მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიღებს ბეჭედს ისე, რომ ვერც მიხვდება, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს იგი. არ ეცოდინება მას ქრისტიანის წინა პერიოდის წინასწარმეტყველებანი, ზოგი კი, უბრალოდ, ვერ გაუძლებს გაჭირვებას... ეს კი დაღუპვის წინაპირობაა.

***— და, ბატონო ზურაბ, მაინც სულ ერთია, ეს შეცდომა უნებური იქნება თუ შეგნებული?***

— ამ ბეჭდის მიღება არაფრით არ შეიძლება, იმიტომ, რომ ადამიანი ამით სულს წარიწყმედს. როგორც გითხარით, ქრისტიანები შეაფარებენ თავს ტყეებს, უდაბნოებს, გამოქვაბულებს, მაგრამ იქაც კი მონახავენ ზოგიერთებს, დაიჭერენ და დასჯიან. სასტიკი კი იქნება ისეთი დიდი, თვით რჩეულნიც კი ცდუნდებიან. ეს იქნება ძალიან რთული ეპოქა. წმიდა ბასილი დიდი ამბობდა, რომ **„ღმერთი ნუ მომასწრებს ამ დღეს, რადგან არ ვიცი, მე რას გავაკეთებ“**. წარმოგიდგენიათ? — წმიდა ბასილი დიდიც კი, რომელიც ეკლესიის ბურჯი იყო, შიშით და სიფრთხილით ამბობდა ამის შესახებ.



ეს კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ყოველგვარი თავდაჯერება, დაიმედება საკუთარი რწმენით, აბსურდი ხდება. ამიტომაც უნდა ვევედროთ უფალს, რათა მოგვცეს ძალა სარწმუნოების შენარჩუნებისა, თუკი, რაღა თქმა უნდა, მოხდა ისე, რომ ჩვენ მოვესწარით ბოლო ჟამს.

***— მაინც, რას ურჩევთ იმ ადამიანებს, რომლებიც ბოლო ჟამზე საუბრობენ?***

— შევახსენებთ ერთ-ერთი წმიდა მამის სიტყვებს: **„ხვალ იქნება მეორედ მოსვლა? — არ ვიცი. ასი წლის შემდეგ? — არ ვიცი! მაგრამ ვიცი ერთი რამ, რომ ყოველდღიურად მზად უნდა ვიყო მის შესახვედრად“.**

ამიტომაც უნდა იყოს მუდმივი სულიერი მღვიძარება დამახასიათებელი ნებისმიერი ქრისტიანი ადამიანისათვის.

***— რამდენ წელიწადს იმეფებს ანტიქრისტე და როგორ განვითარდება შემდგომი მოვლენები?***

— კაცობრიობას თავიდან მოეჩვენება, რომ ის ყველა პრობლემის პანაცეაა, მხსნელია თითქოს ქვეყნიერების. იქნება მოჩვენებითი წარმატებები, ის ხალხს მოხიბლავს სასწაულებით, რომელსაც მისი თანაშემწეები მოახდენენ. იტყვიან: აი კაცი, რომლის მსგავსიც არ ყოფილა! მართლაც, მისი მსგავსი არავინ ყოფილა, რადგან იგი იქნება შესაკრებელი ყველა ბოროტებისა! იმეფებს სამ წელიწადნახევარს და ეს იქნება უმძიმესი სამი წელიწადი.

***— რას ამბობენ წმიდა მამები ანტიქრისტეს შესახებ?***

— ისინი ამბობენ, რომ თუ არა წმიდა ლოცვა რჩეულთა, რადგან ისინი შეამოკლებენ მის ჟამს, ვერავინ გაუძლებდა ანტიქრისტეს ეპოქას.

მისი ზეობისას დაიწყება გვალვები, მოუსავლიანობა, მიწა აღარ მოგვცემს საზრდოს. ადამიანებს მოაკლდებათ პური, იმათაც კი, ვისაც ანტიქრისტეს ბეჭედი აქვს მიღებული. ხალხი მივა ანტიქრისტესთან და მოსთხოვს პურს... ის უკვე ამ დროს თავის გარეგნულ სიმშვიდეს დაკარგავს და გამოაჩენს თავის ჭეშმარიტ, მრისხანე სახეს და იტყვის, საიდან უნდა მოგიტანოთ მე პური...

ეს იქნება სრული კატასტროფა, ადამიანებს აღარ უშველით არც ფული, არც ოქრო, არც არანაირი სიმდიდრე...

ამ დროს კი მოვა მაცხოვარი, განგმირავს ანტიქრისტეს და დაიწყება ბოლო ჟამი...

***— როგორ გაცხადდება ეს პერიოდი კაცობრიობის თვალწინ? რას ამბობს ამის შესახებ სახარება?***

— მაცხოვარი ხილულად მოვა. დედამიწის ნებისმიერ ადგილას ნებისმიერი ადამიანი დაინახავს მას. მოვა ანგელოსთა, წმინდათა დასით გარშემორტყმული და ზეცაზე გამოისახება ჯვარი. ეს კი იქნება მხილება სექტანტებისა და იუდეველებისა, რომლებიც უარყოფენ და შეურაცხყოფენ ჯვარს და დადგება ჟამი მეორედ მოსვლისა. მკვდრეთით აღსდგებიან მიცვალებულნი, დაწყებული ადამ და ევადან დამთავრებული სულ ბოლო, აპოკალიფსის ბოლო წამებში გარდაცვლილი ადამიანებით. მაგრამ მათ ექნებათ სხვაგვარი სახე და დაიწყება განსჯა ყველა ადამიანისა... ღვთის რჩეულებს უფალი თავის მარჯვნივ დაიყენებს, ცოდვილებს — მარცხნივ. მართალთ ექნებათ საუკუნო ნეტარება, ცოდვილთ — საუკუნო ტანჯვა.

***— ახლოსაა ჟამი მეორედ მოსვლისა?***

— ამის შეფასება ჩვენ არ შეგვიძლია. მეორე მხრივ, არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება წმიდა ადამიანების შეგონებებს. ჩვენ ერთი საუკუნეა მათგან ხშირად გვესმის, მათ შორის ჩვენი პატრიარქისგანაც, რომ ახლოა ჟამი მეორედ მოსვლისა. ამიტომაც მეტი სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს. რადგან ყველაფერი, რაც დღეს ხდება, არის ამის წინაპირობა...

***— რა მოეთხოვებათ ჩვენს თანამედროვე ჭეშმარიტ მორწმუნეებს, ქრისტიანებს?***

— ისინი აქედანვე უნდა ემზადებოდნენ ამ დღისათვის, გაძლიერდნენ სარწმუნოებაში, რომლის გარეშეც ვერანაირ განსაცდელს ვერ გაუძლებენ. აქ გავიხსენებ მამა გაბრიელ ურგებაძის სიტყვებს, ძალიან მნიშვნელოვანს, რომ **„მეორედ მოსვლის წინ ადამიანებს სიყვარული მოაკლდებათ, რაც იქნება მთავარი წინაპირობა ანტიქრისტეს ნიშნის მიღებისა“**. ბოლოჟამის ადამიანები სიყვარულის მოხვეჭისთვის უნდა ესწრაფვოდნენ, ეს უნდა შესთხოვონ უფალს. მოყვასისადმი მსახურება, მისთვის კარგის კეთება ადამიანის გულში სიყვარულს აღვივებს.

უფლისადმი დაუშრეტელი ლოცვა კი აუცილებელია ამ სიყვარულის ჩასანერგად.

**ლია ჭიღლაძე**

ტრადიცია

## 14 იანვარს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც წმიდათა შორის მამას ჩვენს კესარია-კაბადოკიის მთავარეპისკოპოსს ბასილი დიდს იხსენიებს.



**... ბასილი დიდი საქართველოში ყოველთვის გამორჩეულად უყვარდათ და სწორედ 14 იანვარს ჩიჩილაკს აკეთებდნენ, რომელსაც მოფერებით „ბასილის წვერებს“ უწოდებდნენ. ჩიჩილაკი ტრადიციულად ითლებოდა თხილის ხისგან, რადგანაც იგი ნაყოფიერებისა და სიუხვის უძველესი ქართული სიმბოლოა. გარდა, ამისა, 14 იანვარს აცხობდნენ კაცის მოყვანილობის კვერებს — ბასილებს და ეკლესიაში წმიდა ბასილ დიდის ლიტურღია აღესრულებოდა. ხალხის განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება კაბადოკიელი ეპისკოპოსისადმი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია შემორჩენილი. შესაძლოა, იმიტომ, რომ ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, იგი წარმოშობით ქართველია. წმიდა ბასილი დიდს ევედრებოდნენ წლის ბედნიერად წარმართვას, ვაჟიანობასა და საქონლის გამრავლებას.**

ძველად ჩვენში შობა-ახალ წელს ხანგრძლივი ზეიმით აღნიშნავდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ მთაში მშვიდეულს შობიდან ახალ წლამდე „წელშუის კვირა“ ეწოდებოდა, თუშეთში — „ქრისტეს წელწადშუ“. სვანეთში ახალ წელს „ზომხას“ ან „კალანდას“ უწოდებდნენ, სამეგრელოში — „ახალ წანას“ და „კალანდას“. გურიაშიც „კალანდას“ დღესასწაულობდნენ. ახალი წლის დადგომისას მეგრელი ან გურული მამაკაცები გარეთ გადიოდნენ, ქალები კი სახლში ლოცულობდნენ. ისინი ღმერთსა და წმიდა ბასილის შესთხოვდნენ, რომ ახალ წელს ბედნიერება მოეტანა. ლოცვის შემდეგ კაცები შინ ბრუნდებოდნენ. მათ შორის უფროსს ხელში ჩიჩილაკი ეჭირა. კარს ქალები მანამდე არ აღებდნენ, სანამ არ დარწმუნდებოდნენ, რომ „წმიდა ბასილის მობრძანება“ მოუჭქონდათ.

გვინდა, ახალი წელი ძველი ქართული ტრადიციისამებრ მოგილოცოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა“.

საეკლესიო კალენდარი

# წმიდა ექვთიმე თაყაიშვილი

## 16 იანვარს საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმიდა ექვთიმე თაყაიშვილს იხსენიებს



**წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) დაიბადა 1863 წლის 5 ივნისს გურიის სოფელ ლიხაურში, მამამისი აზნაური სიმონ თაყაიშვილი კორდონის ოფიცერი იყო, დედა გიტული ნაკაშიძე კი, მაზრის მოწინავე ქალთა შორის იხსენიება. წმიდანს, მშობლები ადრე გარდაეცვალა. წმიდა ექვთიმეს თავიდანვე გამოუვლენია სწავლისადმი დიდი მისწრაფება. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ექვთიმე პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. შემდეგ თბილისში დაბრუნდა... ღვთისა და ერის სიყვარული წარმართავდა მის ყოველ მოქმედებას. ექვთიმე ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ, მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.**

... 1895 წელს ექვთიმემ ცოლად შეირთო თბილისელი იურისტის ივანე პოლტორაცკის ასული — ნინო. 1907 წელს, ექვთიმე თაყაიშვილმა დააარსა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“. მას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის მებრძოლთა რიგებშიც ვხედავთ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო, საფრანგეთში ევაკუირებულმა მენშევიკურმა მთავრობამ თან გაიტანა საბანკო ვალუტა, ისტორიისა და კულტურის სამუზეუმო განძეულობა და ხელნაწერები. მათ მცველად გაჰყვა ექვთიმე თაყაიშვილი მეუღლითურთ.

... მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა განძის საქართველოში დასაბრუნებლად. მალე იგი თბილისში გადმოიგზავნა. თბილისის აეროდრომზე როცა თვითმფრინავი დაეშვა და ქართულ მიწაზე ფეხი ჩამოდგა, მან ხელით აიღო მიწა და ეამბორა მას.

„სამშობლოში პატივით მიიღეს ერისთვის დამაშვრალი მოღვაწე. უნივერსიტეტშიც კითხულობდა ლექციებს და საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა.

1953 წლის ზამთარში ექვთიმე თაყაიშვილმა სული უფალს შეჰვედრა. ათი წლის შემდეგ მისი ნეშტი ვაკის სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში გადაასვენეს. მოგვიანებით, ლევილიდან ჩამოასვენეს მისი მეუღლის ნეშტიც და მეუღლის გვერდით დაფლეს, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

2002 წლის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით, მოხდა ექვთიმე თაყაიშვილის კანონიზაცია და ეწოდა მას — წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი.

**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ.**

◎ „დობილები“

# ფეხბურთის ჯადოქრის ახალი გულისვარდი



**ალბათ გახსოვთ, სულ ცოტა ხნის წინათ ვწერდით ფეხბურთის ჯადოქრის, არგენტინელი დიეგო მარადონას რომანზე ლამაზმან სილვინა ლუნასთან. ახლა კი მის ახალ გულისვარდზე – ნასარენა ველესაზეა ახმაურებული სენსაციების მოყვარული პრესა.**

როგორც ჩანს, გახდომამ ძალზე დადებითად იმოქმედა ფეხბურთის ლეგენდაზე. ძალზე მოკლე ხანში ხომ მისი 120-კილოგრამიანი ძონძროხა სხეული ტანად, ენერგიულ მამაკაცად გარდაისახა. ალბათ, კუჭის ოპერაციამ, როცა სპეციალური სამაგრების საშუალებით ექიმებმა ის საგრძნობლად შეამცირეს, დადებითად იმოქმედა. ახლა მარადონა ორჯერ ნაკლებს ჭამს, სამაგიეროდ სამჯერ უფრო მხიარულად ცხოვრობს – საკუთარ ტელეშოუსაც უძღვება, პოლიციელებთანაც ჩხუბობს და ფეხბურთში დაბრუნებითაც „იმუქრება“. თუმცა გარდაქმნილი ფეხბურთელის ამ საქმეებზე უფრო მეტ ყურადღებას მის სასიყვარულო თავგადასავლებს აქცევენ.

როგორც ამბობენ, 44 წლის დიეგომ არც კი დაუცადა სექსუალურ მოდელთან და მსახიობთან ლუნასთან განშორებით გამოწვეული აჟიოტაჟის მიწყნარებას, რომ მის ახალ გულისვარდზე, არანაკლებ ეფექტურ ლამაზმანზე ნასარენა ველესაზე აალაპარაკა ყველა.

მთავარი ისაა, რომ სილვინა და ნასარენა კარგად იცნობენ ერთმანეთს: ორივე არგენტინის საუკეთესო მოდელების პირველ ხუთეულში შედის და ხშირად ხვდებიან ერთმანეთს პოდიუმზეც და გადაღებებზეც.

თუმცა მათ შორის განსხვავება მაინც პოულობენ – ლუნა 25 წლისაა, ნასარენა კი – 26-ის. სალვინა უკვე ხუთ ტელესერიალშია გადაღებული, სინიორიტა ველესი კი – მხოლოდ ორში. ბევრით თუ ცოტათი ისინი პარამეტრებითაც განსხვავდებიან – პირველისაა 96-60-94, მეორისა კი – 95-60-92. ამის გამო ჭორიკანები ამბობენ, რომ მარადონა, როგორც საყვარელი, მალე „ტირაჟიდან გავა“, მას ალბათ მომავალში მხოლოდ უგულმკერდო, საშუალო ასაკისა და შეუხედავი ქალბატონები მოეწონება.



ასეა თუ ისე, მილიონობით გულშემატკივარის კერპი კარგ დროს ატარებს ახალ „დობილთან“, რომელიც ჟურნალისტებთან ასე კეკლუცობს: „არაფერს გეტყვით ჩემსა და დიეგოზე! ჩვენს შეხვედრებზე ჩემგან ვერაფერს შეიტყობთ!“

და კიდევ ის, რომ მარადონა ჯერ არ აპირებს სექსუალურ პენსიაზე გასვლას.

*უცხოური პრესის მასალების მიხედვით*

**სურათებზე: დიეგო მარადონას ყოფილი და ახლანდელი გულისვარდები – ნასარენა ველესი და სილვინა ლუნა. ისინი ერთად კეკლუცობენ ჟურნალის გარეკანზე.**





საქმე № 2/2

## განჩინება

29 დეკემბერი, 2005 წელი ქ. ტყიბული

**ტყიბულის რაიონული სასამართლოს მოსამართლე – მათიკო ხურციძემ ნანა შარვაძის მდივნობით კრედიტორის – ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლის ვ. გვენეტაძის მოვალის – სს „ტყიბულნახშირის“ წარმომადგენლის – ვ. გაბრიჭიძის რეაბილიტაციის მმართველის მ. ბახუტაშვილის მონაწილეობით განვიხილე განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ**

***სარეზოლუციო ნაწილი:***

სასამართლომ იხელმძღვანელა გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-11-მე-13, $25^7$-ე, საქართველოს სსკ-ის 284-285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. შეწყდეს მოვალე სს „ტყიბულნახშირის“ რეაბილიტაცია და მის ქონებაზე გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება – 2006 წლის 12 იანვარს 12 სთ.

2. რეაბილიტაციის მმართველს მ. ბახუტაშვილს შეუწყდეს უფლებამოსილება და სს „ტყიბულნახშირის“ გაკოტრების მმართველად კრედიტორთა პირველ კრებამდე დაინიშნოს ზურაბ იაშვილი.

3. ვალაუვალ მოვალეს – სს „ტყიბულნახშირს“ აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვა.

4. გაკოტრების მმართველს დაევალოს, მართოს და განკარგოს გაკოტრების მასა და მოვალის მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება, გარდა იმ ქონებისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას, იძულებით აუქციონს, ყადაღის დადებასა და სეკვესტრს.

5. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეული იქნას 2006 წლის 27 იანვარს, დილის 12 საათზე ტყიბულის რაიონული სასამართლოს შენობაში (ქ. ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. 4ძ. კრედიტორთა კრებას დღის წესრიგად განესაზღვროს: 1. კრედიტორთა ახალი კომიტეტის არჩევა; 2. გაკოტრების მმართველის არჩევა.

6. კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომა ჩატარებული იქნას ტყიბულის რაიონული სასამართლოს შენობაში 2006 წლის 17 თებერვალს 12 საათზე (ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. № 4, დარბაზი № 2ძ.

7. ვალაუვალი მოვალის კრედიტორები ვალდებულნი არიან 2006 წლის 17 თებერვლამდე წარმოადგინონ გაკოტრების სასამართლოში (ქ. ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. № 4ძ თავიანთი მოთხოვნები ვალაუვალი მოვალის მიმართ, მოთხოვნის ოდენობის (შესაბამის ვალუტაშიძ და მისი წარმოშობის საფუძვლის ჩვენებით. მიეთითოთ ვალაუვალი მოვალის კრედიტორებს, რომ მოთხოვნათა წაყენების ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნები განიხილება როგორც დაგვიანებით განცხადებული მოთხოვნები და მათი გათვალისწინება არ მოხდება გაკოტრების მასის განაწილებისას.

8. ყველა ის პირი, რომელსაც ვალაუვალი მოვალის ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის უფლება, ვალდებულია თავისი უფლების შესახებ განაცხადოს გაკოტრების მმართველთან მოთხოვნათა წაყენების ვადაში, ანუ 2006 წლის 17 თებერვლამდე.

9. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიება, ხოლო მათი სააღსრულებო წარმოება გადმოეცეს გაკოტრების სასამართლოს.

10. აღნიშნული განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე ტყიბულის რაიონული სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე. გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას.

11. განჩინების ასლი გაეგზავნოს:

აძ შპს საქართველოს ფოსტის ტყიბულის ფილიალს და მიეთითოს, რომ ვალაუვალი მოვალის სს „ტყიბულნახშირის“ სახელზე მიღებული ყველა გზავნილი და კორესპონდენცია გაუგზავნოს გაკოტრების მმართველს ზურაბ იაშვილს მისამართზე: ტყიბული, კარლო ლომაძის ქ. № 4.

ბძ სამეწარმეო რეესტრს (ქუთაისის საგადასახადო ინსპექციაძ, რათა გაკეთდეს ჩანაწერი სამეწარმეო რეესტრში სს „ტყიბულნახშირის“ ქონების მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

12. ეცნობოს სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკს“, რომ სს „ტყიბულნახშირის“ ქონებაზე გახსნილია გაკოტრების საქმის წარმოება.

13. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა მისი გამოქვეყნების მომენტიდან 12 დღის ვადაში.

**მოსამართლე: მ. ხურციძე**

## სს „ჩოხატაურის ნავთობპროდუქტი“ აცხადებს ლიკვიდაციას

**საწარმოთა მართვის სააგენტოს 2005 წლის 13 დეკემბრის № 1-3/742 ბრძანებით მიმდინარეობს სს „ჩოხატაურის ნავთობპროდუქტის“ ლიკვიდაცია.**

იურიდიული მისამართი: დ. ჩოხატაური.

ლიკვიდატორი – სს „ჩოხატაურის ნავთობპროდუქტის“ დირექტორი გ. მენაბდე.

კრედიტორებს ვთხოვთ, განცხადების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში წარმოადგინონ დასაბუთებული მოთხოვნები.

კრედიტორთა მოთხოვნებში უნდა აისახოს შემდეგი მონაცემები:

1. კრედიტორის ვინაობა და მისამართი;
2. პირადობის დამადასტურებელი მონაცემები;
3. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას;
5. ვალდებულების წარმოშობის საფუძველი და პერიოდი;
6. ვალდებულების ოდენობა, გამოხატული ფულად თანხებში;
7. კრედიტორთა მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს ვალდებულების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორთა მოთხოვნები არ განიხილება.

**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ: დ. ჩოხატაური, გოგიბერიძის ქ. № 30, ტელ.: 893 30-58-65.**

**სს „ჩოხატაურის ნავთობპროდუქტის“ ლიკვიდატორი**

## განცხადება

**მიმდინარეობს სს „მარნეულნავთობპროდუქტის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვმართოთ ტელეფონებზე: 77-33-89; 77-22-11.**

◉ ნატურიდან

# დაკეტილი ტუალეტი

— გახსოვს, სიმონ, — ეუბნება ღვინო-არყის მაღაზიის კედელთან ჩამომჯდარი, ტურტლიანი ერთი ლოთი მეორე ლოთს, — ქალაქში რა ტუალეტები გვქონდა? თანაც მუქთა, მთელ დღეს რომ შიგ მჯდარიყავი, გინდაც წამოწოლილიყავი, კაპიკს არ გადაიხდიდი.

— შენცა ხარ რა, — შეუღრინა მეორე ლოთმა, — ლუდი რომ გეთქვა, კიდევ ჰო, ამ პახმელიაზე ტუალეტი რამ გაგახსენა?

— სწორედ ლუდთან დაკავშირებით გამახსენდა, სიმონ, რამდენიც გინდა გესვა, ქუჩაში გასვლისა არ გეშინოდა. აფსუს, რა ტუალეტები გვქონდა?

— მაგაზე მეც მიფიქრია, მაგრამ ვერ გამიგია, რატომ დახურეს?

— დახურეს კი არა, ძმაკაც, კაფეებად, ბარებად და რესტორნებად გადააკეთეს.

— ვინა, ტო?

— იმათ, ვინც ტუალეტები შეისყიდეს.

— ეგრე არ გამოვა, — გული მოუვიდა თანამოსაუბრეს, — მაგათ ტუალეტის პროფილის შეცვლის უფლება არ ჰქონდათ.

— მეც მაგას არ ვჩივი, ახლა რა უნდა ვქნათ?

— შენი არ ვიცი და მე, მაგალითად, პამპერსსა ვხმარობ.

— ერთი შენიც... — შეიკურთხა პირველი ლოთი, — პამპერსის ფული თუ გქონდა, ვერა თქვი, სტოგრამს გადავყლურწავდით.

— ფული კი არა... ნაცნობმა ქალმა მაჩუქა.

— ეჰ, ნეტა მეცა მყავდეს მაგისთანა ნაცნობი. ამას წინათ ნახალოვკაში ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

— როგორ?

— იმ ადგილზე მე ისევ საპირფარეშო მეგონა, სინამდვილეში კი სტომატოლოგიურ კლინიკაში ამოვყავი თავი.

— მერე, სიმონ?

— მერე ისა, რომ მეცნენ და ჯანსაღი კბილი ამომაძრეს.

— თან ფულიც წაგაძვრეს?

— სადა მქონდა, თორემ კი.

— მერე ტუალეტი?

— ტუალეტის თავი ვიღას ჰქონდა, უკვე ჩასველებული ვიყავი.

— არა უშავს, მაგაზე უარესები ხდება, — გაამხნევა მეორე ლოთმა — ამის შემდეგ მაინც იცოდე, აი ჩვენს წინ რომ მაღალი შენობაა, შიგ მშვენიერი ტუალეტი აქვთ.

— ჰქონდათ და აღარა აქვთ.

— როგორ, მანდაც რესტორნად გადააკეთეს?

— არა, დაკეტეს. ამას წინათ ავედი, ვიღაც პეპელა ქალი დამხვდა, სულ კინწისკვრით გამომაგდო — ტუალეტი პრივატიზებულია, ჩემმა თვალებმა მეორედ აქ აღარ გნახოსო.

— თავად თანამშრომლები როგორ ახერხებენ შესვლას?

— ყველას საკუთარი გასაღები აქვს. თუმცა, როგორც გავიგე, მაგათაც პრობლემები შეექმნათ.

— რა პრობლემები?

— რა და, მანდ ხომ ქალებიც მუშაობენ. წარმოიდგინე, ქალი ზის ჩაკეტილში მშვიდად, ამ დროს კაცი ხსნის კარს თავის გასაღებით და შედის...

— აა, გასაგებია!

— მართალია, მანდ ძირითადად ხანდაზმული მამაკაცები მუშაობენ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ქალები, ზრდილობის გულისთვის, მაინც კივიან... ამას წინათ ტუალეტში დირექტორის მოადგილე ჩაკეტილა გვიან ღამით და ვიდრე მეორე დილას კარი თანამშრომლებს არ გაუღიათ, ველარ გამოსულა.

— ეე, მაგის მეტი ჯავრი ნუ მოგცა ღმერთმა. როგორც გავიგე, მაგ შენობას სახელმწიფო აუქციონზე ჰყიდის და პრობლემები ერთბაშად მოიხსნება.

— პირიქით, უფრო გამწვავდება.

— რატომ?

— ეგენი პრივატიზებულ ტუალეტს ზურგზე ხომ ვერ მოიკიდებენ და ისე კიდევ ჭკვიანი ინვესტორი მანდ არ შევა.

— აბა, მაგათ კი არა, ბენდუქიძეს გასჩენია პრობლემა და ეგ არი.

— უჰ, ახლა ბენდუქიძე მაჯავრე, წავალ პამპერსს გამოვიცვლი და მალევე დავბრუნდები.

**ოთარ ხუციშვილი**

◉ ანეკდოტები

**— ალო, თუ შეიძლება, პროკურორთან დამაკავშირეთ!**

**— დაკავებულია, ჭამს.**

**— ვის?**

* * *

**აბრა კბილის საპროტეზო კაბინეტში: „ღმერთი ცხოვრებაში ორჯერ გვაძლევს კბილებს. მესამედ კი ამისთვის უკვე ფულის გადახდაა საჭირო“.**



* * *

**— ჩვენს სოფელში კაცებმა ძროხის ფუნისგან არყის გამოხდა ისწავლეს, — ამბობს პეტკა.**

**— ვაჰ, რა მაგარია!**

**— ჰო, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ძროხები ვერ ასწრებენ!**

* * *

**— რად ხარ ასე მოწყენილი?**

**— მოწყენილი კი არა, საშინელ დღეში ვარ.**

**— რატომ?**

**— ცოლს დავხვდი სადგურში. ის კი არ ჩამოვიდა. ვშიშობ, რომ იგი უკვე გუშინდლიდან სახლშია.**

* * *

**იარაღის მაღაზიაში განრისხებული, თვალებგადმოკარკლული და დორბლიანი მამაკაცი შერბის:**

**— სასწრაფოდ მომეცით თოფი!**

**— კი, ბატონო, მაგრამ რისთვის გინდათ?**

**— სიდედრი უნდა მოვკლა, მეტის მოთმენა არ შემიძლია!**

**— მაპატიეთ, მაგრამ თუ მართლა ამისთვის გინდათ, გირჩევდით, ცოტა მოგეთმინათ, — თანაგრძნობის კილოთი ეუბნება გამყიდველი.**

**— მაინც რად უნდა მოვითმინო?**

**— იმად, რომ დაწყნარდეთ, თორემ ასე აღელვებული მიზანში ვერ მოარტყამთ.**

◉ წვერებიანი ხუმრობები

პროლეტარი: თქვენ ალბათ არ იცით, რა არის შიმშილი?

ბურჟუა: როგორ არ ვიცი, სიმსუქნისგან როცა ვაქიმობ, რაც მინდა იმას არ მაჭმევენ.

— ოჰ, მიკირტუმ არაქელიჩს ვახლავარ, რარიგ გამოცვლილხართ!

— უკაცრავად, მე მიკირტუმ არაქელიჩი კი არა, არაქელ მიკირტუმიჩი ვარ.

— აკი მოგახსენეთ, გამოცვლილხართ-მეთქი.

— თქვენ მგონი ერთად სწავლობდით პროფესორ ხახანაშვილთან?

— დიახ, მეხუთე კლასამდე. მე დავამთავრე, ის კი ეხლაც სწავლობს.

— ლიზიკო, რამდენი წლისა ხართ?

— ოცისა.

— თქვენი უმცროსი და?

— ოცდასამისა.

— ნეტა ღმერთმა კაცს რატომ მისცა ყურები?

— ქუდი თვალებზე რომ არ ჩამოეფხატოს.

— ვირმა დაიყროყინა. კაპასი ცოლი ფანჯარასთან მივიდა და თქვა:

— გიორგი, ეს შენი ნათესავი არ არის, რომ გაჰყვირის?

— ჰო, ჩემი ნათესავია... ცოლის მხრიდან! — უპასუხა ქმარმა.

მასწავლებელი: ერთი მიბრძანეთ, ბარიშნა, რას ეძახიან მეცნიერებაში ადრეულ მშობიარობას?

მოსწავლე: ადრეულ მშობიარობას ეძახიან ისეთ მშობიარობას, რომელიც ქორწილამდე მოხდება.

**გიზო ნიშნიანიძის**

**„სიცილის არქივიდან“.**

◉ მოუძველებელი კარიკატურა

## ამირან ერაძე

**ამირან ერაძე (1936 წ.ძ ათიოდე წლის წინათ გავიცანი, თავისი ნახატები მოიტანა ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში და ჩუმად, უსიტყვოდ დააწყო მაგიდაზე. ან კი რა საჭირო იყო სიტყვები — ნახატები ყველაფერს გასაგებად ლაპარაკობდნენ. ტყუილად როდი ჰქონდათ 29 წარწერა ქვეშ — „უსიტყვოდ!“**

**გრძელი სიტყვა აღარ არის საჭირო — დაე, ამ ნახატებმა თვითონ იმეტყველონ, როგორი მხატვარი-იუმორისტია ამირან ერაძე.**

**გიორგი ნატროშვილი.**

1978 წ.













◉ ალიართალი — ბალიართალი

# თბილისური მოტივები

### ვისი ბრალია?

„დღეს რა რიცხვია?“ — კითხულობს გამყიდველი ქალი, მაგრამ არავის პასუხს არ ენდობა. ბოლოს შეჯერდნენ, რომ ოთხი სექტემბერი იყო.

— მახსოვრობა გღალატობს, მარა შენი ბრალი არ არის — ქმარმა დაგავიწყა, როდის რა იყო, — მდგომარეობიდან „გამოიყვანა“ მეგობარმა.

### თავი იმართლა

უბნის კაცები ღვინოს სვამენ. თამადამ მეორე ნახევრების სადღეგრძელო წარმოთქვა. ყველამ ცერად გადახედა სილიბისტროს, ერთი მაიმახის პატრონს.

— ბიჭებო, თქვენ რო ჩემი ცოლი გახდილი გაჩვენათ, გახდილი რო გაჩვენათ!... — თავი იმართლა იმან.

### დამნაშავეს მიაგნეს

„ჭიპლერა გოგოები? რა გიკვირთ! ჩვენში ეგ მოდა ჯერ კიდევ მაშინ შემოვიდა, მერაბ ბერძენიშვილმა ფილარმონიასთან „მუზა“ რო დადგა!“

### გაფრენილი სიტყვა

საჯარო რეესტრიდან ამონაწერი მჭირდება, რომ ვითარებათა გამოისობით ჩემი სამოთახიანი ბინა უფრო ბედნიერს მივყიდო. ღმერთმა დასწყევლოს ყოველგვარი საბუთი, ადამიანებისადმი უნდობლობის თვალნათელი დადასტურება! მაგრამ, რომ მჭირდება?

ჩემს უკან თვალმახარა ქალბატონი დგას, ფეხს წარამარა ინაცვლებს და სასიამოვნოდ ჟღურტულებს. ასეთ მშვენიერებასთან დგომას რა სჯობს!

აი, ჩემი რიგიც მოდის. ქალბატონი აწრიალდა — ძალიან ეჩქარება. მე, როგორც ჯენტლმენს ეკადრება, მსხვერპლის გასაღებად მზად ვარ, ამიტომ ვთავაზობ, რიგს დაგითმობთ-მეთქი.

— როგორ, ჩემთან ყოფნა მოგბეზრდათ და თავიდან მიცილებთ? — ისე მეუბნება, ვერ გაიგებ, ხუმრობს თუ მართლა წყრება.

ენას ვიკვნეტ, მაგრამ გაფრენილ სიტყვას რაღა ეშველება?

### ტელეფონების გურმანი

ერთი ჩინოვნიკი ვიცი, მაგიდაზე ხუთი თუ ექვსი ტელეფონი უდგას. იმ ტელეფონებიდან მხოლოდ ერთი მუშაობს, მაგრამ სხვებს ადგილიდან ფეხი არ მოუცვალა: დაე, მომსვლელმა ნახოს ექვსივე ტელეფონი! იმან რა იცის, რომელი მუშაობს და რომელი არა. სამაგიეროდ, კაბინეტის პატრონს მის თვალში წონა მოემატება...

### შუბი ხალთაში არ დაიმალა...

ეროვნული სიჭრელე ჩვენი ბედნიერებაც არის და უბედურებაც. ბედნიერება იმიტომ, რომ შემწყნარებლები ვართ, ხოლო უბედურება იმიტომ, რომ ხიზანთა უმეტესობამ მასპინძლის მანტია მოირგო.

### ძველი გამოცანა

ჩვენი ცხოვრება ბროწეულს დაემსგავსა: გარეთ ატლასია, შიგნით... ათასი უმწვავესი პრობლემა.

**ელგუჯა ლებანიძე**

◉ შექახილი

# გეყო, ქართველო!...

**მსოფლიოს ახსოვს ჩვენს მიმართ,**
**რაც შაჰ-აბასმა „მიქარა“,**
**გადარჩენილებს ნელ-ნელა,**
**ბოლოს მოგვილებს „ნიკალა“.**

**შეურაცხყოფას აყენებს**
**ვიღაც ნიკალა პაპასა,**
**ის დროა, გაზის ღუმელი,**
**რომ გადანათლონ აბასად.**

**თურქეთი პროდუქტს**
**გვიგზავნის,**
**შიგ ნახევარი შხამია,**
**როგორი მეგობრობაა?!**
**ვერ გაგვიგია, ძამია.**

**ძმად გაგვეფიცა სომეხი**
**და ჯავახეთში ომია,**
**მიწა ხომ მიისაკუთრეს,**
**თან უნდათ ავტონომია.**

**სექსით გვაჯობეს თათრებმა**
**მრავალი შვილით დაგვიპყრეს,**
**მამაპაპური ქვეყანა,**
**ლამის შუაზე გაგვიყვეს.**

**ჩვენს სამოსახლოს მთლიანად,**
**უცხო ტომელი შელობავს,**
**თითოს თოთხმეტი შვილი ჰყავს,**
**რა მიწა-წყალი ეყოფათ.**

**რუსით ამაყობს აფსუა,**
**ოსი, თათარი ალია,**
**რაც ხდება საქართველოში,**
**სულ უფროსი ძმის ბრალია.**

**ირწმუნეთ! — მტერი მეტი**
**გვყავს,**
**ვიდრე მოყვარე, მოკეთე,**
**გეყო, ქართველო, აქამდე**
**რაც მოხუჭე და მოკეტე!**

**ნიკოლოზ იოსებიძე**

SOS!

# რატომ არ იყიდება ყველგან „საქართველოს რესპუბლიკა“?

## ჩვენი გაზეთის გამავრცელებელთა საყურადღებოდ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველები, ეს უკვე მერამდენედ, გულწრფელად და პრინციპულად შეგვახსენებენ, რომ გაზეთის გამავრცელებლები ბევრგან თავს არიდებენ ამ მართლაც სანდო, აკადემიური, გაწონასწორებული, ტრადიციული, ყოველდღიური გამოცემის გაყიდვა-გავრცელებას.



მიზეზად ერთსა და იმავეს ასახელებენ: გაუყიდავ ეგზემპლარებს უკან არ იბრუნებენო!

ძვირფასო გამავრცელებლებო! — „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია და გაზეთის გამომცემელი შპს „თანადგომა-1“ კარგა ხანია ყველა გაუყიდავ ეგზემპლარს უპირობოდ იბრუნებს უკან. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, მოითხოვეთ მეტი და მეტი „საქართველოს რესპუბლიკა“. ნუ მოაკლებთ ჩვენს ერთგულ მკითხველს ამ მართალი, პრინციპული, გამართული დედაქართულით შექმნილი გაზეთის წაკითხვის საშუალებას.

გაუყიდავ ეგზემპლარებს კი, თბილისშიც და ქუთაისშიც, ბათუმშიც და ოზურგეთშიც, ზუგდიდსა და სენაკშიც, გორსა თუ თელავშიც, ყველგან, მთელ საქართველოში, თითოეული გამავრცელებლისგან უკან დავიბრუნებთ. თუ თქვენ ამის საშუალება არა გაქვთ, დაგვიკავშირდით რედაქციაში ტელეფონებზე: 98-96-33 ან 98-96-32 და ჩვენ უზრუნველვყოფთ მათ დაბრუნებას.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, ყურად იღოთ ჩვენი თხოვნა. წარმატებული გამავრცელებლები წახალისდებიან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია,
შპს „თანადგომა-1“

## გამოიწერეთ

### სანდო, მართალი და ცხოვრებისეული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

მიმართეთ „საქპრესას“ (ტელ: 35.51.40ძ, „მაცნეს“ (37.40.49ძ, „უწყებანს“ (93.64.72ძ, „პრეს-ექსპრესს“ (96.23.11ძ, „პლანეტა-ფორტეს“ (93.38.73ძ, „ინფოსერვისს“ (34.09.35ძ, „ელვა-სერვისს“ (36.35.75ძ რაიონებსა და ქალაქებში — „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.



ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი — მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.

ამდენად, გაზეთის გამოწერა ეღირება: ერთი თვით — 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ — მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.**

განახლებული

# რუკაზე მაინც გავმთლიანდით...

**საქართველოს ზოგადგეოგრაფიული რუკა პოსტსაბჭოთა პერიოდში ოფიციალურად პირველად განახლდა და საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად გამოიცა.**

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის მიერ გამოცემული საქართველოს განახლებული ზოგადგეოგრაფიული რუკა გუშინ, თავად მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა წარმოადგინა.



საქართველოს 1:500 000 მასშტაბის რუკას სახელმწიფო დანიშნულება გააჩნია და სახალხო მეურნეობის ყველა დარგისთვის არის განკუთვნილი. იგი განახლებულია თანამედროვე მონაცემებით და გააჩნია პირველი ქართული ოფიციალური ციფრული ვერსია.

ახლადშექმნილი ზოგადგეოგრაფიული რუკა საცნობარო დანიშნულებისაა, რომელზეც მაქსიმალური დატვირთვით დატანილია ყველა გეოგრაფიული ელემენტი - რელიეფი, დასახლებული პუნქტები, მოსახლეობა, მცენარეული საფარი, სახელმწიფო, ავტონომიური და ადმინისტრაციული საზღვრები, ჰიდროგრაფია, ნაკრძალები, დაცული ტერიტორიები. მასზე ასევე დატანილია ეკლესიები, ქარხნები, მეტეოსადგურები, აეროდრომები, სატელევიზიო ანძები და სხვა ობიექტები. რუკაზე მოცემულია საქართველოს თითქმის ყველა სოფელი, საკრებულო, ქალაქი, თუ დაბა, ასევე ნაჩვენებია საერთაშორისო, სახელმწიფო, ადგილობრივი და სხვადასხვა მნიშვნელობის გზები.

**ინტერპრესნიუსი**

## ხსოვნა

### თინა მურვანიძე



გარდაიცვალა ქართული კონიაკის წარმოების ღვაწლმოსილი მუშაკი სააქციო საზოგადოება „დავით სარაჯიშვილი და ენისელის“ ყოფილი ლაბორატორიის უფროსი თინა მურვანიძე.

იგი იყო მაღალკვალიფიციური, განათლებული, პიროვნულად გულისხმიერი და სათნო ადამიანი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სახელგანთქმული კონიაკების შექმნაში, როგორიც არის „ვარციხე“, „გრემი“, „თბილისი“ „ვარძია“ და „საქართველო“, რომლებმაც მრავალგზის მოიპოვეს მაღალი ჯილდოები.

იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა სპეციალისტების დაოსტატების საქმეს.

შესანიშნავი სპეციალისტის, გულისხმიერი ადამიანის თინა მურვანიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი თანამშრომლებისა და მეგობრების გულში.

**სს „დავით სარაჯიშვილი და ენისელი“**

---

ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ჯუმბერ წერეთელი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ნელი ჭანტურია, შვილი დათო წერეთელი, ძმები ემილ და ივერ წერეთლები, შვილიშვილები ივიკო და ნუცა წერეთლები, რძლები ლიკა სოსელია, ნია კვარაცხელია, ძმისწულები მაკა და ნინო წერეთლები, დისწულები ლევან ჯაფარიძე და ლიკა ქორქია, ბიძაშვილი ზაირა ყიფიანი, ცოლისძმა კოტე, ცოლისდა იამზე ჭანტურიები, მძახალი ნატა კვარაცხელია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯუმბერ დავითის ძე წერეთელი

პანაშვიდი 15, 16 I 16 სთ. გამოსვენება 17 I 14 სთ. მისამართი: ბაგრატიონის ქ. 22, IV სადარბაზო, III სართული.

---

მეუღლე იაშა ცატავა, შვილები ნონა, რუსლანი, რამაზი, ძმა ბორის ქარჩავა, სიძე ოთარ გარმელია, რძალი დალი ზიგვავა, თამარ სანაია, ნანა გუმბერიძე, ბელა გოგისვანიძე, მაზლი რუდიკ ცატავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინათინ ვარლამის ასული ქარჩავა-ცატავა

პანაშვიდი 17, 18 I, 16 სთ. დაკრძალვა 19 I, მისამრათი დიღომი დ. აღმაშენებლის გამზირი, საპატრულო პოლიციის ოფისის გვერდით. გამოსვენება 14 სთ.

---

რუდიკ ცატავა ოჯახით იუწყება რძლის

თინათინ ვარლამის ასულ ქარჩავა-ცატავას

გარდაცვალებას.

## ლარის კურსი

### 14 იანვრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1820 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8025 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1744 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0633 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9639 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3973 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5447 ლარი. |
| თურქული ლირა | 1 | 1,3456 ლარი. |
| ირანული რიალი | 1000 | 0,1983 ლარი. |
| ისრაელის შეკელი | 1 | 0,3906 ლარი. |
| უნგრული ფორინტი | 100 | 0,8689 ლარი. |
| რუმინული ლეი | 10000 | 0,6056 ლარი. |
| პოლონური ზლოტი | 1 | 0,5704 ლარი. |
| ბულგარული ლევი | 1 | 1,1120 ლარი. |

**ეს გაერთიანებული ნომერი 24-გვერდიანია.**

**მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 17 იანვარს.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.
ქიზიყის ქ. №12,
ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.